№ 388

# ცისკარი

---

## 1860

თებერვალი.

წელიწადი მეოთხე.

## რიგები თხზულებათა:


I. — ვარდ-ბულბულიანი. . . მეფე თეიმურაზისა.

II. — ღარიბი ყმაწვილკაცის რომანი. ზაქარ ქართლელისა.

III. — იამბიკო, დავით ალმაშენებელზე. კოლხიდელისა.

IV. — ორი წიგნი, მოწერილი რედაკტორთან, იამბიკოს შესახებ. { კოლხიდელისა. ზაქარ ქართლელისა.

V. — წიგნი მოწერილი რედაკტორთანვე «ცისკრის» შესახებ. . . იოსებ მამაცაშვილისა.

VII. — მასალა საქართველოს ისტორიისათვის. .

VII. — სხუა და სხუა ამბავი. (ნახე მეორე გვერდზე). . . თ. ზაქ. ერისთავისა.


---


## ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ვარდ ბულბულიანი.

(განგრძელება)

---

ბულბულმან ვარდს რქუა ცრიოლით ცრემლით
აუვსო გობანი,
და ვმართებს და ვმუწნიან, ყოველითურთ ქება
მკობანი,
მაგრა წესია გეკლუცოა, მიჯნურთა ამაყობანი,
ყმობაცა ალარ მალირსე, არ თუმც ამხანაგობანი.
აწ მიწას შიგან ჩამავდე, და ცად გაიწიე,
მე ვვარად ინდაური ვარ, შენთვს აქ მოვიწიე,
შენის სიყვარულითა, შედავ რომ დავიწვიმე,
ცემა მიქადე გაგდება, ვვერდსა არ დამიწვიე.
უცხო ვარ უამსანაგო, არ ცუდი ვინმე ჩიტია,
იადონი და მერცხალი ვერა ჰხმობს ჩემთან ვრიცია,

ვერად ფერადი ჩემი ხმა, ვერ სასმენელმან იცნის,
აწ მომკლა შენმა სურვილმან, საკჳდავად შემომიცნის.

მსაზარითვოთა ყვავილთა, სათქმელად გამოსულია,
უწყალოდ მოჰკლა დაჭერით, მე ამომართვი სულია
საჭვრეტელად აღარ მიმიშჳ, არც ამკარ შენი სულია,
შენდა საქებრად მხმობელი, ვერც მაშინ დამასულია.

ბრძენთა და ფილოსოფოსთა, რიცხვთა მომაირეთა,
სპარსთა, ინდოთა, ქართველთა ცნობილთა არ თუ ვირეთა,
შენდა მიჯნურად დამწერეს, ჩემთჳს არ დამიმჳრეთა,
თუ არ ვფერობდი რასათჳს გვთქუჩს მათ ვის დაუყოფს პირეთა.

შენ იცი ჩემი ანბავი, არ ახალია მგელია,
შენი ქება და კიდება, ვიმასი არ დამელია,
შემოვფრინავ და შემოვმზერ, ვლასვული ვარდამელია,
ამდენი უსამართლობა, ვეკითხვის მე მოველია.

ტირილით ხმობდა მარგეთ რა, მოდით მიჯნურნო მორებით,
წყლული მონახეთ ულისენი, ივ რომ თქჳცნცა ვჭჭირთ ჭსწორებით,

ჩემგან ისწავლეთ კვლობა, ახლოს ნუ ერთობ-მორებით,
ვერა მარგოთარა დამმარხეთ, საფლავად მიმაგორებით.

ეს ვის ასმია სულ-დგმულსა, კვლის უახრან ნუხარ კვლია,
ცეცხლსა მოგიდებ უმრეცსა, ნუ დაგეწვების კვლია,
გაცვრებ სისხლის ცრემლითა ლაწვი ნუ გქონან სველითო,
წადი და სხუათა უჭვრიტე, ჩემთანხარ ნუ მომსვლეთო.

მე წამეკიდა ეს ჭირი, სხუათა მიჯნურთა მეცადო,
გიხთვს მოვკუდი და ვეწამე, ალარ მიმიშვა ჭკვრეცადო,
მე ამას დაჯერებულვარ, პირსა გიჭურეცდე რუცადო,
ასწრაფი ჩემსა სიკუდილსა, ნაცუდლად ცეცხლისა მრეცადო.

თქუა ნეცარ მომკალ როდესაც მაჯა ვერ მფეთქდეს დამარა,
საკაცეზედა დამაკარ, ეს ბალი ისრე დამარა,
ეკალთა მირსა დამმარხე, მე დამმრა აქა დამარა,

ვერ მომეხმარნენ მოყვასნი, მამამან არ მიმმო დამ
არა.
ვარდმა თქვა მესმა ბულბულო, შენი სიტყვის
მოგება,
მეწყალჳ გნახე გლახ შენი, ჩემთჳს ლახვარზედ
მიგება,
მაგრამ არ ვმართებს შენ სხუათა, მიჯნურთა
თვალის მიგება,
შენსა უღირსსა საქმესა, წინა მისწრობა მიგება.
მე ერთი ტურფა უებრო, ვარ ყვავილთ საქე-
ბარადო,
მთას ავყვავდები მას უკან როდეს მომკრებენ
ბარადო,
თეთრი ვარ ბროლის უფერე, ყირმიზი, ლალის
დარადო,
საჭურეტლად მშვენიერივარ, სუნნელი მუშკამბა-
რადო.
მერე ეს ჰკადრე აწ შენი, სიკეთე მომაგონეო,
ამისად შესადარებლად, შენცა თავი გამაწონეო,
შენი და ჩემი საქმენი, გაშინჯე და აწონეო,
თუ ჩემს თავს არა ღირსიყო დამიხსენ ჩემი ღონეო.
ბულბულმან სულთქმნა საბრალოდ ამოიკვნესა,
მწარენი,

ცრემლი დასთხია თვალთაგან, სისხლისა ფრისა
დარგნი,
მისის სულიქმისა კვამლითა სულ დაწვა იგი
არგნი,
ვითმცა სოქშა სიცხეში ამაყი, იგი არითუ ხამუ-
დარგნი.
უთხრა, თუ თავი არა მაქვს, მე შენდა საკად-
რისადო,
ერთიცა არა მცდომია, მანდეთ ლასვარი მკუდ-
რისადო,
ხამს ჰქონდეს გული ლმობილი, შენთჳს უწყა-
ლოდ მკუდრისადო,
ზმანე თუ ფილოსოფოსთა, თუ არ შენთჳს თქვეს
ვისადო.
ვითა შენ სხუანი ყვავილნი, ვერ შედარების
მეც ჩიცა,
შენზე ვილოცავ არ ვიცი, მაქა მადინა მეჩიცა,
შენთჳს ვიმახი შენს მეცა, სხუა ვმა არ ვიცი
ვეჩიცა.
შენმა სურვილმა დამლია, თვალ ცვარად დამანასარო,
თვარემ ფრინველსა ათასსა მე ვკობვარ არითუ ასსარო,
დავჭსწყევლი ჩემსა მშობელსა, მამასა, ამხავნასარო,
შენ სიკუდილისა სასმელსა ვიცი შემასვამ თასსარო.
ყვავილში შენხარ ლარიბი,ფრინველში მევარ მვონია,

დაგვწერეს ამიყ-მამიყად, ვგონებ თქვენც გაგი-გონია,
ესეოდენი უცხო ხმა შენი ეშხზედ მომიგონია,
შენს ეშხზე მოვკუჳდე წავნავო, ეს რისთჳს არა ვგონია?
მკვრელნი, მთქმელნი და რიცორნი, მგოსანნი, მოშაითენი
ვარდ ბულბულს გაიმასიან, ყოველი სული იმ-თენი,
აწყა დამიწყე წუნობა, გამცრიცე გამაყუთენი,
შენი ბრალია შემშალე, თეთრ წითლად პირი-მითენი.
ვარდმან უბმანა ბულბულსა, შენს ლაყაფს ვინ აუარო,
ხმა და უსული კარგი გაქუს, არა ჴარ სარა ბუარო,
შენმა ეგზომმა ზასილმა, მე ერთობ დამაყრუარო,
თუ ერთხელ წავიკიდებით ვინ ჩამოგვგვა მუარო.
მელექსეთაგან ნათქომი სიტყჳა მიილე პირადო,
დაგვწერეს ჩემდა მიჯნურად, არ მიმაჩნისარ ჩირადო,
რუსთველმაც მაქო შენც იცი ეკლიასად და მჯრადო,
მორის წადი იყავ მიჯნური აქ ჩემთან დაიწვა-რადო.
ეგ ასლო მყოფთა მიჯნურთა, ზრასივა არ დააკლდებაო,

შენ ვერას ირგებ შემწეობა მე ცუდი მოუჳნებიო,
არ შეადგების საათოდ, იგი ვინ ვისთჳს კვდებაო,
წადი და იყავ მშჳდობით, გეყოფა ცეცხლთა დებაო!
ბულბულს რა ესმა ცრემლითაგან დააყენებდა მორევსა,
რათ მეწყევ სულთა წამლებო, სიცოცხლისა მოსამორევსა,
სხუა გიყვარდესო ეგ სიცოცხლე, გულში ლახვარსა მორევსა,
შენსა ეშხსა და სურვილსა, სხჳსა ვისიმცა მორევსა,
ეგზომ ჴან შენი ჴელქმნილი, სხუაგან სად უნდა წარევდე,
ჴამს თუმცა სხუათა მიჯნურთა, შენს სიტურფესა წარევდე,
შენი მძებნელი ვლას შენთჳს, თავს უნდა გაიმწარევდე,
შენისა მოკრეფისათჳს, ჴელსა ეკალში წარევდეს.
ესე სთქუა დაბნდა უსულო, ეკალში დანაცემბოდა,
მას უბედურსა საწყალსა, გულზედა დანასმებობდა,
ვარდს შეებრალა რა ნახა, თვალთ ცრემლი ვარდმომცემლობდა,

წყალს ასხემდა გულზედა, ძლივს სიტყვას შო-
ნამცემლობდა.
უთხრა, რად შემიქ ბულბულო შენის სისხლისა
მზღვეველად,
სხვანიც ყოფილან მიჯნურნი, არ აგრე დასწ-
ვეველად,
არ ჩამომეხსენ მე ვიყავ, არ შენი აქ მომწვე-
ველად,
მოკუდები ცოდუა მომხვდების, ვიცი თუ გაგ-
ვდო ველად.
ნება დამირთავს აქ იყავ, ბაღისა ამ მიდამოსა,
მას ადიდებდი ყვავილით ვინ ასე ცხებილად დაგ-
მოსა,
გაიცდიდი ჵ მინჯვდი, თეთრ, წითელ, ყვითელ,
მწვანოსა,
შენიც ბრალი აქუს, ვინც შენი გაგდება შეიწა-
მოსა.
ბულბულს რა ესმა გაცოცხლდა, უმრავად
აღარ დებობდა,
სიკუდილისაგან დახსნასა, სიცოცხლეს იმედებობდა,
ცრემლი სისხლისა შეაშრა, ცეცხლი არ ისევ
ჴსდებობდა,
ვარდს დაუწყო ქება მის შესაფერად მქებობდა.

თქუა, შენ მან მოგცეს მუქაფა, ვინ ეგრე ცურფად გშვენაო,
ვინ ლხინად ყოველთ სულდგმულთა, შეგამკო დაგამშვენაო,
სიკჳდილსა მიმცვალს სიცოცხლე, მიბოძე მე აქ შენაო,
დამსწყუეცე დენა ცრემლისა, სულთქმა კუნესა და ქმენაო.

შენით შვენის და იხარებს, წალკოტი ბაღნი ბაღადო,
ღმერთმან დაგბადა ყვავილთა, თუ არ ჴელმწიფედ რაღადო.
შენი მეყრა და მორს ყოფნა, აღარ დამასჳ დღადო,
მუსიკთა ყვავილთ უცხოესად, მე შენი მეყრა გლალადო.

რომ არ გამიწყერ საკჳდავად აღარ გამაცე კარეო,
შენს მიდამოსა მამყოფე, იგ არ გაჭირილმა კარემე,
არ მომიმორე თიუცალა, ახლო არ მიმიკარემე,
ფერი, სუნი და სიტურფე, ვერარას შეგიდარემე.

დაგბრუნავ თავსა ბაღლეში, მე შენა ყურბან სადაღა,
შენ შემოგწირო საკჳდავად სული დამწვარი სადაღა,
შენთჳს მკჳდარი და ცეცხ ქმნილი, ნეტარ წავიდე სადაღა,
შენთან ჩემდა ჰაცრონად, ნეტარ ვიპოვნო სადაღა.

რამდენს ხანს გიცვლი ეგზომსა, შენსა სიტურ-
ფეს ვთვალით,
შენთვის კელ ქმნას და დაწვას, გიმასი არ დავ-
მალით,
გამლიოლს ვნახავ შეგხვდები, რა პირსა ვაილალით,
ხმა მალლა შენსა მქებულსა, ვარეევან რისთვის
მალით.
გავცოცლდები ერთ წელ მკუდარი, რა დროთ
მოვა შენი ყავლი,
თავს დავიწყებ შემოვლასა, სულს ამოსვლას აღარ
ვაცლი,
უსულოსა და ტკბილს ხმასა საქებრადა შენზე დავცლი,
შენს ტკვრეცა ჩყდ სამოთხეში, ყოფასაცა მე არ
გავსცვლი.
დღე დამელევის მაშინვე, ოდეს დაიწყობ
ლევასა,
გული ვით გასძლებს ქუად ქმნილი, შენის გა-
ყრისა ლევასა,
მაშინ დაიწყებ უმლებად, ჩემის სისხლისა ლევასა,
მე დამკვრდები გულისა, სევდისა ივ მოლევასა,
წავალ და დავიკარგები, შიგან ჩავვარდები ყანასა,
თუ კელს მოვჭკიდებ უცილოდ, ზედ დავესვევი
დანასა,
გეცადო არვინ მალირსებს, შენ თანა წამოყვანასა,

არ მოვინდომებ უმენოდ, იქიდამ ამოყვანასა.
თვალით არის დავინახამ, შევიქნები უტყჳ, მუნჯი,
ვირ არ მოხვალ სოფლისასა, სიყვარულსა არ ვიუნჯი,
მე ბულბულად ვერვინ მიცნობს, თათარი და ვერცა ვურჯი,
სიკუდილისა მონატრესა მიწა მინდა ერთი ბლუჯი.
ვარდმან უბძანა პასუხი, ტკბილი და არ გამწყრალები,
სიტყუა იხმარეთ მსმენელთა, საბრალოდ შესაწყალები,
მიჯნურად ერთობ კარგისარ, გულსა გქონის დასამალები,
მოქმელისარ ერთობ უებრო, ხმა გაქუს არ დასაბრალები.
ვითმცა თქუენ ფილოსოფოსთა, საქმე რამ მევიდარესა,
ერთ საქმეს ვერ გემოწმები, იგ მათსა ნაუბარესა,
მხედავ სადაც ვარ გამვენებ, იგ ყოველს არემარესა,
ამისკი ვიტყჳ ვერ ვხედავ, თვალფერად ჩემსა დარესა.
ბულბულმან მისი პასუხი ვერა თქუა ენა დაება,

სიახლოვითა ეფონა, ცოცარამ ძირი დავემა,
ამ სიტყუაზედან გარდაწყვდა, მათი ბრძოლა და დავება,
მეც მომეწყინა ტყუილი, ეს ცუდი გალაყბაება.
თქვას თუ ვინმემ არ არისო, ცუდ საქმეზე
სიტყვს ვარჯა,
ესეც ვითხარ რა დამაკლდა ანუ რამცა დამეხარჯა,
რიცორივარ მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა
ვისგან ბარჯა,
რაც მასმოდა მათგან მეც ვსთქვი, ლექსი ვერსად
დამეხვანჯა.
ჵე ღმერთო დაუწყებელო, უკუდავო დაუბერაო,
არა არსის არსად მომყვანო, უსულოთ სულთა
მბერაო,
ვინ უწყის მოსეს ელიას, მთაზედა უამბერაო,
ცრემლნი ჰეცრესნი მომადლენ, იუდად ნუ გამბერაო.
შენ მომიტევენ სიტყვანი, უქმნი არ ნაყოფიანი,
რომელმან ცითა უწვიმე, და დარი მოიცი
მზიანი,
ცოდვასაზედა სულგრძელებ, შერისხვა იცი გჳანი,
ვაიმე ცუდის ლაყბობით, თუ სული დავიზიანე.

(დასასრული.)

# რომანი

ერთის ღარიბის ყმაწვილი-კაცისა.

თხზულება ო კ ტ ა ვ ფ ე ლ ი ე ტ ი ს ა.

ფრანცუზულითგან ნათარგმნი.

## ზაქარ ქართველისაგან.

---

1860 წ.

ქ. ტფილისს.

დაბეჭდილი კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# რომანი

## ღარიბის ყმაწვილი-კაცისა

---

(თხზულება ოკტავ ფელიეტისა.)

## I

პარიჟი. **20** აპრილს **185....** წელსა.

ესეც მეორე ღამეა, რომ ამ სამაყელს ოთახში ვჰჯდივარ და დაღონებულის თვალით ცალიერს კედლებს შევჰსცქერი; — გარეთ ხალხის სიარულისა და ყაყანისათვის გამომცერებულივით ყური მიმიგდია და ამ დიდს ქალაქში მარტოთა ვჰგრძნობ ჩემს თავსა, იმ საცოდავს გუწმულზედ უფრო მარტოთა, უფრო განცვევებულათა და სასოწარკვეთილებაზედ უფრო მიწევნილათა, — დიდი გემის შემუსვრას რომ გადარჩენია და ცალიერს

ფიცარზედ შევარდნილს რომ მრავალ ზღუაში ზვირთები დააქანებენ. — ეჰ!... კმარა ამდენი სულმოკლეობა. დროა ჩემს უბედურებას თვალი გაუსწორო და ჩემი შემაძრწუნებელი ფარდა მაინც ავჰხადო. გული რომ მწუხარებისაგანა მაქუს გაგსილი, მინდა გაუღო ეს გული ჩემს მხოლოს მეგობარსა, სიბრალულით რომ ვერ მაწყენინებს, — ამ ფერმიხდილსა და უკანასკნელს სარწმუნო მეგობარსა, აგერ სარკიდამ რომ გამომყურებს, ისიც ჩემსავით დალონებული. ჩემი ფიქრი და ჩემი ყოფაცხოვრება მინდა ვჰსწერო, მაგრამ დღითი დღითა და ყმაწვილურის დაწყლულებით კი არა; — ესე რომ რაც სათქმელად ღირსია არა დამრჩეს რა და არც სიმცყუვნე შემომივიდეს. ჩემთვისაც სასიამოვნო უნდა იყოს ეს ჟურნალი: მმურად ხმის გამომცემი იქნება ჩემი. და მარტოობაში ამხანაგობას გამიწევს; აღსარებასავით სჳნიდისს განმიახლებს და უფრო გაფრთხილებით მამყოფებს, ისეთი არა მამოქმედინოს რა, რომ გაბედვით არ დაიწერებოდეს.

დამშეულივით ვეძებ ახლა წასულს დროებში ყოველს საქმეს, ყოველს შემთხვევასა, რასაც თავისს დროზედ თვალი უნდა აეხილა ჩემთვის, დაბრმავებული რომ არა ვჰყოფილვიყავი

მამის პატივისცემისაგან, ჩუეულებისაგან და დაუ-დევნელობისაგან, აუცილებელი თჳსება რომ არის ბედნიერებაში მყოფისა და უსაქმო ყმაწვილი კაცისა. ახლა კი მესმის, რაც იყო მიზეზი, რომ დედა ჩემი ყოველთჳს ისე მძიმედ დაფიქრებული და დალონებული იყო ხოლმე; მესმის, ქუეყანაში გამოსვლასა და შესაბამს მორთულობას რატომ ერი-დებოდა ხოლმე; სულ ერთნაირი უბრალო ტანისა-სამოსი რომ ეცვა და მამაჩემი ხან რომ დასცი-ნებდა და ხან კიდეც გაუწყრებოდა ხოლმე: — რა არის? გომბიოსა ჰგევხარო, ჩემთან უთხრა ერთ-ხელ.

როდესაც ჩუენს შინაურს მშჳდობიანობას მო-მეტყებული რამ უსიამოვნოება შეარღვევდა, გაგი-გებდი ხოლმე, მაგრამ მიზეზს კი არსად შევს-წრებივარ. მართალია, მომსმენია რამდენჯერმე მამაჩემისაგან განრისხებული და მბრძანებლობითი ხმა, დედიჩემისაგან მდაბალი ლაპარაკი, თითქო ევედრებოდა რასმეო, ან ჩაჩუმებული ტირილი; მაგრამ რისგან რა მოხდებოდა ხოლმე, ბეჯითად არა ვიცოდი. მე ასე მეგონა, რომ მამაჩემსა ჰნებავდა, ისეთს მდიდრულს ცხოვრებაში ემყოფებინა და ისეთს საზოგადოებაში გამოეყვანა დედაჩემი, როგორც ჩუენს ოჯახსა ჰშუენოდა და უწინ

თჳთონ დედაჩემსაც რომ ეხალისებოდა, როგორც რიგია, რომ საპატიო ოჯახის ქალს ეხალისებოდეს; — და ახლაკი ისე ერიდებოდა და თან და თან უფრო და უფრო ეწინააღმდეგებოდა სოლმე მამიჩემის თხოვნასაც და ბძანებასაც. როდესაც ამ ნაირი შფოთი ჩამოუვარდებოდათ, ძჳრათ მოსდებოდა, რომ მამა ჩემი პატარა სანს უკან არ გასულიყო და მაშინვე დედიჩემისათჳს სასიამოვნო რამ საჩუქარი არ მოეტანა. საღამოთ რომ დავჭსხდებოდით, დედაჩემი აიღებდა თავისს ტილსა-წმენდს და ქუჩშ დაჭსხდებოდა გულის მოსაფე-ბელი საჩუქარი. ერთხელ შუაზამთარში პარიჟიდამ მთელი კალათი მოუტანინა, სულ ჩინებულის ძჳრფასის ყუავილებით ავსილი, ისეთის ყვავილებითა, რომ სხუა ქალი ყოფილიყო, სიხარულით გაგიჟდებოდა; დედაჩემმა კი, მხოლოდ პირად მადლობა განუცხადა, მაგრამ, რა რომ გარეთ გაიგულა, მწუხარებით შეჭსედა ამ ყვავილებს, მხრები შეიყარა და ისეთის თვალით აიხედა ზევით, რომ, ღმერთის გარდა ამ სოფელში იმედი აღარა არის რაო, თითქო ამას ამბობდა.

ჩემს პატარაობაში და პირველს სიყმაწჳლეში პატივისცემა და შიში მამისა დიდი მქონდა; სიყუარული და სითამამე კი მაგდენი არა მქონია.

მაშინ მე სხვას ვერასა ვჰხედავდი, თუ არ იმისს მოისხანებასა და მინდაუმლებლობას. მერე და მერე, რაკი ისეთის ხნისა შევიქენ, რომ სახლში თან გამიყოლებდა ხოლმე, მიკვირდა და მიხაროდა, რომ სულ სხვა იყო. მის თითქო რაღაც საწუხარი რამ ცვრითი ამშვიდებდათ და რა რომ ფეხს გარეთ გაადგამდა, შუბლი გაუნათლდებოდა, გული გაეშლებოდა, სულ გაუმაწვლდებოდა ხოლმე.— აბა, გავჰქუსლოთ, მაქსიმე!—მომმახებდა და სად იყო ჩუწნოვს ახლა სივჰრცე, ახლა მინდორი. მაშინ გამოაჩნდებოდა მხიარულება, ალღაცება, გონიერების სიმახვლე და ყოველი ისეთი თჳსება, რომ ხშირად ვიცოდი, ნეტავი შემეშლოს, რომ ეს ჩემი სიხარული დედაჩემსაც უზიარო როგორმე, შინ რომა ზის საწყალი, კუთხეში თავდანებებულივით მეთქი.—მაშინ შემიყვარდა მამაჩემი და სრულიად მიეთჳსა იმას ჩემი გული, მეტადრე როდესაც საქმეწენის რასმე საქმეში გავერევოდით ხოლმე, ნადირობაში, ცხენის ჭენებაში, სტუმრობაში თუ ბაღში: ყოველს კაცსა ჰსჯობდა ყოველის ბრწყინვალე თჳსებით და გულის სიკეთით. ცხენოსანი იყო გასაოცარი, მოლაპარაკე ყოვლისავე დამადუმებელი, მოთამაშე უამხანაგო, ტურადი განთქმული, უხჳ სულ ჴელგაშლილი.

კაცობრივის შეწყნებითა და კეთილმობილობითა აღსავსე თუ არის ვინმე, ეს არის მეთქი, განბობდი. თჳთანაც იცყოდა ხოლმე, რაღაც რამ მომწარო ღიმილით, მელა ვარ უკანასკნელი აზნაურით. — ასეთი იყო მამაჩემი ვარეთ; და რაკი მან შემოვიდოდა, ვეღარც დედაჩემი და ვეღარც მე სხჳას ვეღარასა ვჰსცნობდით, თუ არ ბერიკაცსა, წარბშეჭმუხნულს, მამთოთარს და მრისხანეს.

ის რომ დედაჩემს ეპყრობოდა, საკჳრველის ტკბილის სასიათისას, სინაზითა და სიმშჳდით აღსავსეს, უბედურსა მეც გული აღმიმფოთდებოდა, — მაშინვე რომ თან არ დაედევნებინა ხოლმე ყურადღება და სიამოვნების მზრუნველობაცა, როგორც ზეციითა ვჰსთქჳ; და რა რომ ჩემს ფიქრში მამაჩემი ასე გამართლდებოდა ხოლმე, მეც ვიცყოდი, გულით დიაღ კეთილი არის, მაგრამ ყოველთჳს ეწინაღმდეგებიან, ყოველთჳს აშფოთებენ და რა ქნას მეთქი. მე მეგონა, დედაჩემს ხნეულება ჰქონდა რამე; მამაჩემსაც კი წამოუთქუამს ხან და ხან ეს აზრი, მაგრამ გამოცხადებით კი არა დაუსაბუთებიარა.

მამის აღმაშფოთებელი დედისჩემის ხასიათი ისეთი რამ მეგონა, რომ ვეღარაფრით ვერ მოისვენებს მეთქი, ვიცყოდი. ხან და ხან ისეთის

თვალით შეჰხედავდა მამაჩემსა, თითქო გაქრობას უპირებდაო; მაგრამ ერთს რომ ელვებდა იმისი თვალი, მაშინვე დასცხრებოდა და დარჩებოდა ისევ ის მეტყველობა წყნარი, ლმობიერი, მორჩილი და მძლეველის წინაშე დაკნინებული.

ჯუბარი რომ დაჰსწერეს თხუთმეტის წლისა თურმე იყო დედაჩემი. ჩემი და რომ მიეცა, პატარა ელენე, მე ოც და ერთის წლისა ვიყავ მაშინ. მაშ დედაჩემი ოც და თექუსმეტისა იქნებოდა. რამდენსამე ხანს უკან, საწყალი დედაჩემი რომ ისევ მდუბიარეთ იყო, ერთაკელ დილაზედ მამაჩემი ძალიან დაღონებული გამოვიდა იმის ოთახიდამ, თვალი მიყო, თან გამომყევო, და ბაღში რომ შევედით, რამდენიმე გაიარ-გამოიარა და მითხრა: — მაქსიმე! დედაშენი თან და თან უფრო და უფრო მაკვდებაო.

— ავათ არის მამაო, და...

— დიაღ, რასაკვირველია ავათ არის; მაგრამ მაინც ასირებული რამ ფიქრი მოჰსვლია ახლა: დაუყენია, მაქსიმევ სამართლის კანონები უნდა ისწავლოსო.

— როგორ სამართლის კანონები? დედასა ჰნებავს, რომ მე, დავაჟკაცებული, ჩემის დედმამის პატრონი, ამ მდგომარეობაში მყოფი, სკოლაში

ახლა პატარა ბიჭებს მოუძღვე სკამზედა? სასაცი-
ლო იქნება, სხუა არა იყოსრა.

—მეც მაგას ვამბობ,—მაგრამ... ავათ არის
დედაშენი და გათავდა.

რაღაც რამ თავმომწონე ვიყავ მე მაშინ; სა-
ცრაბასოდ მიმაჩნდა ჩემი სახელი, ჩემი გვარი და
ჩემი რამდენიმე ყმაწვილური გამარჯვება ბალებში
და ვეჩერებში; მაგრამ გული ისევ წმინდა მქო-
ნდა და სათაყუანებლად მიმაჩნდა დედა-ჩემი: ოცს
წელიწადს განუშორებელათ ვიყავ იმასთან და იმისს
წყენას როგორ ვაბედავდი. ვასწრე მაშინვე და,
შენს ნებას ვემორჩილები მეთქი, მოვახსენე.
გმადლობო, მითხრა, გამიღიმა და ჩემი პაწაწა
დისათჳს მაკოცნინა, მუხლებზედ რომ უწვა და-
ძინებული.

ორიოდ ვერსტი იყო ჩუენიდამ ვერენობლამ-
დინ. შეიძლებოდა სასწავლებელშიაც შევლო და
არც დედას მოვშორებვიყავ: დედაჩემი ჩემის სწა-
ვლის ანგარიშს ისეთის დაწურილებით მომკითხავდა
ხოლმე, ისეთის გულდასმით და ისეთის ყურადღე-
ბით, რომ ვჰსთქჳ ჩემს გულში: აქ ავათმყოფო-
ბის ყინიკი არა, უსათუოდ სხუა დიდი მიზეზი
უნდა იყოს რამე მეთქი. იქნება ჩუენს საოჯახოს
საქმეებში უწესოება რამ შემოსულიყოს და სამა-

რთულის ცოდნა აუცილებლად საჭირო იყოს ჩემ-თვის, რომ თუ მამიჩემის ბრალი არის რამე, გას-წორდება მე მაინც შევიძლო. მაგრამ ამ ფიქრს ვერ დავადგებოდი. მახსოვს, მართალია, მამაჩემი ჰსწუხდა ქართველ, დიდი ზარალი მომეცა აღრე-ულების დროსაო; მაგრამ ეს ამბავი როდის იყო, სულაც აღარავის გვახსოვდა. ჩვენი ყოფაცხოვ-რება ისეთს მდგომარეობაში მიეჩვეულებოდა ახლა, რომ, უკეთესი არ შეიძლება მეთქი, ვამბობდი. მართლათაც, ჩვენის გვარის სასახლეში ვიდექით ერენობლის მახლობლად და ამ სასახლეს ისეთი სახელი ქონდა იმ ქვეყანაში, რომ მართლათ საბატონო ცისესასახლე თუ არის სადმე, სწორედ ეს არისო. ხშირად მოგვიხდებოდა ხოლმე მე და მამაჩემს, რომ დილიდამ საღამომდინ სანადიროდ ვიქნებოდით და ჩვენს საკუთარს ადგილებს მაინც ვერსად გავსცდებოდით. სახნავ-სათესის ანგარიში ვინ იცოდა. ჩვენი საჯინიბო სასიქადულო რამ იყო, სულ მჯრევასის ცხენებით გავსილი; მამაჩემს ისე არა უყვარდარა, როგორც დარჩეული ცხენები და ოლონდკი კარგი ეშოვნა სადმე, ფასს არ დას-დევდა. ბარიჟში გვქონდა, კაპუცინების ბულვარ-ზედ, მშვენიერი სახლი, ყოველთვის ჩვენს დასადგომათ გამზადებული თუ მოვიდოდით რო-

დისშე. ჩუენს სახლკარობაში კარგი ისეთს რასა ჰნახავდა, რომ ნაკლებობა შეემჩნევინა რამეშე: ჩუენი სუფრა იშლებოდა ყოველთჳს დიდის სიუხვით და მდიდრულად, რადგან მამაჩემი არც ამაში დასდევდა ხარჯსა.

როგორ უნდა მივმხვდარიყავი, რათ უნდოდა დედაჩემს რომ კანონები მესწავლა და მოსამართლე-ობაში დავჴელოვნებულიყავ? მაგრამ ნებავდა, და მეცა ვჰცდილობდი.

ამასობაში დედიჩემის სიმრთელემ საგრძნობლად იკლო და უფრო და უფრო გადისარა. ისეთმა დრო-მაც მოაცვანა, რომ ანგელოზის ხასიათი გამო-ჰცვალა. იმისს პირს რომ, ჩემთან მაინც, თუ არ ცხებილი საუბარი, არა გამოუთქუამსრა,—ახლა დასჩემდა ლაპარაკი მწარე და ამცვენი; ყოველი ჩემი გარეთ ფეხის გადადგმა გასაკიცხავად გადაიქცა. მამაჩემი ისეთის მოთმინებით ითმენდა, რაცკი ამას შეყსებოდა, რომ თჳთქმის ვეღარა ვჰსცნობდი; ჩუეულებაზედ უფრო ხშირად გარეთყოფნას კი და-ადგა, არ შემიძლია თუ არ მივიხედ-მოვიხედე და გული არას გავაყოლე. მეც ყოველთჳს თან დავჰყავდი და დიად ადვილს მორჩილებასა ჰხედავდა ჩემს მხიარულებაში, ყმაწვილურს მოუთმენლობაში და თჳთქმის ნებიერებამიაცა.

ერის დანიშნულს დღეს 185.. წლის სეკტემბერში ჩუენის სასახლის მახლობლათ დიდი იყო გამართული და რა საკვირველია მამიჩემის ცხენებიც იქ იქნებოდნენ. დილაზედ ადრე წავედით მამაჩემი და მე და საქმეს ისე ვაჩქარეთ, რომ საუზმეც იქვე ვისაუზმეთ. შუადღემ რომ მოატანა მე ცხენის ჭენებით ახლოს მივეჭენებოდი დაქიმბულს ცხენოსნებს, რომ ჩემის თვალით მეყურებინა, რომელი გაიმარჯუებდა; ამ დროს ერთი ჩუენი მოსამსახურეთაგანი მოვარდა და მითხრა, ნახევარ საათი მეტია რაც თქუენ დაგეძებთო; ბატონი ქალბატონს დაებარებინა და მის წამოსადათ და თქუენთან დამაბარა, ალბათ თქუენ დაიჯვანოთო!—ღმერთო ძლიერო! რა არის, რა მომხდარა?—მე მეგონა ქალბატონი ცოტა უფრო ავათ ბძანდებათ მითხრა და გავსწიე მაშინვე გაგიჟებულმა.

რომ მივედი, ჩემი და დამხუდა კარეთ; მწუხანეზედ დარბოდა ჩუენს ვრცელს და გაჩუმებულს ოთახში. ცხენიდამ რო ვჩქარებოდი მოირბინა ჩემთან, გადამეხვია და მითხრა: «მომაკუდარი მოვიდაო!» — სხუა ალოფურები რამე ან ჩოჩქოლი ჩუენს სახლს არა ეცოდინებოდა. რავქმნა, რა უნდა იყოს მეთქი, ვსთქვ ჩემს გუნებაში; კიბე შევირბინე

4.

და დედას თავისს რომ მივაწვინე, ფრთხილათ გამოვეღო კარი და მამა გამოვიდა იქიდამ. შევდექ მაშინვე: საკვირველად ფერმიხდილი იყო მამაჩემი და როგორღაც ტუჩები უთრთოდნენ.—

—მაქსიმე! დედაშენი გეძახისო.»

მინდოდა მეკითხა, როგორ არის მეთქი, მაგრამ ჯერეთ მანიშნა ჩუმათ და თვითონ ფანჯარას მიატანა, თითქო გარეთ გასვლას ეჩქარებოდა. შეველ. დედაჩემი იწვა და ცალი ხელი უძრავათ ჰქონდა გადმოკიდებული. წმინდა სანთელივით გათეთრებულს სახეზედ სიტკბოება ახლდა რაღაც გარდამეტებული და საკვირველი სიმშვიდე, ავათმყოფობაში რომ აღარ ეტყობოდა ისეთი. მე მაშინვე მუხლებზედ დავეშვ; თავი მძიმედ აიწია, თვალი გაახილა და გადმომხედა დიდის დაფიქრებით. მერე დიდად გამხნევებულის ხმით მითხრა:

—«საბრალო შვილო!... ჰხედავ... ვიღუწვი, ვიშლები... ნუ სტირი... შენ ჩემზედ... ცოტა... ხელი აიღე... ამ დღეებში... მაგრამ მოსაწყენი ვყავ.. ვნახავთ კიდევ ერთმანეთს, მაქსიმე... მოვილაპარაკებთ კიდევა... შვილო!... ახლა აღარ შემიძლია .. მოაგონე მამას, რაც აღმითქვა... შენ... ამ სიცოცხლის ბრძოლაში... მაგრათ იყავ შვილო!... და... მიუტევე უძლურთა!»—დაუმატო-

ებული გაჩუმდა, მერე, დიდის გაჭირვებით, თითი დამიქნია, მომაჩერდა და მითხრა: «შენი და!...» — დალურჯებული ქუთუთოები დახუჭა, მერე გაახილა ისევ თვალები და ყელი გაიშვირა როგორღაც საზარლად. მე შევჰკივლე, მამაჩემი შემოვარდა, ყელი მოჰხვია გაცივებულს და მოჰყვა მაშინვე ქვითქვითით ტირებას. ასე წარვიდა საბრალო წამებული. —

განსვენებულს დედაშენს ჭნებავდათ, მითხრა რამდენისამე კვირის შემდეგ მამაჩემმა, რომ სამზღვარის გარეთ მიიარ-მოიარონ და ვავლ ფრანციის გარეთ; დავიარებოდი სხვა და სხვას ქვეყანებში თვითქმის დღევანდელამდის. — მთელს წელიწადს გარეთ ვიყავი: რამდენათაც სიყმაწვილის აღტაცებული გული მიმშვიდდებოდა, იმდენათ შინაობის სიყვარული უფრო მიძლიერდებოდა და რაღაც მამერებდა შინ დაბრუნებას, რომ დავასრულებულვიყავი სათვალავს დედისჩემისას და სამყოფს ჩემის ბაცარა დისას; მაგრამ მამაჩემმა თვითონ დამინიშნა გარეთ ყოფნის ვადა და მე ისე არ ვიყავ გაზრდილი, რომ იმისი ნების წინააღმდეგობა გამებედნა როდეგორმე. სწორად მწერდა, მართალია, თუმცა ალერსით, მაგრამ მოკლეთ და არხადაკი აცხადებდა სურვილს, რომ ვადაზედ ადრე დავბრუნებულიყავ.

ამ მიზეზით უფრო შევშინდი, ამ ორის თთჳს წინეთ რომ მარსელს მოვედი და რამდენიმე წიგნი დამხვდა იქ მამისი; ყოველს წიგნში უფრო და უფრო მაჩქარებდა, რაც შეგეძლოს მალე მოდიო.

დახშული მწუხარი იყო ფებერვლისა, ჩუენი სასახლის გალავანი რომ დავინახე; თოვლით მოსილს არემარეში ძლივსღა ერჩივოდა. აივანში რომ შევედი, ერთი ჩრდილი დავინახე, მამაჩემსა ჰგავდა, ფანჯარაზედ იყო მიმდგარი ქუჩით სახლში, რომელიც დედიჩემის ავადმყოფობაში სულ დაკეტილი იყო. მივაშურე როგორც შემეძლო; მამაჩემმა რაწამს დამინახა, რაღაც უცნაური ამოიძახა, — მერე გადმომეხვია და ჩემს გულზედა ვგრძნობდი იმისი გულის ძგერასა.

— გაყინულხარ, შვილო! გაცჳდი, გაცჳდი! აქ ცივა, მაგრამ მე უფრო აქავარ ხოლმე, სულის მობრუნება მაინც შეიძლება აქა.

— როგორა ბძანდები, მამა!

— წყნარად, როგორცა მხედავ! — მიმიყვანა ბუხართან; მე იქ გამიშვა და თჳთან დაიწყო დიდის ნაბიჯით სიარული ამ უშველებელს ზალაში, სამი სანთელი რომ ძლივს ანათებდა. მე მეგონა ჩემს მოსვლამდინაც ამ სიარულში იყო.

გაკვირვებული და გაოცებული შევჰყურებდი მამა ჩემს. ამ გასმიორებულის სიარულში რომ იყო უეცრად შეჩერდა და შემომტყორცა ეს ლექსი:

—ჩემი ცხენები ნახე?

—მამაო!

—ჰო! მართალი! მომკვდი!.... მაქსიმე!... მე ერთი მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან!...

—ყურს გიგდებთ მამაო!

ჩემი პასუხი თითქო ვერ გაიგონა, მოჰყურა ისევ სიარულს და ამ სიარულში რამდენჯერმე მოიმძახა: მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან ბევრი, მოსალაპარაკებელი!!—ბოლოს ერთი მძიმე ამოიოხრა, შუბლზედ ხელი გადისვა, მერე სკამზედ დაეშვა და მეც მანიშნა, პირ და პირ დამიჯდექო. მაშინ, თითქო ლაპარაკის გაბედვა უჭირდა, გაჩუმებული შემომაჩერდა და ამ შემოჩერებულს თვალში რაღაც რამ ნაღველი გამომეტყველებდა, რაღაც სიმდაბლე, რაღაც ვედრება, რომ საოცარი იყო ამ ვეჟარის გულმაღლის კაცისაგან და დიდად შემაძრწუნა. რაც უნდა დიდი ბრალი ჰქონიყო, რაკი გამოთქმა ასე უჭირდა, მე ჩემს გულში ვჰგრძნობდი, რომ ყოვლითურთ შენდობილი იყო ჩემგან და ამ დროს უეცრად შეიცვალა ჩემზედ შემოჩერებულის თვალების გამომეტყველება და

შესდგა როგორღაც გასაოცრად, გამოუთქმელად და საზარლად. ქალი შეუთრთოლდა, თვით ზეზე წამოსდგა, იმავ წამს ისევ დაიწია და მიწას დაეცა მძიმედ, უგონოდ. წავსწვდი მისაშველებლად ქალი და დამხვდა უსულო, გაშეშებული.

აღარც სად დედა, აღარც სად მამა!!...

ჩვენი გული აღარა ჰსძგის, აღარ ანგარიშობს. იმისი დიდებაც ეს არის. ახლაც მიგხსენდი ყოველსავე: ერთი წამი კმარიყო, რომ განახლებულიყო ჩემს მეხსიერებაში და გამოკვეთებულიყო ის საქმე, ყოველდღეს რომ აიასნაირად მაგონებდნენ, მაგრამ მაინც ეჭვ ვერა ავიღერა. ახლაც მიგჭსენდი, რომ ოჯახის დაქცევა იყო აქ, ამ სახლში, ჩვენს თავზედ. მაგრამ რა? არ ვიცი, სულ რომ სიმდიდრით სავსე დაეცხევიბინა ჩვენთვის ეს სახლი, ნეტა თუ მაშინ უფრო ბევრს ვიცინებდი, ნეტა თუ უფრო ცხარე იქნებოდა მაშინ ჩემი ცრემლი. ჩემს მწუხარებას ზედ დაერთო უცნაური სიბრალული, მკლისავან მამის, და მეტად გულის მომკვლელი იყო ეს სიბრალული. ყოველთვის მაგონდებოდა იმისი თვალი შემზარებელი, დავრდომილი, იმედ გარდაწყვეტილი და ვიცანჯებოდი, რადგან ერთი ნუგეშინის მცემელი ლექსი მაინც ვერ მოუსმინე ამ უბედურს გულსა, მანამდისინ შეიმუსრებოდა

მეთქი და გაგიჟებული შევჰკიოდი, ვისაც ჩემი კივილისა აღარა ესმოდათ: «მომიტევებია, მომიტევებია მეთქი. ოჰ! ღმერთო! რა დღე იყო ის დღე!...

თუ სწორეთ მივხვდი, მე მგონია დედაჩემმა მამას პირობა გამოართვა, მამულს უმეტესს ნაწილს გავჰყიდით, ვალებს გავისტუმრებთ, რომელსაც თან და თან ამითი ემატებოდა, რომ სარჩო ყოველ წლივ ერთი მესამედით მეტი ჰქონდა შემოსავალზედა,— და მერე რაც მქლეები დამრჩება, იმისდა გვარად ვიცხოვრებთ. ამ აღთქმის აღსრულებას ცდილობდა მამაჩემი: რაც ტყე ჰქონდა სულ გაჰყიდა და რამდენიმე ადგილებიცა; მაგრამ რა რომ ხელში დიდი ფული მოიგდო, ცოტა რამ ვალებში მისცა და სხვა სულ ბირჟის აღებმიცემობის ბედს მიანდო; აქ უფრო ადვილად გავჰკეთდებით, და გაკეთების მაგიერად კი სულ ერთიანად დაიწვა.

მე კიდევაც არ შემეძლო გამეზომა ის უფსკრული, რომელშიაც ჩავჰსცვივდით. ჯერ ერთი კვირა არ იყო მამაჩემი რომ გარდაიცვალა და მეც ისე ავათ შევიქენ, რომ ორს თთუეზედ ძლივს მოვასწრიე ფეხზე ადგომა და ჩემის მამაპაპის სახლიდამ გამოსვლა სწორეთ იმ დღეს, როდესაც სხვა

შევიდა იმისს მფლობელობაში. ჩემი ბედი კიდევ რომ დედა ჩემს აქ პარიჟში ერთი ძველი მეგობარი დარჩა, რომელსაც ჩუწნი ოჯახის საქმეების წარ-მოება ჰქონდა მინდობილი, როგორც ნოტარიუსს და იმან მოგვხსნა ამ გაჭირვებულს მდგომარე-ობაში: იმას რომ თავს არ ედვა ჩემის საქმეების გასწორება, მე დიდად გამიჭირდებოდა, რადგან გამოცდილება არა მქონდა რა. სულ იმას მივან-დე ჩემის მემკვიდრეობისა და ჩემის მოვალეობის გამორკვევა და მგონია ეს შრომა დღეს შესრუ-ლებული უნდა ჰქონდეს. გუშინ დილას რომ აქ მოვედი, მაშინვე გავსწიე იმის სანახავათ, მითხ-რეს სოფელში არისო და საღამომდინ არ მოველია-თო. საშინელი იყო ეს ორი დღე: იჭვნეულება ჰსწორედ უარესია ყოველს სხვა საწყენელს საქ-მეზედ: მართლა ის არის, რომ სულს დაუღო-ნებს და მხნეობას მოძლის; რა უნდა ჰქნას კაცმა, თუ არ იცის რას მიჰყოს ხელი. ძალიან არ გამიკვირდებოდა ამ ათის წლის წინათ რომ ჩემთვის ეთქვა ვისმე ეს მოხუცებული ნოტარი-უსი რომ არის, მწიგნობრულს მეცუეწლებას რომ უწუნებდით ხოლმე, და ცივს ზრდილობას რომ უკიცხავდით შენ და მამა შენი, — იმისს ხელში ჩავარდება შენი ბედი და უკანასკნელის

გარდაწყუეტილების მოლოდინი იმისაგან ვექნე-ბაო!—რაცკი შემეძლო დღევანდლამდინ ფრთხი-ლად ვიყავ, რომ გარდამეტებული იმედი ჩემის თავისათჳს არა მიმეცარა: ჩემის ანგარიშით ვალე-ბი რომ სულ გავისტუმრო, სამი ან ოთხი ათასი თუმანი კიდევ უნდა დაგვრჩეს თავნათ. როგორ იქნება რომ ამდენი მაინც არ დაგვრჩეს, როდესაც ჩუენის საცხოვრებელის ფასი ხუთ მილიონამდის შეაწევდა. ახლა ჩემი განზრახუა ეს არის, რომ სამასიოდ თუმანი ჩემთჳს ავილო და ამერიკაში წავიდე, რომ ბედი იქა ვსცადო; და დანარჩენი სულ ჩემს დას დაუსაკუთრო.

კარგა საკმაოთ კი ვეწყერე ამაღამისათჳს. ვაჲ იმ წერასა, რომელიც ამ გვარს საქმეებს თვალ წინ წამოაყენებს. მაგრამ ცოტა არ არის გატეხოს, რომ გული დამიმშჳდა ამ წერამ.—შრომა, უმ-ჭკუწლია, ზეციერი კანონი არის კაცმა: რომ საქ-მეზედ ჯაფა გასწიოს რამე, არ შეიძლება რომ მაშინვე რაღაც კმაყოფილება არ იგრძნოს და გუ-ლი არ დაუმშჳდდეს. მაგრამ კაცი კი ერიდება ხო-ლმე ჯაფასა: იცის, რომ უსათუოთ კეთილის მყოფელი არის შრომა, ყოველდღე ჰგრძნობს ამას, თითქმის ყოველდღე უსარია დღეს ჯაფა გავსწიოთ, მაგრამ ხვალ კი ისევ იმავე გულის

სიგრილითა შეედრება ხოლმე კუციელებელსა. მე მგონია აქ ერთი რამ საკვირველი და საიდუმლო-ებითი სიცხეს შებრუნება უნდა გამოდიოდეს, თი-თქო შრომაში სასჯელსაცა ვჰგრძნობდეთ ღუთი-ურსა, და იპოვნისაცა მამაპირველის სამართლისასა. —

ხუთშაბათი.

დღეს დილას რომ გამოვიღვიძე, წიგნი მომი-ტანეს ჩუენი მოსიყუარებული უფალი ლობეჟენისა (*) სადილათ მეპატიჟებოდა და ბოდიშს იხდიდა მო-მეცხებულის კადნიერებისათვის: ჩემი საქმეებისაგი სხენებიაც ხელი არის იერია. ცუდი ნიშანია მეთქი, ვჰსთქვ ჩემს გუნებაში.

---

(*) სწორეთ გასაკვირვება საქმე, ჩემო თეიმურაზ, თუ აქ ცოტცოტაოდენს განმარტებაში არ შეგეგდიო. — ფრანცუზული ზრდილობა ისეთის თავხებისა არის, რომ ვერც კაცსა და ვერც ქალსა, ვერც პირში და ვერც ზურგს უკან; ვერ იხსენიებენ თუ არ ბა-ტონსათ და ქალბატონსათ; — მაგრამ არა; ბატონობა და ქალბატონობა იმათში არ არის; თუ არ უფლად და უფალოდ; კაცს ეძახან, ვინც უნდა იყოს, მოსიო, Monsieur (არ გამოითქმის ჩუენებურათა და რავჰქნა);

მანამდისინ სადილობა მოატანდა, ჩემი და ვამოვიყვანე პანსიონიდამ და პარიჟში მივატარ_მოვატარე. საწყალს ჩემნი დაკლაზაკებისა სულ არა

ქალს ეტყვიან მადამ თუ გათხოვილია, — და მადმუაზელი თუ გაუთხოვარია. არათუ დიდკაცსა, გუთნიდედა სოსიას რომ ეძახდე, მოსიო სოსიო, ასე უნდა დაუძახო; იმის ცოლს სოფუმასს რომ ელაპარაკებოდე, მადამ სოფუმანო, უნდა ეტყოდე ხოლმე; იმისს გოგოს ცაცას რომ აბარებდე რასმე, მადმუაზელ ცაცაო, ასე უნდა ეუბნებოდე. მე რადგან ფრანცუზული ანბავი გადმომაქვს, მართალია ფრანცუზებს ქართულით ვლაპარაკებ, მაგრამ იმათ ჩვეულებას ჩვენ ვერ მოუშლით; ბრიყუჱწბი ყოფილანო, რისთჳს ვათქმევინოთ. ამ მიზეზით მეც ყოველგან ვჴმარობ ამ ლექსებსა, მხოლოდ ერთს გარდა: თუ პირობას მომცემ, რომ ამ ლექსს, მოსიო, როგორც მე ვასწავლე, ყოველთჳს ისე გამოსთქვამ, ხომ რა კარგი; თუ არა და, მეტი ღონე არ არის, ამის მაგიერად ისევ ყუველი უნდა ვისმარო ხოლმე. ვიცი რომ ჩვენში ამ ლექსს ახლოს უფრო საკიცხავ ჭაზრად ჴმარობენ; მაგრამ რა ვუწყოთ. ნუ დავივიწყებთ, რომ ფრანცუზული არის ეს ანბავი და სულ ახლად ახალი.

ფუეეზარა. რამდენი რა სურვილი ჰქონდა, სულ ძჳრად დასაჯდომი, ვინ იცის. უხუად ყელი მე-წყო—ყელთაიმანებით, ფერად ფერადის ქაღალ-დებით, კანფეტებით თავის მეგობრებისათვის, სა-სუნებლებით, ძჳრფასი საჰნებით, პაწაწა სამსაცრო-კალმებით, ყოველისფერით, რაც გამოსადეგია მარ-თალია, მაგრამ ისე გამოსადეგი კი არა, როგორც ერთი კარგი სადილი. ნეტავი სულ ამ ფაუეებ-ლობაში დარჩებოდეს და სხუა არა მინდარა.

ექუსი საათი რომ შესრულდა, მიველ უფ. ლოპეჰინთან. არ ვიცი რამდენი ხნისა უნდა იყოს ეს ჩუენი ძუელი მეგობარი;—მაგრამ ჩემს ხსო-ვნაში რაც მინახავს ის არის: ახლაც სწორეთ ისე მეჩუენა, მაღალი, გამხდარი, ცოტა მოხრილი, თმა გათეთრებული და შებურცვნილი, გამბზარავი თვალები, შავი და სქელი წარბებით მობურვილი, სახის მეტყუელება სიმტკიცისაც და ლმობიერე-ბისაც. მაშინვე ვიცან იმისი შავი ტანისამოსი, თეთრი იმისი ყელობის შესაფერი ყელსახუევი,—ყელსახუევში მამაპაპური ბრილიანტის ქინძის-თავი,—რაღა ბევრი გავაგრძელო, ყოველივე გა-რეგანი ნიშანი ისეთის სულიერისა, რომელიც არის მძიმე, კანონიერი და ძუელთაგან მონათხრობის ჩუეულების მიმდევნი. ეს ბერიკაცი მელოდა თავის

პაწვარა ზალის გალებულს კართან. ჯერ მძიმედ
თავი დამიკრა, მერე ორის თითით მსუბუქათ ყე-
ლი მომკიდა და მიმაყვანა ერთის—სახით უბრა-
ლოს—ბებერთან, იქვე ბუხრის მახლობლად რომ
იდგა: «ქვალი მარკიზი დ'მას'სუ დ'ოცრივი,» —
ჩემი უთხრა თავისის მაღალის ზქელის და ამაყის
ხმითა; მომიბრუნდა ახლა მე და გამოცვლილის,
მოწიწების ხმით მითხრა იმისი: «მადამ ლობეპე-
ნიო.» —

დავსხედით, და არ იყო რომ პაწვარახანს ჩუმათ
ყოფნა არ გვაწუხებდა. მე მეგონა გარდაწყვე-
ტილს ამბავს მეტყოდა რასმე ჩემს საქმეზედ;
რომ დავეწყე ლაპარაკი უჭირდებოდა, კარგს აღარას
გამოველოდი და ამ აზრზე თითქო მადამ ლო-
ბეპენიც. მემოწმებოდა, რომ როგორღაც გაუბე-
დავათ მემომხედავდა ხოლმე. თჳთან უფ. ლობე-
პენი რაღაც ნაირათ ისე ახირებულად მიყურებდა,
რომ მზაკვრობისაგან თავისუფალი არ უნდა იყოს
მეთქი ვანბობდი; მაშინ მომაგონდა, რომ მამაჩემს
დაჩემებული ჰქონდა ამ ზდილის მოსაქმე კაცის
გულში ჩახედვა და იმისი ანგარიშიც ყოველთჳს
ისე გამართლდებოდა ხოლმე, რომ მდაბალი სული
ხდიოდა ამ ბერიკაცსა, და თუმცა ზდილობას მალას
აცვანდა, მაგრამ ელუსურიც გაჰკრავდა რაღაცა.

თითქო ცოცხათ არეული იყო ახლა ეს ნაგლეჯარი და თითქო საიდუმლო სიმღულილი ამ ბერიკაცისა-გან რაღასაც სიამოვნებასა ჰპოვებდა კეთილშობილის დამდაბლებაში. მე ამოვიღე ხმა, მაგრამ დიდათ კი ვცდილობდი, რომ ჩემი შემოწუხება არ შემემც-ნევინებინა.

«როგორ მოჰხდა, უფ. ლობეჯენო, რომ იქუწნს მუწლს ადგილს თავი აგრე ადჳლათ დაანებეთ? ვერას დროს ვერ ვიფიქრებდი, რომ ჴელს აიღე-ბდით.

—მართალია, ღუთის წინაშე, უფალო მარ-კიზო: სწორეთ ისეთი ორგულობა მომივიდა, რომ ჩემს ხანს აღარ შეეფერება; მაგრამე რარომ ჴე-ლობა სხუას დავუთმე, ადგილიც უნდა დამეთმო; რადგან ბეჭედს გადავსცემდი, ჴელობაც უნდა გარდამეცა.

—მაგრამ მაინც კიდევა ჰსაქმობთ ხოლმე!

—დიაღ, უფალო მარკიზო, ვჰსაქმობ მეგო-ბრობით, ვითარცა მიმხმარებელი. რამდენიმე პატივ-ცემული ოჯახი, რომელთაგანაც ორმოცის წლის განმავალობაში საქმეები მქონდა მონდობილი, ახ-ლაც მომანდობენ ხოლმე; რომელსაც გაუჭირდე-ბათ, ისევ ჩემს გამოცდილებას მოაცფანენ. მეგო-ნია შემემლოს ესეცა ვჰსთქუა, რომ ვინც ჩემს

რჩევას შესდგომია, სინანულში მჯრათ შესულა.

როგორც რომ ეს თავისი ღირსების დამოწმება გაათავა უფ. ლობენმა, ერთი მოხუცებული მსახური შემოვიდა და სადილი მზათ გახლავსთ, შეატყობინა. მაშინ მე შემხუდა ის პატივი, რომ მადამ ლობენი მე შევიყვანე სასანოვაგოს ზალაში. მანამდისინ სადილი გათავდებოდა ჩუენი საუბარის საგანი სულ ისეთი რამ იყო, რომ მნიშვნელობა არა ჰქონიარა და არც არის აქ მოსაგონებელი. უფ. ლობენი თავისს მასჯლს თვალს არ მაშორებდა და მად. ლობენი ყოველს საჭმელს შემომაძლევდა ისეთის გულშემატკივნეობითა და სიბრალულითა, თითქო მდებიარე ავათმყოფი ვჰყოფილიყავი. ბოლოს ავდექით და ბერი კაცმა თავისს კაბინეტში შემიყვანა; ყავა იქ შემოგვტანეს.—მაშინ მე სკამი მითავაზა, თვითონ ზურგი ბუხარს მიაქცია და უფალო მარკიზოო, მითხრა: მე თქუენ პატივი დამდევით და ჩემს ზრუნვას მოანდევით გარჩევა საქმეებისა, რაც რომ დაჰრჩა განსუენებულს თქუენს მამას უფალს მარკიზს დ' მანსეა დ' ოტრივს. მე გუშინ გაპირებდი თქუენთან წიგნის მოწერასა, მაგრამ თქუენი აქ მობძანება შევიტყე და ახლა ნებას მიბოძებთ პირად ჩაგაბაროთ ანგარიში, რაც რომ შეუდგა

ჩემს მზრუნველობასა და საქმობას.

—წინასწარვე ვჰგრძნობ, უფალო, რომ სასიამოვნო მაგდენი არა იქნებარა.

—დიაღ არა, უფალო მარკიზო, და არც დაგიმალავთ, რომ სრული თქუენი მხნეობა უნდა შეიმოსოთ და ყური ისე დამიგდოთ. მაგრამ ჩუეულება მაქუს საქმე რიგით უნდა მოგახსენო. ეს იყო, უფალო, 1820-ში, რომ მადმუაზელი ლუიზა-ელენე დუვალდ-დლაცუმ დ' ერუვილის ასული ითხოვა მეუღლედ მარლმა-ქრისციანე ოდიომ, მარკიზმა დ' მანსე დ' ოცროვმა. რადგან დუვალდ-დლაცუმის ოჯახის საქმეთ მწარმოებელი მთამომავლობით და მამაპაპათაგან მომდინარეობით. მე ვიყავი და ამ ოჯახის მემკვდრეს ყმაწვილს ქალსაც ისე ვჰყავდი მიჩნეული, რომ როგორც სარწმუნო მეგობარს, ისე მენდობოდა, მე ვალად ვჰგრძნობდი მაშინ ყოველი გონიერების იარაღი მომეხმარა და გულს მოდგინებით მეცადინნა, რომ იმისი გული უკუნმექცია იმ ყმაწვილის კაცისაგან და ეს დასაქცევი მისი მეუღლება დამერღვა როგორმე. დასაქცევი მეთქვ, იმისთვს კი არ ვამბობ, რომ უფალს დ' მანსეს შეძლება, თუმცა მამინაცვალი ვალი ბევრი, ჰქონდა, ნაკლები ჰქონიყო მადმუაზელის დლაცუმის შეძლე-

ბაზედ; ამისთჳსა გჳსთქჳ, რომ ვიცოდი როგორი ხასიათისა და ზნისა იყო, თჳთითქმის მთამომავლობით, უფალი დ/მანსე. გარეგანი თჳსება ჰქონდა დიდად მიმზიდველი და შეუბღალველად კეთილშობილური, როგორც სხუას იმის გვარისას, — მაგრამ ცხადად ვხედავდი იმისს განუცდელს უანგარიმობას, — განუკურნებელს წინდაუხედაობას, ლხინისა და მექცევის მოუხედავად მიდევნას და დასასრულ შეუბრალებელს თავის მოყვარებას...

— უფალო! მამიჩემის ხსენება ჩემთჳს ძჳრფასი არის და ვინცა ვინ ჩემთან იმაზედ ლაპარაკობს რასმე, მე მოველი, რომ იმასაც ასე მიახსნდეს

— უფალო, მომამასა მაშინვე აღშფოთებულმა ბერიკაცმა, — პატივსა ვსდებ თქუენს გრძნობასა; მაგრამ, როდესაც მამათქუენზედა ვლაპარაკობ, ვერ დავივიწყებ, რომ ისეთს კაცზედა ვლაპარაკობ, რომელმაც მოკლა დედა თქუენი, წმიდა მოწამე, ანგელოზი...

ზეზე წამოვარდი მეტად აღშფოთებული. ლოზეპენმა რამდენიმე ნაბიჯი გაიარ-გამოიარა და მომკიდა ხელი: «მომიტევე, ყმაწჳლო კაცო, მითხრა მაშინ: დედა თქუენი მიყვარდა მე; — იმდენი ბედნიერება თქუენ, რამდენი ცხარი ცრემლი მე იმაზედ გავფრქვე; — მომიტევეთ.» — დაუსრულოვდა

6.

ისევ ბუხარს: — მე ვიყავ, — დაიწყო კიდევ თავისის დიდებულის ხმით, — მე ვიყავ შემდეგნი და დამწერი ოქვენის დედის საქორწინო კონტრაკტის. (*) თუმცა მე დიდად ვსცდილობდი, მაგრამ ოქვენის დედის მზითევი მეუღლის საკუთრებად არ დამწერინეს და რის ნაილაჯობით ეს

(*) მართალია, ზოგი ერთს უცხო ანბავს ვითარგმნი სოლმე, ჩემო თეიმურაზ; მაგრამ ძნელი ეს არის, რომ თვითონ შენ, თუ არ ქართულს, იმასაც ათასში ერთხელ, სხვას არასა კითხულობ, და ამითი რამდენი ისეთი საქმე გრჩება, რომ ქვეყანამ იცის და შენკი არა. ვისაც უნდა დავენაძლევები, რომ საქორწინო კონტრაკტი რა არის არ იცი. — თარგმნას გარდა რამდენი ამისთანა განმარტება დამჭირდება შენთან, ვინ იცის. აი საქორწინო კონტრაკტი, ანუ პირობის წერილი რასა ჰნიშნავს, ჩემო თეიმურაზ! ფრანციაში და ზოგს კიდევ სხვა ევროპის ქვეყანაში, სჯულით არის დადგინებული ქორწინების წესი, რომელსაც ეწოდება სამოქალაქო, ან საერო ქორწინება. რაკი სასიძო და სასძლო სიტყვიერად დათანხმდებიან, მაშინ ნოტარიუსს მიიწოდებენ და ქაღალდს შეადგენინებენ, რომელშიაც დაწვრილებით უნდა იყოს

მაინც მოვახსენებ, რომ მესამედღიცარის ისე დარჩენ-
იყო, რომ მამათქჳჱნს თავისს საკუთრებასთან იმისი
შეერთება არ შესძლებიყო თუ არ თქჳჱნის დედისაგან
კანონიერად ნება დართვთა. მაგრამ რა გამოვიდა, უფა-
ლო მარკიზო; ნეტავი თქჳჱნის სიცოცხლით ამისი
ხსენება კონტრაკტში სულაც არა ყოფილიყო; ამის-
თჳს, რომ ეს იყო პირველი მიზეზი თქჳჱნის
დედის ტანჯვისა და წამებისა; ეს იყო მიზეზი
უთანხმოებისა, ბრძოლისა, ჩხუბისა და მამის თქჳჱ-
ნისაგან სიმკაცრისა და გულის წყრომისა; ბევრ-
ჯერ თქჳჱნც გაიგონებდით; ეს იყო მიზეზი,
რომ ჰკლიჯეს და ჰსწეწეს უკანასკნელი იმედი
უბედურის თქჳჱნის დედისა და უკანასკნელი საზრდო

---

გამოცხადებული: ქალს რა საკუთრება, ან რა
მზითევი მიზდევს თანა, და კაცი რას აძლევს პირის
სანახავს, ან საქორწინო საჩუქარსა: ან ქალის
მზითევზედ, ან კაცის საჩუქარზედ ვის როგორი
უფლება უნდა ჰქონდეს, ან თუ კანონით განშო-
რება მოუხდათ, ვის რა უნდა დარჩეს. რაკი ეს
დაიწერება, ყველანი ხელს მოაწერენ, და გათავდა.
ზოგან სულ ამითი დაბოლოვდება საქმე და ზოგან
სამღრთო კურთხევაც შეუდგება. ეს კარგათ გა-
ხსოვდეს, რომ კიდევაც გვექნება ამაზედ ლაპარაკი.

ლუკმა იმისი შვილებისა. —

— ოჰ, კმარა ღვთის გულისათვის.

— გმოჩილდებით, უფალო მარკიზო... რაც იყო, იყო: წარსულზედ ნულარას ვიტყვით, რაც ახლა არის ისა ვჰსთქვათ. რაკი პატივი მეცით და თქვენი საქმე მე მომანდეთ, ჩემი ვალი იყო თქვენ-თვს მერჩია, რომ მემკვდრეობა არ მიგეღოთ, მანამდისინ ყოველივე არ აღიწერებოდა და საქმე არ გაირკვეოდა.

— ეგ რჩევა მამიჩემის სხენებას შეურაცხჰყოფდა და რასაკვირველია არ მივიღებდი.

უფ. ლობენენმა სასტიკად შემომხედა და მითხრა: — თითქო არ იცოდეთ, რომ რადგან ამ კანონიერს რჩევას არ შეუდექით, ყოველი მემკვდრეობის ტვირთი თავს იდევით და ვალიც თქვენ დაიდეთ, რაგინდ გარდამეტებოდეს თქვენის საცხოვრებელის ღირსეულებასა. დიდათ ვჰსწუხვარ, უფალო მარკიზო, მაგრამ უნდა შეგატყობინოთ, რომ სწორეთ ასე არის საქმე. ამ რჩეულის ავთან თქვენ გამინჯავთ და დაინახავთ, რომ როგორადაც უნდა გაიყიდოს თქვენი სასახლე, იმას გარდა სხვა რომ აღარა გაგაჩნიათრა, მაინც თქვენ და თქვენს დას დაგედებათ კიდევ მამითქვენის ვალი ათას ორას თუმნამდინ.

ამ ანბავმა წელი მომწყვიტა, გამაქრუვა; ამას მერას დროს ვერ ვიფიქრებდი. რამდენსამე ხანს პირუტყვივით პირდაღებული ყურს ვუგდებდი საათის ჩაკიჩუკსა და გამოშტერებულის თვალით შევჰსცქეროდი.

—ახლა დრო არის ესეც შევატყობინოთ, უფალო მარკიზო, დედა თქვენი წინასწარვე ჰგრძნობდა, რომ რაც მოხდა უსაცილოდ მოხდებოდა, და რამდენიმე თავისი სამკაული მომაბარა, ღირეული სულ ათას სამას თუმნად. ეს ცოცხალდენი ფულიც რომ არ დაგვეკარგოთ, რადგან დღეის იქით სხვა აღარა გაგაჩნიათრა, და ესეც მოვალეებმა არ მოიგდონ ხელში, იმედი მაქვს ნებას მიბოძებთ, რომ თქვენ ჩაგაბაროთ.

—არა უფალო! მე დიდად მოხარული ვარ, რომ მაგ მოულოდნელის საშუალობით შეიძლება სრულებით გაიწმინდოს მამიჩემის ვალები და გთხოვთ ეგებიც მაგისთვს გადახდეთ.

უფ-მა ლობეჰენმა მსუბუქათ თავი დაიხარა.— ნება თქვენია, უფალო მარკიზო! მაგრამ არ შეიძლება არ მოგახსენოთ, რომ თქვენ და მადმუაზელ ელენეს ასიოდ თუმანზედ მეტი სულ აღარა დაგრჩებათრა და ამ ასი თუმნიდამ შემოსავალი გექნებათ... ბევრი, ბევრი, ხუთი თუმანი

წელიწადში. რაკი ეს ასეა, უფალო მარკიზო, ნება მიბოძეთ ვიკითხო, როგორც თქუენმა ვექილმა, მეგობარმა და პატივისმცემელმა: — ან თქუენ რითი უნდა იცხოვროთ, ან თქუენსავე საზრუნველს დას როგორ გინდათ უპატრონოთ? რას განიზრახავთ?

— აღჳარებ თქუენს წინაშე, რომ არავიცირა. რაც რამ აქამდისინ განზრახვა მქონია, ჩემს ახლანდელს მდგომარეობას აღარც ერთი აღარ უდგება. მე რომ მარტო ვჰყოფილიყავ, სალდათად შევიდოდი; მაგრამ და მყავს და ჩემს თავში ფიქრი როგორ დავიცვო, რომ იმას ნაკლულევანება ვაგრძნობინო და თავი ჴელსაქმობით ვარჩენინო. სრულის გულსმოდგინებით შეუდგებოდი ყოველს შრომასა, ოღონდ კი მოვახერხებდე როგორმე, რომ მე დიდის ჴელმოჭირებით ვიცხოვრო, და იმისთჳს, მანამდისინ პანსიონში არის, ქირის მლევა შევიძლო და ცოტაოდენი მზითევი მოუმზადო მომავალისათჳს.

ლობეპენი თავისებურათ შემომაჩერდა. — მაგ ყოვლად საქებარის ფიქრის აღსასრულებელად მგონია არ განიზრახვდეთ, უფალო მარკიზო, რომ სამოქალაქო სამსახურის თანამდებობაში შეხჳდეთ რაშიმე. ისეთი თანამდებობა ხომ მაინც უნდა იშოვნოთ, რო შესვლითგანვე ასიოდ ან ას ორ-

მოუც და ათიოდ თუმანი ვეძლეოდეთ ჯამაგირი; და მე უნდა მოგახსენოთ, რომ ახლანდელს ჩუენს დაწყობილებაში მარტო ქალის გამოწურთნა არა კმარა, რომ ამნაირი საუნჯე ქალში მოიგდოს კაცმა. იქნება ისევ მე მოგიხერხოთ როგორმე, რომ ამ თქუენის გაჭირვებისაგან თავი ადვილად გამოგაცვანინოთ. —

ახლა უფრო აღარ მომაშორა თვალი უფალმა ლობეპენმა.

— თავდა პირველად მოციქულად წარმოვჰსდეგები თქუენთან, უფალო მარკიზო, ერთის დაკლოვნებულის გაჭირისაგან, რომელსაც შეძლებაც კარგი აქუს და საქალიცა. ერთი დიდი საქმე განუზრახავს იმასა, მერე მოგახსენებ რაცა, — და აღსრულება კი არ შეუძლია, თუ ამ ქუეყნის არისტოკრატიამ (*) ქალი არ შეუწყო. ის ანგარიშობს, რომ თუ იმის განზრახულის საქმის დამწყობთა და მონაწილეთა შორის ისეთი ჩინებული

(*) არისტოკრატია ხომ იცი რას ჰნიშნავს? არისტოკრატი ჰქჳა ევროპაში დიდკაცს, თავადს, აზნაურს, ბარონს, ჰერცოგს, გრაფს და სხუანი. არისტოკრატია — დიდკაცობა; საზოგადოობა ანუ კრება დიდკაცთა.

საკვლიც იქნა, როგორც თიქჱტნია მაგალითად, უფალო მარკიზო, მაშინ საქმესაც კარგი საკვლი ექნება და სარგებლობაც დიდი შეუდგება, ამი-ტომ რომ უფრო ადვილად მიუნდობა ამღებმიმ-ცემი ხალხი, რომელსაც პირი და პირი შეესება ეს განზრახუა. ამ ანგარიშით ის მოგახსენებთ ჩემის პირით, თიქჱტნის მონაწილეობის ნიშნად, რო-გორც ამნაირს საქმეებში ჩუეულებათ არის მი-ღებული, მუქთად მიირთვით ათიოდე აქცია, (*) რომლისაც ფასი ახლა არის სამასი თუმანი და უეჭუელია, თუ საქმე კეთილად წარიმართა, დროზედ ერთი სამად შეიქნება. სხჳათა შორის...

---

(*) აქცია რა არისო, რომ მკითხავ, აკი გით-ხარი, ჩემო თეიმურაზ, წიგნები და ჟურნალები იკითხე ხოლმე თორემ ქუეყანა წინ გაგისწრებს და შენ დარჩები. აქცია აჲ რას ჰნიშნავს. ისეთი საქმე არის რამე, გსთქუათ, შესასრულებელი, რომ დიდი სარგებლობა უნდა შეუდგეს; მაგრამ შეს-რულებისაც კი ისეთი ხარჯი უნდა, რომ ერთი და ორი კაცი, რაც უნდა მდიდარი იყოს, ვერ შეს-ძლებს. მაშინ მმართებლობის ნებადართვით გამო-აცხადებენ ესა და ეს საქმე არისო; ამ საქმის შესრულებას ესა და ეს შეუდგებაო და ხარჯი ანგა-

— მანდ გაათავეთ, უფალო! მაგისთანა ჩირქიანი საქმე ლაპარაკათ არა ღირს —

რიმით ამდენი მოუნდებათ, ვჰსთქუათ ასი ათასი თუმანი (ესე იგი ერთი მილიონი მანათი.) — ეს ასიათასი თუმანი ჯერ რომ არსად არის, განნაწილდება, მაგალითად, ორი ათას ნაწილად, თითოს ფასი შეიქნა ორმოც და ათი თუმანი. აბა ვის ჰნებავს მონაწილეობა მიიღოს. — შენ მეგულება ექუსასი თუმანი, ნახევარი გადასდე და ექუსს ნაწილზედ მოაწერე ხელი; მე მოვაწერე შენზედ მეტი რომ მაქუს, ათზედ; არჩილმა მოაწერა ოცზედ; ზურაბმა სამოცზედ; ვახტანგმა, ხომ იცი როგორი შეძლებული არის, მოაწერა ასსზედ. ეს ჰნიშნავს რომ ჩუენ იმდენი იქცია ავილეთ, რამდენ ნაწილზედაც ხელი მოვაწერეთ. — ვადა იყო დანიშნული ერთი წელიწადი. ამ წელიწადში თუ ხუთასი აქცია მაინც დაირიგდა, საქმეს შეუდგნენ; დანარჩენიც უეჭუელია დაირიგდება; საეჭვო რომ ყოფილიყო ჩუენნისთანა ღონიერი კაცები არ გაერევოდნენ. — ახლა აქციების პატრონები შეიყარნენ, საქმის გამგებლად და მწარმოებლად მცოდნე და სანდო კაცები დააყენეს და გაიჩარხა საქმე. წელიწადში ერთხელ ყველანი შეიყრებიან და იმ დაყე-

თითქო ნაბურწკალი დააფრქვა ლობიანის თეჯა-
ლმათ, ისე საკვრველად და ისეთის მხიარულებით

ნებულს კაცებს, თუ ვექილებს, თუ დირექტო-
რებს, ანგარიშს გააწმენდინებენ. იმრიანა ღმერთმა
და მეორე წელიწადს ჩვენმა საქმემ ოცი ათასი
თუმანი მოიგო. ახლა ეს სარგებლობა უნდა გა-
ვიყოთ განა? რა ბევრი ანგარიში უნდა, თითო
აქციამ მოიგო ათასი თუმანი. ახლა მესამე წე-
ლიწადს, ახლა მეოთხე წელიწადს, საქმე თუ კარ-
გათ მიდის, სარგებელი გვემატება და გვემატება;
თუ ცუდათ მიდის, მაშინ იკლებს რასაკვრველია;
და აბა ჰე, არ იქნა, გავასაღოთ როგორმე ჩვენი
აქციები, თორემ ზარალში შევალთ, აუცილებე-
ლია.—სადაც აღებმიმცემი კაცები შეიყრებიან
ხოლმე, ჯერ ხომ ქვეყანაზე არ იცის რა ამბავია,
გაველ შენც იქა და უთხარ ამას, იმას, ფული
მეჭირვება და ამა და ამ აქციებს ხომ არ იყიდით
მეთქი. გამოჩნდა მუშტარი და თითო აქციაში მო-
მცა სამოც და ათი თუმანი. გავასაღე, მოვრჩი
და მოვისვენე. შენ არა დასდიერა და როდესაც
ქვეყანაში ჩვენს საქმეს ცოტად სახელი გაუტყდა,
მაშინ გასწვედი და შენი აქციების გაყიდვა მოინ-
დომე: შენ აქციაში ოცის თუმანზედ მეტი აღარ

შემომხედა მაშინ. ცოცხალდენმა ღიმილმაც გადაჭ-კრა შეჭმუხვნილს სახეზედ. —

— თუ ეს წინადადება თქვენ არ მოგწონთ, უფალო მარკიზო, არც მე მომწონს. ვალადკი მიმაჩნდა რომ მომეხსენებინა. მაშ ახლა სხუა ვთქვათ; მეორე. ეს კი უფრო საამო იყოს თქვენ-თვს და უფრო გასამხიარულებელი. ჩემს მეწლს

---

შემოვაძლიეს. ოც თუმნათ როგორ გავსცეთ ჴსოქვ და აცალე კიდევ რამდენიმე ხანი. ამასობაში სულ წახდა საქმე და ველარც ოცი თუმანი მოიცე, ველარც მანეთი. დაგეწვა შენი ფული. ჩუენს მარკიზსაც ასე დაემართა. ბირჟის ალებმიცემობა ამას ჰქჳა; ბირჟა საჯარო სალაყბოსა ჰქჳა, სა-დაც ვაჭრები, ალებმიმცემნი შეიყრებიან და თავისს საქმეებსაც არიგებენ ხოლმე. ფრანცუზულად ბირჟას ჰქჳა ბურს; იტალიანურად ბორსა, -ესე იგი-ქისა. ერთს ბირჟის სასახლეზედ სამი ქისა თურმე იყო გამოხატული და იმიტომ დაერქჳა ქისათ, ანუ ბურსა, ბორსა, ბირჟათ. — სხუანი ამბობენ, ერთი გოლლანდელი ვაჭრის სახლში იყრებოდნენ ვაჭ-რებიო; იმ გოლლანდელის გვარი ყოფილა ფან-დერ-ბურზი, თუ ფან-დერ-ბირზი და ვითამ ეს სახელი გადაედებოდეს სალაყბოსაც.

კლიენტთა შორის, რომელნიც საქმეებს მომან-დობდნენ, არის ერთი პატიოსანი ვაჭარი. კარგა-ხანია ვაჭრობას თავი დაანება, შეძლება კარგი აქვს, მშვდობით არის თავისთვს და ერთს თავისს ქალს შეჰხარის; გასათხოვარი ჰყავს ის ქალი და ჩემის ანგარიშით მზითევი ისეთი ექნება, რომ წელიწადში შემოუვიდეს უნაკლულოდ ორი ათასი თუმანი მაინც. საქმემ ისე მოიტანა, რომ ამ ქალმა სამიოდ დღე იქნება თქვენი ანბავი გაი-გო. მე მგონია შევატყე, შემიძლია კიდეც დარ-წმუნებით ვჰსთქვა, რომ ეს ქალი, თვითან რომ დიად საამო არის და ჩინებულის თვსებისა,—ერთს წამსაც არ დაფიქრდება თუ მარკიზმა დ/მანსემ ინება და ითხოვა. მამა თანახმა არის და თქვენგან ერთის სიტყვს მეტი არა მინდარა, უფალო მარ-კიზო, რომ ისინიც ახლავე დაგისაკმლოთ და იმათი სახლიც მიგასწავლოთ.

—უფალო ლომბეპენო! ეგ საქმე საკმაო მი-ზეზს მაძლევს, რომ დღესვე ქალი ავილო ჩემს გვაროვნობის წოდებაზედ, რადგან ამ ჩემს მდგო-მარეობაში სასაცილოც არის ჩემი ცოცული და მიზეზიც არის, რომ მაგისთანა უღირსი და უკა-დრისი ანგარიშები შემოაქვსთ ჩემზედა. მირეული ჩემის ოჯახის გუარი არის ოდრ.ოლ: დღეიდამ

მოკიდებული ეხლა უნდა იყოს ჩემი სახელწო-დება,—მაქსიმე ოდიო. ახლა უფალო, გული-თადს მადლობას შემოგწირავთ იმ გულ-შემატკი-ვრობისათვის, რომელმაც მაგნაირი სასაცილო საქ-მეები გაითქმევინათ ჩემთან ჲ გიხოვთ მომავლი-სათვის განმათავისუფლოთ ყოვლის განზრახჳსაგან, რაცკი ამაებს მოუმსგავსება.

—მაშ, უფალო მარკიზო, მე ახლა სრულიად ალარა გამაჩნიარა თქუენთან სათქმელი.

როგორლაც უცნაურად გამიმხიარულდა ბერი-კაცი, თავისი გამხმარი ხელები ერთი ერთმანეთ-ზედ შეახრიალა რამდენჯერმე ჲ სიცილით მით-ხრა:—«კარგა ძნელი მოსამწყუდევი ყოფილხართ! საკჳრველია, უფალო, რომ აქამდისინ ვერ შევა-მჩნიეთ: გასამცერებელი მსგავსება დაუწყრავს ბუნებას განსუენებულს დედათქუენსა ჲ თქუენ შორის. მეტადრე თვალები ჲ ღიმილი... მაგრამ გზას ნუ გადავსცდებით ჲ რადგან სარჩენათ ისეთი შრომა არა გნებავთრა, რომ პატიოსნებას არ შეა-დრებოდეს, ნება მიბოძეთ ახლა ეს გკითხო, ნიჭი რისა უფრო გაქუსთ ჲ რა შეგიძლიათ?

—მე რასაკჳრველია, ისე მზრდიდნენ, უფა-ლო, როგორც სიმდიდრეს ჲ უქმობას შეეფე-

რება. მაგრამ კანონებიცკი მისწავლია; ადვოკა-ცობის (*) წოდება მაქუს მიღებული.

—მოსარჩლეობის წოდება?—ეე ჰუ! მამ მოსარჩლე ხართ თქუენა, ჰა? მაგრამ ცარიელი წოდება რასა იქს! ხარჯი მოსამართლეობის წრე-ში უფრო მეტიც დასჭირდება კაცს და აქ... აბა

---

(*) ახლა ამასა მკითხავ, ადვოკატობა რა არისო? სადაც სამართალს სახალხოთა და სიტყუპერათ აწარ-მოებენ, იქ სამართლის ქუემდებარეს, მოდავე იქნება თუ დამნაშავე, კანონების მცოდნე უნდა ჰყავდეს მოსარჩლეთ, რომ იმის მაგიერად ლაპა-რაკობდეს. თუ სამართალში მიცემულმა კაცმა მოსარჩლე თჳთან ვერ ამოირჩია, მმართებლობამ უნდა დაუნიშნოს. ეს მოსარჩლე არის, რომელ-საცა ჰქჳა ადვოკატი; და ადვოკატობა ისეთი ღირ-სება არის, რომელიც სწავლით ეძლევა კაცსა, როგორიც სტუდენტობა, კანდიდატობა, დოკტო-რობა და სხუანი.—ადვოკატი უფალს დიმიტრი ყიფიანს მოსარჩლედ უთარგმნია და მგონია ქარ-თულს ენაზედ სხუა ნაირად აღარ ითარგმნებოდეს. მეც იმას უჯერებ და ასე ვთარგმნი, თუმცა რუ-სულად კი უფრო ვექილათა სთარგმნიან, ეს იგი პოვერენნიათ.

ერთი... მჭევრმეტყუელებასა ჰგრძნობთ რასმე, უფალო მარკიზო, თუ არა?

—ასე ნაკლებათ, უფალო, რომ საზოგადოებაში მგონია ორიოდ სიტყუაც ვერ მოვახერხო.

—ჰმ! ეგ დიალ ის არ არის, რასაც ორატორობის თჳსებას ვეძახით.—მაშ ახლა სხუა მხარე გავიშინ-ჯოთ. მაგრამ აქ უფრო განიერი ფიქრი გვმარ-თებს და ახლა გაუცყობთ დაღალული ზმანდებით უფალო მარკიზო! აჰ, ეს თქუენი რვეული; ჰთხოვთ თქუენც განიხილოთ თავისუფლად. მოა-ვალს მადლობას მოგახსენებთ პატივისცემისათჳს. ნება მიბოძეთ მოგინთოთ. როგორ ინებებთ! სხუა ზმანებას მოველოდე რასმე, თუ აღარა? მანამდი-ხინ თქუენის დედის ნივთებისაგან მოვალეებს გა-ვისტუმრებდე?

—რათა, რათა! მე იმედი მაქუს, რომ თქუენს შესასუწორს გასამრჯელოსაც მანდედამ აიღებთ.

გადმოვადექით კიბეს. უფ. ლობეპენმა ცივათ მითხრა მაშინ:—რასაც თქუენის მოვალეებისასა ზმანებით, უფალო მარკიზო, მორჩილებით აღვა-სრულებ თქუენს ნებას; და რაც მე შემეხება,— მე თქუენის დედის მეგობარი ვიყავი და იმის შვილსაცა ვსთხოვ, თუმცა მოწიწებით, მაგრამ დიდის გუ-ლს_მოდგინებით, რომ ისე გვეგულებოდე, რო-

ვორც მეგობარი.— მე ქალი მივაწოდე ზერია-კაცსა,—იმანაც გრძნობით ჩამომართვა და გავჭმიარო-დით ერთმანეთს.

რა რომ ჩემს სადგომს პაწარა ოთახში შე-მოველ, ამ სასახლის ძერს ქუჩეზ, მე რომ აღარ მეკუთუნის, მინდოდა ჩემის თავისათჳს დამემტ-კიცებინა, რომ აღარა გამაჩნიარა მართალია, მა-გრამ სასოწარკვეთილებამდინ მაინც არ მივალ მეთქი, კაცს რომ არ შეეფერება; და ვიწყე დღე-განდელი ანბის წერა იმ განზრახვით, რომ ჩემი მოსუცებულს ნოტარიოსთან საუბარი უმეცნაკ-ლებოდ გარდმომეცა ქაღალდისათჳს,—იმისი ლაპარაკი მაგარიც და თავაზიანიც, უნდობიც და გულშემატკივარიც, ბევრჯელ რომ გამაცინებდა ხოლმე, თუმცა სული მწუხარებითა მქონდა შე-ვუბებული.

მაშ აჰა სიგლახაკე.—ის სიგლახაკე კი არა, რომ იმალება, რომ ამაყობს, რომ მგრძნობე-ლობს და ჩემის ფიქრით ყრუ ტყეებში რომ შემქონდა, ველურსა და უდაბურს ადგილებში;—სიგ-ლახაკე ნამდვილი, გაჭირვება, დამოკიდებულება, უფრო უარესი კიდევ რაღაცა; სიღარიბე გამწარე-ბული დაცემულის მდიდრისა, სიღარიბე შავათ მოსილი, ტიტველს კელებს რომ ჰმალავს ხოლმე,

როდესაც მაყწლს მეგობარს დაინახავს სადმე! ახა, ძმაო, მაგრა ვიყოთ

ორშაბათი 27. აპრილი

ტყუილად ველოდი ამ ხუთს დღეში ლობეჰენის ანბავს; არა მომივიდარა. აღვარებ, რომ დიდი იმედი მქონდა იმისა; ისე მაჩვენა თავი, რომ ჩემს მდგომარეობაში მონაწილეობა სწორეთ მიიღო მეთქი, ვანზობდი. თავისი გამოცდილება, თავისი საქმეებში დახელოვნება, თავისი გავრცელებული მცნობობა და დამოკიდებულება რომ მოეხმარებინა, უეჭველია მალიან გამომადგებოდა. მზათ ვიყავ, რომ გზას დავდგომოდი, რასაც ის მაჩვენებდა; და ახლა კელმმლუანველად ჩემის თავის მეტი არა ვინ მეგულება. ჭეშმარიტად არ ვიცი, საით გადავდგა ფეხი. მე ის სწორეთ ისეთი კაცი მეგონა, ცოტას რომ აღსთქვამს და ბევრს კი აღასრულებს ხოლმე; მაგრამ ახლა მგონია სულ სხუა გამოდის. დღეს დილას მინდოდა მენახა, ამ განზრახვით, რომ იმისი მობარებული ქაღალდები მიმეცანა და მეთქუა, ჩემის შემოწმებითაც სწორეთ ისე გამოდისმეთქი; მაგრამ მითხრეს, რომ ეს პაციოსანი კაცი სადღაც სოფელში თურმე წასულა ამ

გაზაფხულში სიამოვნებით დროს გასატარებლად; ამ ორს სამს დღეს იქავ დარჩებით. სწორეთ ზარი დამცა ამ ანბავმა; მარტო ეს კი არ მაწუხებს, რომ თავი დამანებეს და აღარა დამდევრა, სადაც იმედი მქონდა რომ მეგობრულს ერთგულებასა და ყელის გამართვასა გვპოვებდი; მე ეს უფრო მაწუხებს, რომ როგორც აქ მოველ, ისე აქედამ უნდა წავიდე, — გამობერტყილის ქისის პატრონი. მინდოდა მეთხოვნა უფ. ლობენსკისათვის, ქვების რამდენიმე ესკისები მაინც იმ ასიოდ თუმნიდამა ვალების გაწმენდის შემდეგომ რომ უნდა დამრჩეს კიდევ; კმარა ამდენი ანახორეტად (*) ცხოვრება ჩემი პარიჟში; რაც რამ ცოტაოდენი ფული სამგზავროდ გადადებული მქონდა, რა სახია შემომეხარჯა, და ასე შემომეხარჯა რომ, საუზმეს ვილა ჭხრივის, სადილი მოვისურსით როგორმე მეთქი, ერთი ისეთი სულწასულობა ვისმარე, რომ უნდა აქ მოვისხენით: დავიწყება არას დროს არ შეიძლება.

კაცს თუ საუზმე არ უჭამია, სადილი უფრო

---

(*) ანახორეტი ჰქვა განდეგილს, მარტომყოფს.

უნდა. ეს ისეთი აქსიომა (*) არის, რომლი-
საც ჭეშმარიტება კარგათ გამოჳსცადე, მანამდისინ
დღევანდელი მზე თავისს მგზავრობას დასრულე-
ბდა. ჭაღრის სიტკბოებაშ რომ დღეს სავსე ვარდი
გამოიფურჩნა, მოსურნეთა შორის, რომელნიც გა-
ზაფხულის ღიმილს მეჭვარტდნენ, იგი ერთი კვირი,
ჯერ კიდევ ყმაწვილი და ურწუნარის მესახედაობის
მქონი, თითქო ბუნების გამოლეჭებასა ჭმენდავსო
და იკვლევს, თუ როგორ მოსდევს ზამთარს გა-
ზაფხული. თვალით მინდვრას თითქო არ აკმარებდა
ახლად აღმოაცენს მწვანეს, ახალ გამოსხეპილს
ყოყორებს ქურდულად ჭვრეტდა და ბირთან მიიზი-
დავდა, როგორც მებოსტნე ვინმე გამომეძიებელი
და მეცნიერი. მე გული დავაჯერე მაშინ, რომ
ეს სანდრო, ზღვიდამ გუშმეფლოთგან მომოლობული,
კაცს მოადგენს არისა ჭმუწლის და მუმოლებათაც
არა ღირდა. მაგრამ ჩემს მეცნიერებას კი რამდე-
ნიმე ახალი ჭსწავლა მოემინა; მაგალითად: ვიცი
ახლა, რომ წაბლის ხის ფოთელი ხირმიაც ისე

(*) აქსიომა ისეთს გარდაუწყვეტელს ჭაზრსა ჰქვია, რომელზედაც ბასი აღარ შეიძლება, მაგალითად: დღე ნათელია, ღამე ბნელია; ორჯერ ორი ოთხია;— სამი ორზედ მეტია და სხვ.

ემწარება კაცსა, როგორც გულზედ;—ვარდის მწუანე ფოთოლი არ არის ცუდი; ცაცხვს ფოთო-ლი წუნიანია და გემრიელი; იასამანს თითქო ბილ-ბილი აქუსო და მგონია მაწყინარიც იყოს.

ამ გამოცდილების ფიქრში რომ ვიყავ, ელე-ნეს პანსიონისაკენ დავადექ გზასა და ფეხი რომ შევდგი სალაპარაკოს ოთახში, სკასავით გაცხენილი დამხუდა ის ოთახი. ამ პატარა ფუცკრის ზუზუნს ისე არას დროს არ დაუყრუებივარ, როგორც ასლა დამაყრუვა: ელენე მოვიდა ჩემთან, თმა აბურცუნი-ლი, ლოყები ანთებული, თვალები დაწითლებული და აპრიალებული. ხელში ერთი თავისი მკლავის სი-გძე პური ეჭირა. როგორღაც დაკრთომით მომე-ხვა და ვჰკითხე:—აბა, ქალო-ჯან, რა იყო მით-ხარი? გიტირნია განა?

—არა, არა, მაქსიმე, არაფერია.

—მაინც, რა არის, გნახოთ ერთი.

ხმა დაიმდაბლა, და ისე მითხრა:—ოხ! ძალიან უბედური ვარ მე, ჩემო საწყალო მაქსიმე!

—მართლა? აბა ერთი მომიყევ მე საბრალოსა; ეგ პურიცკი სჭამე ნუ გეშინიან, არას დაგიმლის.

—პურს რა მაჭმევს; მეცვათ უბედური ვარ, რომ პურის ჭამისათვნა მეცხელოდეს. მენ კარგათ

იცნობ ლუციას, ლუცია კამბელს, ჩემი საყვარე-ლი მეგობარი რომ იყო! საშინელი უსიამოვნოება მოგვივიდა მე და იმასა,

—ახა გაათავსა!... მაგრამ ნუ სწუხარ, ჩემო პაწაწკუნა! მალე გარიგდებით, ნუ გეშინია.

—გავრიგდებით? შეუძლებელია მაქსიმე! მე-ტად ძნელი საქმე დაგვემართა. ჯერ კიდევ არაფე-რი; კაცი თან და თან უფრო გაფიცხდება და ლუ-ციას თამამობაში ანგარიში შეემალა: მე ექჳსას ოთხმოც და ცხრა მქონდა, იმას ექჳსას თხუთმე-ტი. დაიყინა ექჳსას სამოც და თხუთმეტი მაქჳ-სო. მეტის მეტი იყო, მართალი უნდა გითხრა; მე რასაკვირველია ჩემი არ მოვიშალე, იმან თავი-სი.—მაშ კარგი მადმუაზელ მეთქი,—ამ დემუ-აზელებსა (ქალებსა) ვჰკითხოთ, იმათი ყაბული მაქჳს მეთქი.—სულაც არა მადმუაზელოო, მე ჩემს ანგარიშზე დარწმუნებული ვარო და თქჳენ კი ცუდი მოთამაშე ბძანდებითო.—მაშ კარგი მადმუაზელო მეთქი, რაკი აგრეა, თქჳენ ცრუ მოთამაშე ბძანდებით მეთქი.—კარგი მადმუაზე-ლოო, ახლა იმან მითხრა; მეტად მეჯავრებით, რომ მაგისი პასუხი გეღირსოთო. ამ დროს ჩჳე-ნი მოლოზანი სენტფილიქსი რომ არ მოსულიყო სწორეთ ცემას უპირებდი... აქ რა მოხდა მაქ-

სიმე! შენ თითონა ჰხედავ ახლა, რომ ჩუენი გარიგება აღარ შეიძლება; შეუძლებელია; სულმოკლეობა იქნება სხუა არა იყოსრა. მაგრამ არ ვიცი რა გითხრა, როგორია გსწუხვარ; მგონია ჩემზედ უფრო უბედური ქუეყანაზედ აღარავინ იპოვებოდეს.

—რასაკვრველია, ჩემო პაწარა; როგორ შეიძლება რომ კაცმა შენს უბედურებაზედ უმეტესი კიდევღა წარმოიდგინოს რამე; მაგრამ მე ჩემებურათ გეტყჳ, ცოტა შენი ბრალიცკი არის. ამ ჩხუბში შენი პირიდამ ამოსული ისეთი ლექსი, რომ წყენა მეტი აღარ შეიძლება. აბა ერთი ვნახოთ, აქ არის თუ არა, შენი ლუცია?

—დიახ! აჰგერა ჰზის კუთხეში,— და თავით მანიშნა ერთი პაწარა ძალიან პირ თეთრი ქალი, რომელსაც ამასვითვე ლოყები შებრაწული ჰქონდა და თვალები დაწითლებული და ერთს ხნიერს ქალს თითქო იმავ საზარელს ანბავს უანბობდა, სენტფელიქსის მოსვლას რომ შეუმოკლებია. რომ ელაპარაკებოდა, მადმუაზელ ლუცია ხან და ხან ჩუენსკენ მოიხედავდა ხოლმე მრისხანეს თვალით.—

—აბა, ჩემო საყვარელო ლოლა! მითხარი ერთი მე მენდობი თუ არა, ვჰკითხე ელენეს.

— დიაღ, შენ როგორ არ ენდობი, მაქსიმე!

— მაშ აჲ რა უნდა ქნა! შენ წასვალ სულ წყნარა და მადმუაზელ ლუციის სკამს უკან დაუდგები. მერე ასე მცრულათ მოჰხუწვ თავზედ ძელებსა; — ასე აკოცებ, ძალიან, ორივე ლოყაზედ, და მერე ჰნახავ ის რასა იქს.

ელენე თითქო შეფიქრდა ცოტას ხანს. მერე გასწია როგორც შეეძლო და მეხივით ეტაკა ლუციას. ეს ორნი პაწაწა უბედურები, ახლა სამარადისოდ შერიგებულნი, ერთმანერთს გადაეხვივნენ და გარეცხეს ერთმანერთი ცრემლითა; ამასობაში ბებერი და პატივცემული დედა ლუციისი მოჰყვა ცხვრის ხოცას და სულ დუდუკივით აკვლებდა.

ელენე მოვიდა ისევ ჩემთან გახარებული.

— რა ქენი ჩემო ელენულა! ახლაკი მგონია აღარ დაიწუნებ მაგ პურსა!

ოჰ! როგორი არა, მაქსიმე! იცი რა, ჯერ ძალიან აღტაცებული ვარ სიხარულითა და მერე უნდა გითხრა, რომ დღეს ერთი მოწაფე შემოიყვანეს, ერთი ახალი, და საყველა შაქრის პურებით გავავსო, ასე რომ სულ აღარა მინდარა. ახლა რა უყო არ ვიცი, — ჩვენს უსიამოვნებაში ამ პურის მენახვა სულ აღარ მომგონებია და მეშინია არ გამიჯავრდნენ, თან რათ დაგაქუსო. მაგრამ ვეც-

დები, ყვების ფანჯრიდამ გარეთ გადავაგდო, რომ ვერ შემიცყონ.

როგორ თუ გადააგდო მეთქი, მივაცვანე და არ თუო რომ ცოცხათ არ გავსწითლდი,—მაგონდენა პური გინდა გადააგდო, ჩემო ლოლუნა?

—ოჰ! ვიცი ცოდვაა; იქნება ისეთი ღარიბი იყოს სადმე, რომ ამ პურის მოვნაც ენატრებოდეს, ვინ იცის, განა, მაქსიმე?

—უეჭველია, რომ არის მაგისთანა ღარიბი, ჩემო ელენე!

—მაშ რა ვქნა, როგორ მოვახერხო; გლახა აქ არავინ შემოდის და რა უყო!

—იცი, რა ელენე! თუ გინდა მე მომანდე ეგ პური და ვინც აგრეთი ღარიბი შემომხვდება იმას მივცემ; გინდა თუ არა?

—რასაკვრველია, რასაკვრველია!—ამ დროს განშორების ზარი დარეკეს, პური შუაზედ გადავსტეხე და სირცხვილით პალტოს ჯიბეებში ჩავიწყე.—

—მაქსიმეჯან! მალე ნახვამდის, განა? მაშინ მითხარი, ღარიბი შემოგეყარა ვინმე თუ არა, ჩემი პური მიეცი თუ არა, და მოიწონა თუ არა?—

ჰო, ელენე! შემომეყარა ღარიბი, მივეცი შენი პური; ზევით თავისს სადგომში აარბინა, როგორც

მოტაცებული რამ სამოვარი და ძალიან მოიწონა; მაგრამ ეს ღარიბი რაღაც სულწასული ღარიბი იყო, რომ ცრემლითა სტიროდა, როდესაც დამშეული შენგან შეწირულის შესჭირვებლით ილუკმებოდა, ჩემო სასურველო დაო! ვიცი ამას ყოველსავე, ელენე; კარგია იცოდე, რომ არის ქვეყანაზედ მწუხარება, შენს ყმაწვილურს მწუხარებაზედ უმძიმესი; ვიცი დროზედ ყოველსავე, მაგრამ ღარიბის საქმეს კი ვერარ ვიცი.

ჭარასხევი, **28**. აპრილი.

ამ დილას, ცხრა საათზედ მივედი უფ. ლობჟენის კარს და ზარი დავწკარუნე; იქნება მოსული იყოს მეთქი; მაგრამ სტუმრობიდან არ მოელიან. მაშინ ფიქრში მომივიდა, მოდი მადამ ლობჟენთან მივალ და იმას შევატყობინებ, როგორ საწუხრათ არის ჩემთვის ამდენს ხანს გარეთ ყოფნა იმისი მეუღლესი მეთქი. არ ვიცოდი, ჩემო მორცხვობა უფრო დამძლევდა, თუ გაჭირვება და ამ ფიქრში რომ ვიყავი, ერთი ბებერი მოახლე გამოვიდა; დამშვიდებულს თვალებში რომ შემომხედა, შემინდა და ისე შევარდა შინა, რომ კარი ცოტას გაწყდა რომ ზედ ცხვირზედ არ მომახეთქა. გამოვბრუნდი

და ვჰსთქვ, რა გაუწყობა, უნდა სუჯალომდინაც ვი-მარხულოთ, ორის დღის შიმშილით ჯერ კაცი არ მომკუდარა მეთქი.

გავსწიე სორბონნისაკენ, სადაც ადრე მრავალ-ჯერ ვჰყოფილვარ, ერთი გამოვსცადო მეთქი, შეიძლება თუ არა, რომ სულის გამხიარულებით შეავსოს კაცმა ნაკლულევანება, რომელსაც მალი-ან ჰგრძნობდა ჩემი სტომაქი. მაგრამ მოაწია ისეთმა საათმა, რომ ველარც ეს გამოვსცადე. როგორღაც მალიან ცუდს გუნებაზედ ვიყავი, რასაკვირველია მარხულობის სისუსტისაგან, და სია-რული მარგებს მეთქი მეგონა. ცივი დღე იყო და ნისლიანი. წმიდა პეტრეს ხიდზედ რომ გამო-ვდიოდი, თითქმის უნებლიეთ შევდექ ცოტას ხანს; ხარისეს გადავეყრდენ და წყალს დაუწყე ცქერა, რომ გარბოდა და გარბოდა. არ ვიცი რა ეშმა-კეულმა ფიქრმა გამირბინა მაშინ ჩემს დაღალულს და დაუღონებულს თავში; გამოცხადებით თვალ-წინ წარმომიდგა გაჭირვების ბრძოლა დაუბო-ლოვებელი, დამოკიდებულება და დამდაბლება, რომელშიაც დაბნელებულის შიმშილის კარით შე-ვდიოდი და გამოსასვლელი გზა აღარსადა ჩნდა. რა-ლაც განწირვითი თავის მომულება ვიგრძენ უსა-თუო და ვჰსთქვ: ყოვლად შეუძლებელია ჩემთჳს

სიცოცხლე მეთქი. მაშინვე ერთი რაღაც მხეცუ-რი გულის წყრომა ამივარდა, დამაყრუვა, დამა-ბნელა და წყალს რომ გადავჰხედე, თითქო სულ-ბრწყინვალე წინწკლებით იყო აელვარებული.

მე, არ ვიცი, როგორც ჩვეულება არის: ღმერთმა არ-ინება მეთქი. არ მომწონს მე ეს გლეხური სიცოცხლე. მე ვამბედავ და ვიცი, რომ თვითონ მე არ მოვინდომე! ღმერთმა ჩვენ თავისუფლად და-გვბადა, და თუ ამაზედ ეჭვ მქონია როდისმე,— ახლა, ამ სიკვდილის ჟამს, როდესაც სული და ხორცი, მხნეობა და სულმოკლეობა, სიკეთე და სიბოროტე,— ეს გამოცხადებით სასიკვდილოდ იბრძოდნენ ჩემ შორის.— ახლა განქარვდა ყოვე-ლი ჩემი ეჭვ სამარადისოდ.

რა რომ თავი უფლად ვიგონე, ამ საზარელმა მდინარემ სხვას ველარას განსაცდელში ვერ შემი-ყვანა, თუ არ ამ სრულიად უბრალოსა და თით-ქმის სასაცილო განსაცდელში, რომ მათქმევინა, ჩავალ და წყურვილი რომ მარჩობს, ამ წყურვილს იქ მოვიკლავ მეთქი. მერე ვიფიქრე, რომ ჩემს ოთახში ხომ უფრო წმიდა წყალი დამხვედრებო-და მინის ჭურჭლითა და მაშინვე გამოვსწიე სასახლი-საკენ, ადრევე გახარებულმა იმ სიამოვნებით, რო-მელიც იქ მიმელოდა. ახლა მიკვრდა, რაცრომ

აქამდისინ არ ვიფიქრე ეს. ბულვარში შევჰხვდი უეცრად გასტონ დევოს, რომელიც ამ ორის წელიწადში არსად შემხვედრია. ჯერ თითქო არ იცოდა რა ექნა, მაგრამ შედგა, მეგობრულათ ჴელი ჴელს მომკიდა; თჳთოდ სიტყუჲა მკითხა ჩემს საზღვარგარეთ ყოფნაზედა და დამანება თავი. მერე ისევ გამომიბრუნდა და მითხრა: «უნდა ერთს სამდიდრეში გაგიამხანაგო. ერთი საპალნე სიგარა მომივიდა, რომ თითო ნახევარ მანათათ ღირს, მაგრამ დაუფასებელი რამ არის. აჰა, ერთი; მერე შეიტყევ, როგორი მოგეწონება. გამარჯვებით, ჩემო კარგო.»—

გაჭირვებით შევიარე კიბე მეექუსე ეტაჟამდინ; ფაფაცუცებით ვჰტაცე ჴელი ჩემს ბედნიერს მინას და რაც შიგ იდგა, ერთ ყლუპად გამოვსცალე. მერე მეგობრის სიგარას მოუკიდე ცეცხლი და ჩემს სახეს განმამხნევებელის ღიმილით შევჰხედე სარკეში.—ცხადად ვატყობდი ახლა, რომ გარეთ სიარული სწორეთ მომიხდა და ისევ გამოველ შინიდამ, პაცარა კიდევ მივიარ-მოვიარო მეთქი. კარი რომ გავაღე, დერეფანში სასახლის მცუწლის ცოლი დამხვდა და მეწყინა; თითქო ისიც შეკრთა, რომ ასე უეცრად მოვჰკარ თვალი. ეს დედაკაცი ადრე დედაჩემს ახლდა, კარგად მიჩნეული ჰყავდა,

გაათხოვა და ამითი სასარგებლო ადგილი უშოვა, რომელიც ახლაც უქირავს. სასახლის მცველსა და იმისს ცოლს საქმე არ გამოელევათ და გამოსარჩენიც საკმაოდ ექნებათ. ახლა მომაგონდა, რომ რამდენიმე დღე არის თითქო მე მიდარაჯებს ეს დედაკაცი და რადგან დღეს თვალი ასე შევასწარი,—რა გინდა აქა მეთქი, შევსძახე განრისხებულის ხმითა.

— არა ფერი, უფალო მაქსიმე, არა ფერი, ვაზს (*) გამზადებდი.

(*) აქ ვაზი ლურსმის მოსავლეჯი იარაღიკი არ გეგონოს,—ან ქალების სალეჩაქე· მე და შენ რომ ბაქოს ვიყავით და იქიდამ სურასანსაც რომ წავედით, იქაური ცეცხლები ხომ გახსოვს ჩემო თეიმურაზ, მიწიდამ რომ ალათ ამოდის და მილთონები რომ თაყვანსსა ჰსცემენ. იმ ორთქლსა, იმ ჰაერს, თუ იმ ალსა, მიწიდამ რომ ამოდის და ცეცხლი თუ მიაკარეს, მაშინვე რომ აენთება ხოლმე და თჳთან რო აღარ გაქრება, თუ კაცმა არ გააქრო, იმას ეწოდება ბუნებითი გოგირდ-წყალგვაროსანი ვაზი· ევროპაში ამისთანა ვაზს კელოვნებით აკეთებენ და ამ კელონაქნარის ვაზით ანათებენ ქუჩებსაც, და სახლებსაც. ქალაქშიაცკი ენ-

მხრები შევიკრიბე და გაჯავრებული გავედ გა-რეთ.

ღამდებოდა. შეიძლებოდა ისეთს მყუდროს ად-გილებს მევლო, რომ მცნობი შემომხუდება ვინმე მეთქი, ფიქრი არა მქონია. ხიდარის წვამ გუ-ლი ამირია და გადავავდე. ასე ვიარე ორიოდ სამი საათი, მეტად გაჭირვებულმა. — რაღაც რამ უცნა-ური გულის წყვლა ემართება კაცსა, როდესაც გარეშემო სულ მოქალაქეობის ბრწყინვალება და ხიუხუჭ არეული და ამ შუა განცხრომაში რაღაც ველური სენი რომ შემოუტევს, შიმშილი. გავი-წყდება კაცი: თითქო რაღაც ვეფხვაო, ფოცხვერიო დამშეულს რომ ველში აფრინდება ამ ხალხით გაჭყენილს ბულვარზედ.

შეველ ქალახლად ჴსჯაში. — მაშ ცარიელი სი-ცუფა არა ყოფილა შიმშილი. მაშ მართლა ყო-ფილა ქვეყანაზედ ისეთი სნეულებაცა, რომელსაც ეს სახელი ჰრქმევია. მაშ ადამიანებიც ყოფილან რომ ხშირად ჰგრძნობენ, იქნება ყოველდღეცა

---

თო ხოლმე გაზი ფანრებში, თუ გახსოვს, ვარან-ცოვის დროს, მთავარმმართებლის სასახლის წინა, ბიჭები რომ ეხუწოდნენ და კითხულობდნენ: ვა! ეს რა ანთიაო!

ჰგრძნობდნენ, რასაც მე ვჰგრძნობ ახლა, რომ აქამდისინ ამისი არა მცოდნიარა. ვინ იცის, ზოგს იქნება რამდენიმე სხუა სენიც დაემართებოდეს, რომლისაგანაც მე თავისუფალი ვარ ახლა. — ის ერთად ერთი ჩემი საზრუნველი სულდგმული ხომ მაინც კარგათ მეგულება: თვალწინ მიდგია იმისი საყვარელი მხიარული სახე, ვარდის ფერი და მოცინარი. მარტო თჳთან რომ არ იტანჯებიან, ისინი? თავისი საკუთარი შვილის ელდა რომ საყვარლის პირიდამაც ესმისთ, თავისს გაცივებულს სადგომში ცოლი რომ ეგულებათ ლოყებ ჩამომჭნარი და გაყვითლებული, შვილები რომ ეგულებათ უცინარნი და ხმა ჩაკნავებულნი, — ისინი? ოჰ! ღმერთო!.... ოჰ! წმიდაო კაცთმოყვარებაო!...

ამ ფიქრების მიზეზით დრტჳნვა ველარ გავებედე; განსაცდელში ვარ და უნდა ბოლო გავატანო. მე შემეძლო შემემოკლებინა ეს განსაცდელი, აქ ორი სამი სასტუმრო (*) არის, სადაც მიც-

(*) თუ რუსულისა და ფრანცუზულის ენის მცოდნესთან შეხვდეს ვისთანმე ლაპარაკი, თეიმურაზ! გეთაყვა მოელაპარაკე იმათ, შეიძლება თუ არა სასტუმრო დავარქუათ ისეთს სახლსა, სადაც ყოველი კაცი თავის-უფლად შევა, რასაც ინებებს საჭმელსა და სასმელს მოითხოვს; თუნდა

ნობენ და ხშირად მომსვლია, რომ დაუფიქრებლად შევსულვარ, როდესაც სიმდიდრეში ვიყავ, თუმცა ქისა კი თან არა მქონია. შემეძლო, რომ ასე შესვლა ახლაც გამებედნა. ისე მანათის მოვნა არ იყო პარიჟში ჩემთვის ადვილი, როგორც ესა;— მაგრამ მოსამსახურეები სილარიბესა და ჯიბის სიცალიერეს როგორღაც სუნით შეიტყობდნენ ხოლმე მაშინა და უეჭუელია ახლა მეც გამომაბრუნებდნენ.

ერთს ან რამდენსამე ოთახს სადგომად დაიჭერს, სადაც მოსამსახურენი ბევრნი არიან და სტუმრის ნებას ყოველსავე ასრულებენ? ამისთანა სახლს ჩუენებურად,—ეჭვ არ არის, სასტუმრო ჰქვა, თუ აქვს ვისმე. მაგრამ ჩუენსა და ევროპიელებში ეს განსხვავებაა, რომ აქ სტუმარს ფულს არაფერში გამოვართმევთ და იქ უფულოდ მეხედვთაც არაფერზედ შეახედებენ.—რუსებში ამას გოსტინნიცას ეძახიან, ანუ ტრაკტირს, ანუ რესტორაციას. ფრანცუზებში—რესტორანს, კაფეს. ჩუენში სტუმარს იმიტომ ვსცემთ პატივსა რომ სტუმარია; იქ იმიტომა სცემენ პატივს, რომ ფულებს გამოელიან იმისაგან; მაგრამ სახლის მნიშვნელობა კი ერთი და იგივე არის: სტუმართ მიღება; აქ მუქთად, იქ ფულით.—

ღარიბთათჳს მეტად სასტიკეცია ეს გზა და არ მინდა ფეხი დავადგა ამ გზასა: ჩემის ფიქრით ისევ პატიოსნობის დაკარგვა სჯობია, თუ აუცილებელია, სიდელიკატის (*) დაკარგვასა, გამომჩენი რომ არის საქუეყნოს სათნოებისა, კაცის შეუგინებლობისა.

---

(*) ოჰ! თეიმურაზ! ეს რა ჭირში შემიყვანე, რომ ამდენი ლექსები უნდა განმამარტებინო. დელიკა, დელიკატეს, დელიკატნოე, დელიკატნობა, და ახლა მე ვანბობ—სიდელიკატე. რას ჰნიშნავს ესა? სიდელიკატე ჰნიშნავს ზდილობას, თავაზიანობას, პატივისცემას, თავის მოყვარებას, ყოველს კეთილს გრძნობას და გრძნობის სინაზეს, სინარნარეს.—გაუზდელობა თუ ისმარე რამე, თავაზა თუ არსად ვის გაუწიე, პატივსაცემს ვისმე თუ პატივი არ ეცი; თუ ისეთი საქმე რამ ჩაიდინე, რომ დაიწუნებოდეს, გაიკიცხებოდეს;—გრძნობა თუ ისეთი რამ გამოიჩინე, რომ საწყენი იყოს ვისთჳსმე; და თუ ისეთი რამ იმოქმედე, რომ სინაზე, ან სინარნარე მოშალე შენი ან სხჳსი,—იცოდე რომ სიდელიკატე დაირღუევია. სადაც სიდელიკატე არის, იქ სიბრიყუე, სილაღე, გაუზდელობა, უკადრისობა არ ისმარება;—სადაც აღმა-

მეტად ხშირად მინახავს, რომ ეს აღმატებული გრძნობა პატიოსნობისა ჩინებულის თჳსების კაცშიაც ძალიან ადვილად დამკრთალიყოს და დავრდომილიყოს არა თუ მაშინ, როდესაც სიღარიბის ქარს შემოუბერავს. — თჳთქმის მაშინაც, როდესაც ცოტაოდენი რამ ნაკლულევანება შეჰხვებია. მეც ამ მიზეზით ჩემს თავს დიდად უფრთხილდები, რომ ამას იქით არსად ვეწინააღმდეგო სჳნიდისის შეგონებასა; რაც უნდა საეჭვოდ მეჩუენოს ეს შეგონება, არას დავხედავ, ოღონდ კი უბიწოებას მოასწავებდეს.

როდესაც ცუდი დრო მოაცანს, საულმოკლეობას არ უნდა შეაჩვოს კაცმა თავი, თორემ რაკი ერთხელვე დაეჩუევა, უვარგისობისაკენ დასაქანებელს დაადგება და წახდება უსათუოდ —

---

მფოთებელი, შემამრწუნებელი, შემაწუხებელი ანუ საწყენი არის რამ და ვისიმე, იქ სიდელიკატე აღარ არის. ნეტავი შემატყობინა, მიჰხუდი რა არის სიდელიკატე თუ არა? — მაგალითად: მე რომ ამდენს განმარტებას ვიწერ, ზოგი ცუდათ ჩამომართმევს, რათა ჰგონია, რომ ჩუენც არ ვიცოდეთ; მაგრამ რა ვჰქნა. შენი ბრალია, რომ არ იცი; — და მეკი უდელიკატობაში ჩამომართმევენ.

დაღალულობამ და სიცივემ შინ შემომიყვანა ღამის ცხრა საათზედ. გარეთ კარი ღია დამხუდა. კიბეზედ რომ ლანდივით ავდიოდი, მცუელის ოთახიდამ რაღაც გაცხარებული ლაპარაკი მომესმა, თითქო ჩემზედ ლაპარაკობდნენ; სწორეთ ჩემი სახელი ახსენა მცუელმა.

— მამა გიცხონდა, თავი დამანებე, მადამ ვობერჟე, მაგ შენი მაქსიმეთი, — უთხრა თავის ცოლს მცუე-ლმა. — რას ჩამცივებიხარ, მე გავაღარიბე ეგ შენი მაქსიმე თუ? მამ რას მაჯავრობ მანდა, რას მეჩიჩინები? თავს მოიკლავს და მოიკლას. რა უყო! ვეღარ დამარხეს თუ?

— მე გეუბნები ვობერჟე, — უთხრა ახლა ცო-ლმა, — რომ შენც მოგიკუდებოდა გული, რომ გენახათ, მიელი გრაფინკა როგორ გამოსცვალა. გინდა დამაჯერო რომ მაგას გულით ანბობს, თავს თუ მოიკლავს და მოიკლასო, მაგრამ მაინც ვერ დაგიჯერებ რაც უნდა დამემართოს. მართალია შენ შენს ჩუეულებას ადგიხარ, მაგრამ გული მაინც კარგი გაქუს. ერთი შენ თითონ იფიქრე, ვობერ-ჟე, ღერი შეშა არა ჰქონდეს, ლუკმა პური არ გაჩნდეს! მერე ვისა, ყმაწვლსკაცსა, რომ სულ ბლოამასყეებით არის გამოზდილი, და სულ რომ ბეწუში იყო გასუეული, თითქო საცაური ცო-

ტყო. მერე სირცხვილი არ არის ესა, უნამუსობა არ არის? რომ მაგ შენს მმართებლობასაც, ყური მოუყრუვებია და ამისთანა საქმეს არას დასდევს.

—მმართებლობას ვითამ რაღაზე წასწყდი ახლა; იმისი ბრალია თუ? მაინცა და მაინც შემცდარი ხარ მეთქი ვეუბნები.... აგრე არ არის, როგორ-ცა გგონია... პური იმას არ აკლია, რას ლაპა-რაკობ!.... როგორ შეიძლება!....

—ნეტა რა ვჰქნა! დაუყინია არ აკლიათ, მაშ სულ გითხრა? ჲეფეჳ თუ აგრეა: სულ თანა ვდიე, მე თითონ უდარაჯე ზეითა, გარეთ ვდუარდი მიუ-ჩინე; და გარწმუნებ, არც არა გუშინ ეჭამოს, არცარა დღესა; რომ არა გააჩნიარა, რასა ჰსჭამდა; ჯიბეები მე თითონ გადმოუბრუნე, ყურები მე გადმოუქოთე და მე არ ვიცი, რომ არა აქუსრა! აბა რას მელაპარაკები!... მოწყალებას რომ არ ითხოვს, რაც უნდა უჭირდეს, ეს ხომ შენც კარ-გათ იცი.

—ეგ უარესი. ღარიბი და ამპარტავანი რომ არ შეიძლება?

მეყო ეს ლაპარაკი. უეცრად შევაღე კარი და მოულე ბოლო ამ საუბარსა. სანთელი მომინთეთ. მეთქი, რომ მივამხე, ვობერყეს ასე ეგონა სწო-რეთ თავის მოკუწთას უპირებდი, ისე წამოჰხტა;

თუმცა ძალიანა მსურდა ჩემი თავი ამათთვის გარ-
გამეყოფად მეჩუეწნებინა, მაგრამ მაინც ვერ
მოვასვენე, და ორჯელ თუ სამჯერ კინალამ წავი-
ქცე კიბეზედ: სულ თავბრუ მესხმოდა. ჩემს
ოთახში რომ შეველ, უწინ გაყინული დამხუდე-
ბოდა ხოლმე, და ასლა ლამაზი ცეცხლი გუგუნე-
ბდა ბუხარში. უნდა ალვარო, ვერ გავიგე რომ გა-
მექრობინებინა; და გულით დავლოცე ყოველი
კეთილი სული, ვინცავინ ქუეყანაზედ იპოვება სა-
დმე. ჩემს ოთახში ერთი მუწლი უცრესცოდამ
მოტანილი კრესლო იდგა, ხავერდით გადაკრული.
ამ კრესლოში ჩავჯექ და ვჰსთქვ, ეგების დამეძი-
ნოს როგორმე მეთქი. საწყალო კრესლო! შენც
ერთჯელ ჩემსავით მდიდრულს სახლში მდგარხარ
განცხრომითა და ასლა დამშეულს გემსახურები.
თითქმის ნახევარს საათს რაღაც რამ გაბრწყინვე-
ბული სადილი მესიზმრებოდა; ჩინებული საჭმე-
ლებითა და მჰროვასი ღვინოებით ავსილი; ამ დროს
კარის შემოღებამ შემაკრთო. ისევ სიზმარი მე-
გონა, მადამ ვობერყე რომ დავინახე, ხონჩით
საჭმელები შემოჰქონდა, ორი თუ სამი თავი, რომ
სულ ორთქლი სდიოდა მადის მომყუანი. მანამ-
დისინ კარგათ გამომელვებოდა, იმან საჭმელები
ძირს დადვა და სტოლზედ სუფრას შლა დაუწყო.

ამ დროს წამოვჰხტი. — რას ჰნიშნავს ეგა მეთქი, ვჰკითხე! რას ჩადიხართ მაგასა?

მადამ ვობერჟე დიდად შეჰკრთა.

—სადილი თქვენ მოიკითხეთ მგონია?

—როდის? ვინ გითხრა ეგა!

—ედუარდმა მითხრა, რომ თქვენ....

—ედუარდ შემცდარა; სხვა მდგმური იქნებოდა ვინმე; იმას მიუტანეთ.—

—ამ მხარეზედ სხვა მდგმური არავინ გახ-ლავს... არ მესმის, ეს რა?...

—არის ვინმე თუ არა, მე არ ვიცი.... ერთი შემატყობინეთ, რას ჰნიშნავს ესა? ახლავე გარეთ გაიტანეთ მეთქი?—

საწყალმა დედაკაცმა დაიწყო სუფრის კეცა და ისეთის თვალით შემომხედა, როგორც გალახული ძაღლი შეჰხედავს ხოლმე თავისს პატრონსა.

—ჰსჩანს უფალს სადილი მიურთმევიათ, სთქვა მდაბლის ხმით.

—ჰსჩანს.

—რა გაეწყობა; არ მომემზადებინა მაინცა სადილი. ახლა უნდა წახდეს და საწყალს ჩემს პა-ტარა ბიჭს მამა უნდა გაუწყრეს. იქნება ბატონს არ მიერთმიოს ჯერ სადილი და ძალიან დაგვავა-ლებდა, რომ ინებებდეს და....

ფეხი დაუბრაგუნე გულისწყრომითა და შევხმა-ხე: — გამეცალეთ მეთქი. მერე, რომ ის იყო, გადიოდა, მოვეწიე და უთხარ: — ჩემო ლუიზონ, მესმის და გმადლობ; მაგრამ ცოტა ვერავარ კარგათ ამაღამა და არცა მშია.

— ოჰ! უფალო მაქსიმე! ცირილით მომიგო! რომ იცოდეთ, როგორა მკლავთ მაგითი! თუ არა გნებავთ, ფასი მომეცით ამ სადილისა, მაშინ მომეცით, როდესაც გექნებათ; ჭეშმარიტებას გეფიცებით, რომ ახლა ათასი თუმანიც რომ მიბოძოთ, ისე არ მიამოს, როგორც ეს ჩემი საწყალი სადილი თუ მიირთვით ის გამახარებს; დიდ მოწყალებათ მივიღებ, ღმერთმა ხომ იცის. — თქჳენი გონიერების პატრონი, უფალო მაქსიმე, თქჳენ თვითონ უნდა მიხჳდეთ ამასა; ღჳთის გულისათვის.

— მაშ კარგი, საყვარელო ჩემო ლუიზონ, — რა გაწყრომა! ათასს თუმანს ვერ მოგცემ და ისევ სადილი უნდა მივიღო. ახლაკი დამანებებთ თავსა, განა, ლუიზონ?

— დიაღ ბატონო! ოჰ! გმადლობ, ბატონო! დიდათა გმადლობ ჩემო ბატონო: უფალმა გადა-გიხადოს, უფალო! გული კარგი გაქჳთ....

— და მადაც კარგი მაქჳს, ლუიზონ! ჭლი

მომეცი, — იმისთჳს კი არა, რომ ფული ჩავითვალო, ნუ შესწუხდები! ახლა ნახვამდის, ჩემო ლუიზონ!

ქჳთქჳთით წავიდა ეს საკჳრველი დედაკაცი.

ლუიზონის სადილს რომ შესაბამი პატივი ვეცი და ამ სტრიქონებსა ვჰსწერდი, კიბიდამ მძიმე ფეხის ხმა შემომესმა; მერე ჩემი მოხუცებულის ხმა გავიგონე, თითქო რაღასაც საიდუმლოთ გამოკითხვაში შევიდა გულშემფოთებული. პატარა ხანს უკან კარი დამირეკეს და ლუიზონმა რომ შემოაღო, დავინახე კარებში ჩემი მეწლი ნოტარიოსი. უფალმა ლობეპენმა ჩემის სადილის დანახვის თვალი გადმოავლო; მერე მოამჳრა ჩემსკენ შეწუხებულმა და საყუედურით მითხრა:— ღუთის გულისათჳს, უფალო მარკიზო! მე მაინც რატომ არ?....—გაუწყდა ხმა საწყალს, ვეღარა სთქუარა, გაიარ-გამოიარა და მერე მითხრა:—არ ვარგა, ყმაწჳლო კაცო! მეგობარს აწყენინეთ, მოხუცებული კაცი სირცხჳლით გააწითლეთ!— სწორედ შეწუხებული იყო ბერიკაცი; მეც კი შევჰსწუხდი და არ ვიცოდი რა მეთქუა,—ამასობაში მომხჳა ჴელი, გულზედ მიმიკრა, და ყურში წამომჩურჩულა:—საბრალობელო ჩემო მაქსიმე!.... მერე რამდენსამე ხანს გაჩუმებული

ვიყავით. დავსხდით.—

—მაქსიმე? მკითხა უფ. ლობჟენმა, ისევ იმავე განზრახვას ადგიხართ, თუ გამოსცვალეთ როგორმე თქუენი აზრი? გაჭმელდავთ ისეთს შრომა-მას შეუდგეთ, რომელიც მოარჩილებს მოითხოვს და თავმდაბლობას, ოლონდ კი პატიოსნებას არ შე-ეხებოდეს, თუ ვერა? ისეთს შრომას, რომ თქუენც იცხოვროთ და თქუენნი დასაც მოამოროთ, რო-გორც ახლა, ისე მომავლისათჳს, მწუხარება და გაჭირვება სიღარიბისა?...

—რასაკჳრველია, რასაკჳრველია, უფალო! ჩემი ვალია ეს და მზათა ვარ.

—მაშ ყური დამიგდეთ, ჩემო მეგობარო! მე ეს არის ბრეცანიდამ მოვალ. ამ მუწლის ქუე-ყანაში ერთი მდიდარი ოჯახი არის ლაროკისა და დიდი ხანია იმათი საქმეები მე მაქუს მონდობი-ლი. დღეს ამ ოჯახის წარმომადგენელნი არიან ერთი მოხუცებული კაცი და ორი ქალი; იმათი ზოგისა სნიერება და ზოგისა ხასიათი ისეთია, რომ საქმეში გამოყენება არც ერთს არ შეუძლია. დი-დი ადგილ-მამულის პატრონები არიან და ამ სა-ცხოვრებელის მმართველათ და გამგებლათა ჭყავ-დათ ერთი კაცი, რომელსაც მე ცოცა არ არის უხჳნდისო კაცად ვიცნობდი. თქუენ რომ ჩემთან

სადილათა ზმანდებოდით, მერმე დღეს შევიტყვე, რომ ის პატიოსანი კაცი გადაცვლილიყო. მაშინვე წავსწიე პირ და პირ ლაროკის სასახლეში და ის დაცლილი ადგილი თქუენთჳს ვითხოვე. თქუენი მოსარჩლეობის წიგნები გამოუცხადე და უმეტესად თჳსება თქუენის ხასიათისა. თქუენი სურვილი რომ ვიცოდი, თქუენის გვაროვნობისა სრულიად არა მიხსენებიარა: თქუენ იქ გიცნობენ მხოლოდ მაქსიმე ოდიოთ. სადგომათ ცალკე სახლი გექნებათ და საჭმელსასმელსაც იქ მოგართმევენ, რომელსაც არ ინებებთ სასახლეში მირთმევას პატრონებთან. ჯამაგირი გექნებათ წელიწადში ასორმოც და ათი თუმანი. მოგწონთ თუ არა?

—უკეთესი აღარ შეიძლება,—და ჟულითადს მადლობას მოვახსენებთ მეგობრულის დავალებისა და კეთილის გამართჳსათჳს. მაგრამ სწორე უნდა გითხრათ, მეშინია, ადგილ_მამულის პატრონობაში რომ გამოცდილება არა მაქუსრა და სულ ახალი ვიქნები. (*)

---

(*) ერთს ადგილს ლაპარაკი თურმე ყოფილა: **Сельское Хозяйство** ქართულად როგორ უნდა ითარგმნებოდესო? ზოგს უთქუამს, სასოფლო სახლის პატრონობაო; ზოგს მამულის გამგებლო-

—მაგაზედ ნუ შესწუხდებით, ჩემო მეგობარო! ჩემმა ანგარიშმა დასწრო მაგაში თქუენს ანგარიშსა; მე იქ არა დამიმალავს: აჲ რა უთხარი მე ჩემს წარჩინებულს მეგობარს, მადამ ლუაროკს: მადამ ლუაროკ! თქუენ გეჭირვებათ თქუენი ადგილ-მამულის მომვლელი, თქუენი საცხოვრებელის გამგებელი და კაცი მე მეგულება. ეს კაცი მალიან შორს არის იმისთანა გამოცდილებაზედ, როგორიც უწინდელს ჰქონდა; სასოფლო საადგილმამულო საქმეების ჯერ არა გაეგება; გაქირავება როგორ რას უნდა, პირობის წერილი ფერმერთან როგორ უნდა, სულ არ იცის; არცარა ფერი იმ საქმეებისა იცის, რასაც თქუენ მიანდობთ;

---

ბათ; ზოგს — სასოფლო მომჭირვნეობათ და სხუანი და სხუანი. **Сельское Хозяйство,** Economie rurale, დიდი ჰსწავლა არის, რომელმიაც განვითარება ჰმართებს კაცსა, თუ სურვილი აქუს, რომ ოჯახს გამოადგეს. ამ ლექსის განმარტება თუმცა ისეც კი შეიძლება როგორც იმ ერთს ადგილს ულაპარაკნიათ, მაგრამ ჩემის ფიქრით ასე უნდა ითარგმნებოდეს: **Сельское Хозяйство** — ადგილ მამულის მართვა, ან პატრონობა. მე ასე მგონია და შენ რას იტყუი, ჩემო თეიმურაზ?—

არცა ყოფილა ამისთანა ქველობაში, არცარა გამოუცდია; ერთის სიტყვით რაც რამ სასწავლებელი არის, არა უსწავლიარა; მაგრამ ერთი ისეთი რამ თვისება აქვს, იმისმა წინა მოადგილემ სამოცის წლის სიცოცხლეში რომ ვერ შეიძინა და ათასი წელიწადი რომ ეცოცხლა, ვერც მაშინ შეიძენდა: პატიოსნება აქვს. ცეცხლში მინახავს, გამომიცდია და მე ვიყო პასუხისმგებელი, თუ დროზედ გულითადი მადლობა არ მიიხარით.—

ამ ნაირს თქვენს ქებაზედ მრავალი იცინა მადამ ლაროკმა; მაგრამ სჩანს, რომ ანგარიში არ შეშლია, რადგან გასწორა ამ ჩემმა ლაპარაკმა და ჩემი თხოვნა შეიწყნარეს.

მერე ეს ჩინებული მოხუცი მომიყვა და რაც შეიძლებოდა შემატყობინა, რა და რა შრომა უნდა გამეწია ამ სელობაში და როგორ რაზედ უნდა ვჭსცდილვიყავ; ამას გარდა აღმითქვა, რომ ლაროკის ოჯახის საზარდებლოდ რაც საჭირო ცნობა იქნება, იმასაც შევკრებ და გაცნობებო.

—მაშ როდის უნდა წავიდე, ჩემო საყვარელო უფალო!

—სწორე გითხრათ, ჩემო კარგო (ამას იქით მარკიზობით სხენებას ადვილი აღარა ჰქონდა), სწორე გითხრათ, რამდენსაც დააშურებთ, იმდენი

უკეთესი იქნება; ამიტომ რომ, ვინცა ვინ ასლა იქ არის, ძალიან განათლებულნი არიან მართალია, მაგრამ არც ერთს ცარიელი კვიცანცის (*) დაწერაც არ შეუძლია. მე-კადრე ჩემი სასიქადულ-ლო მეგობარი მადამ ლაროკი. საქმეებში ისეთი დაუდევნელი არის, ისეთი გაუგებარი, ისეთი სიყ-მაწვლის თავსებისა, რომ ვერ წარმოიდგენთ. რა-ლა თქმა უნდა, კრეოლია. (*) (*)

(*) სწორეთ მკითხე, თორემ კვიცანცია ვინ არ-იცის ჩუენში რას ჰნიშნავს.

(*) (*) ვაი ჩუენი ბრალი, თეიმურაზ! სომ არც ეს იცი, კრეოლი რას ჰნიშნავს. — არაბეთში, ინდოეთში და ამერიკაში, როგორც გაგიგონია, ხალხი ჩუენის ფერისა არ არის; ზოგან შავია, ზოგან აგურის ფერი, ზოგან სპილენძისა. ევრო-პიელს თეთრს კაცს რომ იქაური ქალი შეურთავს სადმე, შვილი გამოსვლიათ არც ისე თეთრი რო-გორც მამა, არც ისე მოჭირებული ფერისა რო-გორც დედა; ამათ ჰქვათ საზოგადოდ საყელად კრეოლი; და კრეოლებისას ანბობენ, ძალიან მხურ-ვალეს აგებულებისანი არიან და ცრფიალების მოყვარულნიო. —

—მართლა კრეოლია მეთქი? როგორღაც აჩქარებით წამოვიძახე.

—დიაღ, ყმაწვილო კაცო, ხნიერი კრეოლი. — ცივათ მიპასუხა უფ. ლობეჰენმა. ქმარი იმისი ბრეცონელი იყო; მაგრამ ამ ანბავს დაწჳრილებით მერე შევიტყობთ. ხჳალომდის მაქსიმე! მხნეთ იყავით.... ჰო, მართლა! კინაღამ დამავიწყდა.... ხუთშაბათს დილაზედ, მანამდისინ წავიდოდი, ერთი საქმე გავარიგე, რომ მგონია თქჳენთჳს საწყენი არ იყოს. თქჳენ მოვალეებში ერთი ისეთი კაცი იყო, რომ ანგარებით უსჳნიდისო სარგებელს ითხოვდა თავის ფულისას; ყოველი კანონიერი ძლიერება შევიმოსე, ნახევარს დავაჯერე და კვიტანცია სრული გამოვართვი. ახლა გრჩებათ ხუთასიოდე თუმანი. რასაც თქჳენ ყოველწლივ თქჳენის სარჯიდამ გადასდებთ ისიც რომ ამას დაუმატოთ, ათიოდე წელიწადში გვარიანს მზითევს დაუმზადებთ ელენეს.... მართლა! ხჳალ საუზმეზედ თქჳენ ლობეჰენს ეწჳეთ და საქმე იქ დავაბოლოვოთ. მაშ ხჳალამდის, მაქსიმე, ღამე ნებისა, ჩემო კარგო!

—ღმერთმა გაკურთხოს, უფალო!

ლაროკის სასახლე, არზს. 1 მაისს.

გუშინ გამოვედ პარიჟიდამ. სწუხარი იყო ჩემი გამოთხოვება ლობეპენთან. როგორც მამისა, ისეთი პატივისცემა მაქუს იმისი. მერე ელენეს უნდა გამოვითხოვებიყავ. მიზეზი რომ შემეტყობინებინა როგორმე, არ იქნებოდა ცოტა რამ მაინც არ მეთქუა ჩუენის მდგომარეობისა; და რამ-დენიმე დროებითი გაჭირვება მოგვადგა მეთქი, ასე უთხარ.—რაც არ მინდოდა, მგონია იმაზედ მეტს კი მიჰხუდა საწყალი: გაოცებულს თვალებში ცრემლი მოერია და ყელზე მომეხვა.

წამოვედ როგორც იყო. რენნამდის რკინის გზით ვიარე და წუხელის იქ დავილამე. დღეს დილაზედ ფოშტის კარეტაში ჩავჯედ, და ექუსიოდ საათზედ აქ მოვედ. უფალმა ლობეპენმა კარგათ იცოდა რასაკჳრველია, როგორი საჭირო იყო ჩემთჳს, რომ აქაური ვითარება ყოველივე საკმაოდ მცოდნოდა; მაგრამ სიმუნწით, თუ სხუა რამ მიზეზით, განმარტება მეტად შემიმოკლა. რომ მოვდიოდი პარიჟიდამ, სწორეთ მაშინ მომცა ერთი ქაღალდი, ყოველივე ამაში ჰსწერია და რა რომ ამოიკითხო, მაშინვე ცეცხლში ჩააგდეო. ამოვიღე ახლა უბიდამ ეს ქაღალდი და დაუ-

ფიქრდი, რაც ეწერა, თითქო მკითხავის ნათქვა-მი იყო. აჲ რა ეწერა:

«ლაროკის არზის სასახლეში არიან:

«აპოდ უფალი ლაროკი, სახელად ლუი-ავგუ-სტი, ოთხმოცზედ მეტისა, ოჯახის თავი და ახლან-დელის სიმდიდრის შემძენი; მუწლი მეხუამალდე, პირველის იმპერიის (*) დროს სახელოვანი და მმართებლობისაგან დამტკიცებული კორსარი; (*)(*) ზღუაში სამსახურის დროს არის გამდიდრებული სხუა და სხუა კანონიერის საქმეების მიზეზით; — კოლონიებში (*) (*) (*) კარგა ხანს უცხოვრია.

---

(*) პირველი იმპერიის დრო იმ დროს ჰქვია, როდესაც პირველი ნაპოლეონი იჯდა იმპერატორად. ახლა მეორე იმპერია არის, თუმცა ახლანდელს ნაპოლეონს კი მესამე ჰქვია. — მეორედ პირველის შვილი იყო დასახელებული, მაგრამ იმას არ უმეფნია.

(*) (*) კორსარს და პირატს თუმცა ქართულად მეკობრე ჰქვია, ზღჳს ავაზაკი; მაგრამ ისევ იმა-თებრს სახელსა ვჰხმარობ.

(*) (*) (*) სადაც ხალხი არის სადმე გადასა-ხლებული თავისის სამშობლო ქუეყნიდამ კოლო-ნია იმას ჰქვია, აქ კი უფრო ამერიკის კუნძუ-ლები იგულისხმება, ფრანცუზებს რომ ჰსჭერიათ

შთამომავლობით ბრეტანელია და ამ ოც და ათის წლის წინათ მოსულა აქავე დასაბინავებელათ და თან მოჰყოლია აწ განსუენებული ჰერცოგ-ანგულონ ლაროკი, ერთად ერთი მე მისი და ქმარი

«2. მადამ ლაროკისა. ამას საკუთრად ჰქვია ჟოზეფინ-კლარა,—სძალი არის ზემორე ხსენებულის ბერიკაცისა, ქვრივი იმისი შვილისა; კრეოლი შთამომავლობით და ხნით იქნება ორმოცის წლისა; უზრუნველი; აღტაცებული; ზოგიერთის უცნაურის ფიქრის მიმყოლი; მაგრამ კეთილი სული. ამასა ჰყავს ქალი

«3. მადმუაზელ ლაროკი, საკუთრად მარგერიტა-ლუიზა, შვილის შვილი პირველისა, შვილი მეორე-სი და მემკვიდრე იმათი; ხნით იქნება ოცის წლისა;

---

და გადასახლებულნიც ყოფილან. ბევრი დიდი ად-გილმამული და დიდი შემოსავალი ჰქონია იქ თა-ვისს დროზედ. ახლა უფრო ანგლიჩნები არიან კოლონიებით გაფენილნი მთელს ქვეყანაზედ და სადაც არა მგონია ისინი ეპატრონებიან. შინ ვე-ლარ გასძლეს, ველარ მოითავსდნენ, ვაჭრობას მიხ-დევენ და ამ ვაჭრობით რამდენი ქვეყანა დაიპყრეს ვინ იცის. როგორც ინდოეთში უჭირავთ, მარტო ის კმარა დიდ იმპერიად.

სისხლით კრულილიცა და ბრუცუნებულიცა; ოცნების მიმდევნი; ფიცხელი თავი; კეთილი სული. ამათი ნათესავი

«4. მადამ ობრი, ქვრივი, უფალის ობრისა, ზარაფად რომ ყოფილა ბელგიაში; უბაცრიანო, უსისხლკარო და აქ მის მიღებულიო: სული მწარე;

«5. მადმუაზელ ჟულიენ, სახელად კაროლინა-გაბრიელ, ოც და ექვსის წლისა; უწინ მასწავლებელი და ახლა თანამყოფი მარგერიტასი: სული სწავლით განვითარებული; ხასიათით საქებო.

«დასწვთ.» —

თუმცა დიდის გაფრთხილებით იყო დაწერილი ეს ქაღალდი, მაგრამ მაინც გამომადგა. შევატყე, რომ განვთავისუფლდი უცნობობის შიშისაგან და ცოცხალდენი სითამამე მიეცა ჩემს გულსა მეტადრე თუ მართლა ამ სასახლეში ორი კეთილი სული იპოვება, ეს არს თუ საკმაო, მეტიც არის. ორი საათი ვიარეთ და ბოლოს ჩვენი კარეტა შედგა ერთის მშუენიერის ლობის წინა, რომელსაც თავში და ბოლოში ლამაზი ჯიხურები უდგა, მცუწლის სადგომად. როცა ბარგი მქონდა იქ გაუშვ და მე სასახლისაკენ გავსწიე ცალ ხელში ჩემის სალამურის ბარკითა და მეორე ხელში წკეპლით, რომლითაც უკაკილებს თავებს ვაკვრევინე-

ბდი ვზა-ვზა მიმავალი. ჩამწკრივებულს დიდ-
როვანს წაბლის ხეებს შუა რომ რამდენიმე ასი-
ნაბიჯი გავიარე, ერთს დიდს ბაღში შევედ და
მეტყობოდა, რომ ბოლოში ეს ბაღი ტყეს შეუ-
ერთდებოდა. მარჯჳნით და მარცხნით ფოთლით
შემოსილის დიდს ხეებს შუა ზოგან წყლები მიჩ-
ხრიალებდნენ, ზოგან თეთრი თლილის ქჳსა სხუა
და სხუა შენობები მოჩანდნენ. ჩემს წინ სასახლე
იდგა, კარგად დიდი შენობა, ლამაზის მოყვანი-
ლობისა და იტალიანურის ხელოვნებისა, თითქო ლუ-
დოვიკე მეცამეტის დროს აშენებული. წინ შე-
მაღლებული ადგილი ჰქონდა, რომელსაც ზევი-
დამ სასახლის მაღალი ფანჯრები გადმოჰყურებ-
დნენ და ქუჩიდამ შეჰყურებოდა მდაბალი და განი-
ერი თლილი ქჳს კიბეები. ამ სამყოფის მხია-
რულმა და სადღესასწაულო შესედულობამ ცოტა-
არ იყო შემაფიქრა და ასე დაფიქრებულმა რომ
იმ მაღლობს მივაცვანე, რაღაც უმაწვლური და
მხიარული ხმიანობა მომესმა და ამ ხმიანობამა
უფრო შორიდამ ფორტეპიანოს ხმაც მოდიოდა.
ეს-ეს იყო მხიარულს სახლში შევდიოდი; არაფრით
არ ემსგავსებოდა იმ დამწყლებულს ცისე გალა-
ვანსა, მე რომ მეგონა ვნახავდი მეთქი. ფიქრის
დრო აღარ იყო. კიბე შევირბინე და უეცრად ისეთს

სხნასავს შევჭხუდი, რომ სხუა დროს დიდად სასი-ამოვნოდ მეჩუენებოდა. მწუანე ადგილზედ ქუ-სიოდ ყმაწვილი ქალი, ოროორად დაყოფილნი, სი-ცილითა და კასკასით მზეზედ დაცქრიალებდნენ და შიგნიდამ ფორტეპიანო, რომელსაც კარგად გა-ვარჯიშებული და ნასწავლი ქალი უკრავდა, უფხა-ვნიდა ამ ქალებს მხიარულის გულსის სმოვანებს. მლოვსლა მოვჭკარ თვალი მოთამაშეების მეფუც-სებულს სასესა, იმათის გამლილს თმებსა და იმათს, გასიერს ხალის თავსსაურავებსა, მხრებამდინ რომ უხრიდილებდათ: რა რომ უცხო კაცი დამინახეს, ერთხმად იკივლეს და გაჩუმდნენ. თამაშობა შესდგა, და მოთამაშეები შემწკრეულნი მიეფარებდნენ, როდის, გაივლის, ეს ვილაც არის და მოგვშორდებით. ეს, ვილაც რომ ვიყავი, გავლის მაგიერათ თვითონ მეც შევდექ და არ იყო, რომ ცოტა რამ შეკრ-თომა არ შემაცდეს. თუმცა ჩემს მდგომარეობაში, რიგი ალარ არის, რომ თავმომწონეობის ფიქრი შემოუშვა რამე ჩემს გულში, მაგრამ უნდა სწორე ვჭსთქუა, დიდად მსურდა, რომ ამ შემთხუევაში ჩემი სალამური ჰარკი გადამექაჯა საითმე.—რა გამეწყობოდა, ისევ ჩემს გზას უნდა დავდეგომო-დი. რომ წავდექ წინა და კიბეს რომ მივაცქანე, რომლითაც სასახლეში უნდა შევსულიყავი, ფორ-

ცეპრიანოც გაჩუმდა. მაშინ დავინახე, ლია ფანჯა-
რაში გადმოიხედა ერთმა უმშეწლებელმა მალლმა,
მეორია ცერრა_ნოვას ჯინმისა იყო, ცოცხები
ზედ ფანჯრის ფიცარზედ შემოაწყო და თავისი
ლომური ცხვარი ცოცხს და ცოცხს შუა ჩაასხეწნა;
ერთი წამი არ გამოვიდა, რომ იმავე ფანჯარაში
გამოჩნდა ყმაწვილი ქალი, მაღალი, ცოცხა შავ-
გვრემანი, ამაყის სახისა და თავს ესხა მძიმედ
სქელი თმა, შავი და მბზინავი. იმისი მეტად
მსხვილი თვალები თითქო კითხულობდნენ, რა იყო,
რა მოხდაო?—რა დაემართათ ქალებოო, გადმოს-
ძახა მშვიდობიანის ხმით.—მე რომ გადმომხედა,
მძიმედ თავი დაუკარი, ერთხელ კიდევ ვინატრე,
რომ ჯაჭანნაბის გზას ყოფილიყო გაუქმებული
ჩემი სალამური ბარკი, რომელზედაც ეტყობოდა,
ყმაწვილი ქალები ჩუმჩუმათ იცინოდნენ და მწარა-
ფლად შევირბინე კიბე.

ერთი თმა ჭაღარა მოსამსახურე დამხვდა წინა-
ოთახში, და სახელი მკითხა. ცოტას ხანს უკან
ერთს დიდს ზალაში შემიყვანეს, ყვითელი აბრაშუ-
მის მაცერიით გაკრულში. აქ ჯერ ის ყმაწვილი
ქალი ვიცან, ფანჯრიდამ რომ ანბავს კითხულო-
ბდა და რა რომ ასე ახლო ვნახე, ვსთქვ ჩემს
გუნებაში, ამაზედ უმეტესი მშვენიერება ალარ

შეიძლება მეთქი. მერე ბუხრის მახლობლად, სადაც თითქო სხმილი ენთო, დიდს კრესლაში იჯდა, ყუს ბუმბულში გახუეული და საყვერდის ბალიშებითა და ფურბალიშებით გარეშემოწყობილი, ერთი შუახნის ქალი, რომელსაც ნაზს სახეზედ არ იყო, რომ კრეოლობა არ ეტყობოდა. მუწლებურის მოყუანილობის სამფეხზედ წინ ანთებული ბრაზერო ედგა (ისპანიური მაყალი ანუ საცეცხლური) და ხშირხშირად ზედ გადილებდა ხოლმე გასაც-ფობად თავისს წვრილსა და გამხდარს ჴელებს. ამ მადამ ლაროკს გვერდს უჯდა ერთი ხნიერი ქალი და წინდისჩხირებს ამუშავებდა. იმისს შეჭმუხვნილსა და უსიამოვნოს სახეს რომ შეჰხედე, ბევრი დაფიქრება აღარა უნდოდა, რომ ეს იყო ამათი ნათესავი, განსუენებულის ბელგიელის ზარაფის ქურივი.

როგორც რომ შემომხედა მადამ ლაროკმა, სახეზედ მაშინვე შევატყე, რომ თითქმის პირღია დარჩა გაოცებული. განმეორებით მათქმევინა ჩემი სახელი.

—როგორა ბძანეთ? მომიტევეთ უფალო!

—ოდიო, მადამ!

—მაქსიმე ოდიო, გამგებელი, უფალმა ლობეპენმა რომ?....

—დიაღ, მადამ!

—თქუენ სწორეთ დარწმუნებული ბძანდებით რომ ისა ხართ?

არ შეიძლებოდა ცოტა ღიმილი არ მომსვლი-ყო.

—დიაღ, რასაკვირველია, მადამ, ყოვლად უე-ჭუელად.

ეს რომა ვჰსთქვ, ერთი თვალი ზარაფის ქურივს გადაჰკრა, მერე ამაყის შუბლის პატრონს უმაწვილს ქალსა, თითქო ეუბნებოდა,—გაგიგონი-ათ ამისთანა ანბავიო?—მერე ცოტა-ოდნად შეიძ-რა თავისს ბალიშებში და მიიხრა:

—რალა... ინებეთ, დაბძანდით, უფალო ოდიო! მრავალს მადლობას შემოგწირავთ, უფალო, რომ ჩუენ სასარგებლოდ ვინებებიათ თქუენის ნიჭიე-რების მოხმარება. დიდად საჭიროა ჩუენთჳს თქუე-ნი შემწეობა, გარწმუნებთ, ამიტომ რომ, ამას რა გაეწყობა, უარისთქმა არ შეიძლება, უბედურნი ვართ ჩუენის სიმდიდრით (*)...—ზარაფის ქურივ-მა რომ ამ სიტყუებზედ მხრები შეიყარა, თვალი მესწრო და უთხრა: დიაღ, ჩემო საყუა-რელო მადამ ობრი! ჩემის გამდიდრებით სწორეთ გამოცდა ენება ჩემი ყოვლად ძლიერსა. მე ვი-

(*) ოჰ ოჰ ოჰ! ჩუენშიაც ბევრნი არ იტყვიან ამასა!

ყავ დაბადებული სიღარიბისათვს, გაჭირვებისათვს, რომ გამოსადეგი ვჴოფილვიყავ ვისთვსმე, — მომვლელი ვჴოფილვიყავ, თავის გაწირვა შემძლებიყო ვისთვსმე; მაგრამ ყოველთვს წინააღმდეგი შემართებოდა. მაგალითად, ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, რომ ქმარი უძლური მყოლიყო, რომ იმისი მოვლით ჩემი გული შესარებინა. ჩემი განსვენებული უფალი ლარიკი იყო გასაოცრად მრთელი და სალი. აა როგორი იყო და როგორი არის ჩემი სვე.....

— კარგია ერთი... ხმელად უპასუხა მადამ ობრიმ, თქუენ ძალიანაც კი მოგიხდებოდათ სიღარიბე, თქუენა, რომ არცკი გაგეგებათ, ნაკლულევანება რას ჰნიშნავს, რომ ვერაფერს სიამოვნებას ვერ დაიკლებთ და ხარჯი რა არისო, რომ არ იცით.

— უკაცრავად, საყვარელო მადამ, — მიუგო მადამ ლარიკმა, — მე სრულიად არა მსურს ისეთი ვალდებულება, რომ უვარგისი იყოს. ძალიან მიმეთაც რომ გავიჭირვო ახლა საქმე, ერთი მიბძანეთ, რის მაქნისი უნდა იყოს ეს გაჭირვება; ვის რა უნდა მოუხდეს მაგითი. მე რომ დილიდამ სალამომდის ვიყინებოდე, ვითამ თქუენ რა შეგემატებოდათ?

ამაზედ მადამ ობორიმ თავი როგორღაც ისე გადისარა, რომ მე დიაღ არა შემემაცდებოდა რაო, მაგრამ თქუჱნი ლაპარაკიც კი სასაცილოა და მეცის მეცცით,—თითქო ამას ანბობდა.

—ეჰ! ბედი, თუ უბედობა, ახლა აღარა გვეწყობარა, ჰსთქუა მადამ ლაროკამ;—ასე, როგორც მოგახსენეთ, ძალიან მდიდარნი ვართ, უფალო ოდიო, და თუმცა მე ეს სიმდიდრე ჩემთვის გამოსადეგად არ მიმაჩნია, მაგრამ ჩემი ვალი არის, რომ ჩემს მჯლის შეუნახო, თუმცა ჩემზედ შეცვაო აღარც ამას მიაჩნია, განა მარგერიტა?

ამ კითხვაზედ მსუბუქმა ღიმილმა გადურბინა მადმუაზელ მარგერიტას გამკიცხუჱლის სახეზედ, გრძლად დაქნილი წარბები ცოტათ გაუსწორდა და მერე იმისი სახე, მშიმე და ჩინებული, შევიდა ისევ თავისსავე დამშვიდებულს და აუღელვებელს გამომეტყუჱლებაში.

—უფალო, მიოსრა მადამ ლაროკამ,—თქუჱნ გაჩუჱნებენ თქუჱნს სადგომსა, უფლის ლობეპუნის სურვილით რომ დაგინიშნეთ; მაგრამ ჯერ ნება მიბოძეთ ჩემს მამამთილთან მიგიყვანოთ; სასიამოვნოდ მიიღებს თქუჱნს ნახვას. აბა ერთი დაარწმუნეთ ეგ ზარი, ჩემო მადამ ობორი! იმედი მექნება, უფალო ოდიო, გვასიამოვნებთ და

დღეს სადილს ჩუჱნთან ინებებთ ნახშამდის, უფა-ლო, მალე ნახშამდის.—

ერთი მსახური გამატანეს თანა და იმან, ასლუ-ვე შეატყობინებ უფ. ლაროკს და მოკასსყრებით; იქავე მომაცდევინა მეორე ოთახში; საიდამაც გა-მოვედით იმ ოთახის კარი კი ღია გაუშვა და არ შეიძლებოდა, რომ რასაც იქ ლაპარაკობდნენ, არ გამეგონა. მადამ ლაროკმა თქუა:«—გაგონილა ლობიჲენისაგან ამისთანა ამბავი? სრულიად, უსწავ-ლელიო, გაუთლელიო და მეკი ამისთანას მიგზა-ვნის.»—

მადმუაზელ მარგერიტამ რა უთხრა, ვერ გა-ვიგე და მართალი უნდა ვსთქუა, საწუხრად და-მრჩა, რომ ვერ გავიგე; დედამკი ეს პასუხი მი-სცა:—მაგას ვინ ამბობს, ჩემო შჳლო: მაგრამ მაინც სასაცილოა ლობიჲენისაგან ამისთანა საქ-მე. როგორ გინდა, რომ ამისთანა უფალმა სა-ბოძვებით სწულებში იაროს. ვისაც უნდა დავენაძ-ლევები, რომ საბოძვები თავისდღეშიაც არა სცმია; არცკი იცის, მგონია საბოძვები რასა ჰქჳა. (*)

(*) საბოძვები ჰქჳა ხის ფეხსაცმელს, ხის გალოშებს, ანუ ჩექმებს.

რა ვჰქნა, იქნება შემცდარი ვიყო, მაგრამ არა მგონია გამეგებულად ვარგოდეს ვისაც საზოგადოება არა ჰქონია. ერთი მითხარი, მკითხველო, რომელთა ფი-ქრობ? არ ემშვიდობები, რომ შენ მოუძლურე ნა-ნამებიან?

მადმუაზელ მარგერიტა გამოვიდა მაშინვე სა-დაც მე ვიცდიდი. რომ დამინახა, დაიკივლა, რომ უწყინს.—უკაცრავად გახლავართ, მადმუაზელ! თქვენმა მასხარამ შემაყენა აქა და იმას ვეძლი.

—ინებეთ, თან გამომყევით, უფალო!

გავჰყევი. ჯერ ერთს კიბეზე ამიყვანა; მერე რამდენიმე კორიდორები გამატარა; ბოლოს ერთს რაღასაც მოაჯირზედ გავედით და იქ გამიშვა. კედლებზედ რამდენიმე მხატვრობა ეკიდა და ცუ-დით ყოფნაში დაუწყე მისეჯება. უმეტესი ნაწილი მესაქამლეებს წარმოადგენდა, ერთის კორნსარს იმ-პერიის დროსას. რამდენიმე ზღვისზედ გამართუ-ლი ბრძოლა იყო გამოხატული და ყოველს ამ ბრძოლაში გამარჯვებულად ისახებოდა ერთი პა-ტარა გემი, საკვირველად ემაზებია, იც და ექვს ზარ-ბაზნიანი, ლაროკის კაპიტნობის ქვეშ მყოფი, და ჯონბულის (*) დიდად შემაწუხებელი. მერე თვითან

(*) ჯონ-ბული ისეგვე ჰქვა საზოგადოდ ანგ-

კაპიტანის ლაროკის პორტრეტი იყო რამდენიმე სრულის ტანისა და რასაკვირველია ამ პორტრეტებსა ვსინჯავდი რაც შემეძლო. თვითეული ეს პორტრეტი წარმოადგენდა ისეთს კაცსა, რომ ტანი ჰქონდა რაღაც გმირული, ტანსაცმელი რეს-პუბლიკური; თვითან თავაწეული და პირდაპირ შემომცქერი საშინელის მგზნებარეს თვალითა, რომ ბოლოს ოცყოდით, ამ კაცს აღარ უხუმრიათ. ამ სინჯვაში რომ გართული ვიყავი, გამოვიდა ისევ მადემუაზელ მარგერიტა და მობძანდით მითხრა. რომ შევედ, წინ დამხვდა, გამხმარი და მოხრილი მოხუცი, თვალებში ძლივღა უბზინავდა სიცოცხლის ნიშანი, და ჩემს მოსასალმებლად ძლივს შეახო მთრთოლარე ჴელი თავს აბრეშუმის ქუდსა, სპილოს მაყოლივით გადაფარებულს თავზედ რომ ეხურა.

— პაპა! — ხმა ამაღლებით უთხრა მადემუაზელ მარგერიტამ: აჲ უფალი ოდიო!

საბრალო მოხუცებულმა კორსარმა ცოტა-

---

ლიას, ანუ ანგლიის ხალხსა; იონათან ამერიკელებსა. — თუ საქმე გავაგრძელოთ შეიძლება რომ ხუმრობით ჩვენც დავარქვან როდისმე, მაგალითად: ქართველებს ზერია, იმერლებს ხოხობელა, მეგრელებს ყუჩარდია, სომხებს არუთინა და სხვა. —

ოდნად ვითამ ასადგომად წამოიწია და შემომაჩერა თავისი მკრთალი და უაზრო თვალი. სკამი მანიშნა მადმუაზელ მარგერიტამ და დავჯექ. მერე განმეორებით უთხრა კიდეც:

—უფ-ი. ოდიო, ახალი გამყოფილი, მამაო?

—აა! მშვენობა თქვენს ნახვას, უფალო, წამოიბუტბუტა ბერიკაცმა. გავჩუმდით კიდევ და გაგვჭირდა ლაპარაკი. კაპიტანი ლაროკი, წელში მოხრილი და თავჩამოშვებული ისევ ისე შემოჩერებული მიყურებდა. მერე თითქო კარგს რასმე სალაპარაკო საგანს სცაცა ეძებსო, მომმართა როგორღაც დაყრუებულის და დამსხვრეულის ხმით:

—უფ. ბოშენი მომკვდარა.

ამ მოულოდნელს ამბავს პასუხი ვერა მოუხერხერა. ვინ იყო ეს ბოშენი, სულ არა ვიცოდირა, მადმუაზელ მარგერიტას ჩემთვის არა უთქვამსრა და მეც ვიფიქრე, რომ საზრალული უნდა გამომეცხადებინა რამე და—ოჰ, საწყალი მეთქი, ვჰსთქვ, მაგრამ სჩანს არ იკმარა ეს მოხუცებულმა კაპიტანმა და იმავე ხმით სთქვა კიდევ:

—უფ. ბოშენი მომკვდარა.

ამ ამბავს რომ ასე ჩასცივდა, სწორეთ გამოჭირდა საქმე. მადმუაზელ მარგერიტასაც შევატყე, რომ მოუთმენლობით ფეხს ათამაშებდა და ვჰსთქვ,

აქედამ თუ თავი არ გამოვიტანე არ ვარგა მეთქი, და ვიკითხე: — საწყალი, რას მოუკლავს მეთქი?

ამ კითხვაზედ საშინელის თვალით გადმომხედა მადმუაზელ მარგერიტამ, თითქო იქამდის გავჰკადნიერდი, რომ სასაცილოთაც ვიგდებდი ვისმე. რადგან დამნაშავეთ ჩემს თავს სხვაში ვერაფერში ვჰხედავდი, თუ არ საუბრის მოუხერხებლობაში, — მოვახერხე ახლა ჩემს გუნებაში შეხაბამი საუბარი და რაც კარგი მხატვრობა ვნახე, იმაზედ დავიწყე ლაპარაკი. — ეს სურათები მრავალს სახელოვანს საქმეებს უნდა მოგაგონებდეთ მეთქი; ჩემთვის დიდად სასიამოვნო არის, რომ პირი და პირი ნახვა მელირსა ახლა ამ საქმეებით გამოჩენილის და ძლევა შემოსილის გვამისა მეთქი. თვითქმის ზოგიერთის საქმის გამოკვლევაშიაც შეველ და ემაზონს, პატარა გემს, დიდი ქება შევასხი, სწორეთ სასწაულიანი გამარჯვება ჰქონია ამა და ამ შემთხვევაში მეთქი. მე რომ ამაებს ვამბობდი და მეგონა ბერიკაცს გასიამოვნებდი, მადმუაზელ მარგერიტა უფრო და უფრო მრისხანედ მიყურებდა და ისეთი განკიცხვა ეტყობოდა ჩემი, რომ სწორე უნდა ვსთქვა, ჩემს გამოშტერებას აღარა ჰქონდა საზღვარი. ამასობაში იმისი პაპა ყურს ძალიან მიგდებდა; თავი თან და თან უფრო მაღლა აიწია;

ჟრთმა საკჳრველმა ლიმილმა გადურბინა სახეზედ და ნაკეცები გადაუსწორა. მერე სცადა ორივე ჴელი თავისს კრესლას, ზეზე წამოდგა და მალლა გმირულად გაიმართა წელში; მამაცურის ცეცხლით უელვა თვალმა და წამოიძახა საზარელის ხმით:

—ქარს იალქანი! ქარს ყველაფერი! ცეცხლი ფერდებიდამ! მიეშურე, მიეშურე! სადგური გადუშვ! მარდათ, მარდათ! ჴელში გვყავს! ცეცხლი ზევიდამ! არიქა ზარბაზანი, ხიდი შეასხლიცეთ! ჩემსკენ ალღა, ყველანი ჩემსკენ! ანგლიჩნებს ეცით, ანგლიჩნებს,—საქსონლებს, წყეულებს; არიქააა! ურრრრრრააა!!—ეს უკანასკნელი სიტყვა რომ წამოიხრიალა, თუმცა მარგერიცას ეჭირა, მაგრამ მაინც დაბარბაცდა და დაეცა თავისს კრესლაზედ ბერიკაცი, დაუღონებული, შემუსვრილი. მადმუაზელმა გულის წყრომით მანიშნა თითქო გაეთრიე გარეთაო და გამოველ. ვიპოვე როგორც იყო გზა, გამოვიარე კორიდორებიცა და კიბეებიც და ულოცავდი ჩემს თავსა ბარექალლი, ჩემო თავო, რომ საკჳრველი სალაპარაკო რამ საგანი მოასხერხე მეთქი და არც ის დავიწყე, რომ პაცარა გემს ემაზლიი ერქვა მეთქი.—

ქუჩით დერეფანში ისევ ის თმა შეთეთრებული

მსახური დამხუდა საკმლად ალუნი, და მადამ ლა-
როკის დაბარებით შემატყობინა, ახლა სადილის
დრო არისო და თქუჱნის სადგომის სანახავად ვეღარ
მოიცლითო. ზალაში რომ შევედი ოცამდინ ქა-
ლი და კაცი წყვილწყვილად ვადიოდნენ კიდეც სა-
სანოვაგე ოთახში და მეც თან ვავჭმე. რა რომ
ჩემი მდგომარეობა შეიტყუეს, მას აქეთ ეს ბორ-
გელი იყო ჩემგან საზოგადოებაში ყოფნა, და
რადგან დახუჱწული ვიყავი ისეის ზრდილობისა და
თავაზიანს ყურადღებასა, როგორიც ჩემს მგარო-
ვნებას შევეჩვეოდა, ცოტა არ იყო ეს დაუდე-
ვნელობა მეწყინა ახლა, რომელსაც უნდა კი ყო-
ველთვის ველოდე და შევეჩვიო როგორც იქნება.
გული ალმიმდოდა, მაგრამ მოვითმინე და ყელი
ერთს ქალს მივაწოდე, ჩემსავით რომ ბოლოს
იყო დარჩენილი, ცოტა მდაბალის ტანისა, მაგ-
რამ კარგათ მოყვანილი და, როგორც ეტყობოდა,
კარგათ გაზრდილი. ეს უნდა ყოფილიყო, ჩემის
ფიქრით, მადმუაზელ ჭელიუნ, გამზრდელი და მას-
წავლებელი მადმუაზელ მარგერიტასი. სტოლზედაც
ჩემი ადგილი იმის ადგილთან დამხუდა
დანიშნული. (*) მანამდისინ სხდებოდნენ მადმუა-

(*) ევროპიული დიდკაცური ჩუჱულება, მოვე-

ზედ მარგერიტაც გამოჩნდა და თითქო ანტიგონას ედიპი მოჰყავსო, ისე მოჰყავდა თავისი დამძიმებული და დაუძლურებული წინაპარი მოხუცებული კაპიტანი. მოვიდა ეს ქალი და დიდებულებით დაბძანდა ჩემს მარჯუენეს მხარეზედ; სკამს უკან ერთგული მცველი მოუდგა, დიდი ტერრა-ნოვე-ლი ძაღლი. მე ვსთქვ, უნდა ახლა თავი ვიმართლო როგორმე ამ ქალთანა მეთქი და მწუხარება გამოუცხადე, რომ ისე დამემართა და ისეთი ალმა-შფოთიებელი ანბავი განვაახლე იმის პაპის მეხსი-ერებაში.

— მე მმართებს თქვენთან ბოდიში, უფალო, მომიგო მადმუაზელ მარგერიტამ; მე უნდა გამე-ფრთხილებინეთ, რომ პაპაჩემთან ანგლიჩნები არ გეხსენებინათ; იმათი ხსენებაზედ ყოველთჳს ასე

ხსენებათ: სადილის სტოლისაკენ რომ წავლენ, კაცმა ქალს უნდა ხელი უთავაზოს; ვინც ვინ უფრო წარჩინებულნი და მასპინძელისაკენ პატივ-საცემნი არიან, მასპინძელისაკენვე ადრევ ეცოდი-ნებათ, რომელმა რომელი უნდა წაიყვანოს და ისე დასხდებიან; ადგილიც ადრევე ექნებათ დანიშნული. სადილი რომ გათავდება. იმავე რიგით გამოვლენ ზალაში.

ემართება სოლომე.... ამ ბრეტანიაში ადრევაც ყოფილხარით, უფალო თუ არა?

— არა, ამის შემდეგ არა ვხლებივარ, და მოხარული ვარ, რომ ახლა მაინც მომიხდა ამ მშვენიერის ქვეყნის ნახვა; საკვირველი სასიამოვნო და ყოვლითურთ შემკობილი ადგილები გამოვიარე, რომ თვალთათვის სწორეთ ჩინებული რამ ყოფილა, დასახატავი.

რომ ვფიქრობდი, ეს ჩემი ქვეყნის მაქებარი შესხმა უთუოთ იამება ამ ქალსა და გულს კეთილად გამოუცვლის ჩემზედა მეთქი, დიდათ ვაკვრდი, რომ ისევ წელანდელი მოუთმენლობა შევატყე და გსთქვ, სწორეთ უბედური ვარ დღეს მე ამ ქალიანა მეთქი.

— გეტყობათ, უფალო, — მითხრა დაცინებითა და სიამაყით, — გეტყობათ, გიყვართ, რაც თვალთათვის საამოა, რაც ფიქრით წარმოდგენასა და სულს იამება; ბუნება, მწვანე, უდაბური ადგილი, ლერკლედები და მხატვრობა. თქვენც სწორეთ მადმუაზელ ჟულიენის თვალი გქონიათ და ძალიან ადვილად მოხვალთ ერთმანეთთან. ამასაც უყვარს ეგენი და მეკი, სწორე გითხრათ, მაგდენად არაფრად მიმაჩნია.

— მაშ, ღუთის გულისათვის, რა გიყვართ

თქუჱნა?

თუმცა საამო მხიარულებითა ვჭვრიტე მე ესა, მაგრამ მადმუაზელ მარგერიტა უცებ მომიბრუნდა, მადლობით გადმომხედა და ცივად მიპასუხა: მე მიყვარს ეს ჩემი მადლი. მერწმუნე, აქეთ!

და დიდებულად ჩაჭდა თავისი ქერი ცხერორა-ნოყელის ბალიშში და მალამა თავისი ცოცხები გა-დმოიწყო ჩემსა და მადმუაზელ ჭულიუნის იფეშებს შუა.

ვერ მოვითმინე, რომ კიდევ არ გამემსინჯა სახის მეტყველება ამ საკვირველის ქალისა; მისა-დიდა გამომეტყველია რაღაცამე, რა უფრო გამო-სთქმიდა ამისს გულის სიმშრალეს და სულის სიფრიელესა, ასეთის მშვენიერობით რომ იხუმებდა. ჯერ რომ მალულის ტანისად შეხედა მადმუაზელ მარგერიტა, ახლა ვნახე რომ ისე მალალი არ არის, მაგრამ მაინც კარგი ტანადია. ცოცხალი დამრგვა-ლებული ზორისსაც და გასმეცნიერებულად მოყვანილი კისერი ისეთის ფერისა აქვს, რომ თითქო მო-ჭირებული ოქროს ფერი დასცემდეს. იმა რომ სქელათა და მშიშე აწევს თავზედა, ყოველის მი-ხერა მოსურაში თითქო ლურჯად დამცემს ზღა-ფრის მკერდის ხოლომე, ისეთი მაგი აქვს. ცხვირის ნესტოები, საკვირველი წმინდა და ნაზი, თითქო

ხაჲმრით რითიმე ჴელოვნებით აქუს გამოკუეთი-ლი ცხოველის სახისა. გრცელსა, ღრმას და დაფიქრებულს თვალებს დაბლა, შევარაყებულს ლაწუწბზედ რალაც რამ ნათელი დასცრიალებს, თუ შეიძლება ასე ვჳსთქუათ, ძალიან მუქად დამცემ-თითქო წამწამებისაგან დაჩრდილებულით და თითქო-იმისს მგზნებარე თვალებისაგანაც ცეცხლმოკი-დებულით. ძალიან გამოჭირდება გამოთქმა იმისი ლიმილის საამოვნებისა, ხან და ხან რომ შეაცხო-ვლებს ხოლმე იმისს სახის მშუენიერებასა და რა-ლაც ნაირი სამოწინააღმდეგოობით რომ აწყნარებს ხოლმე იმისს მხნეარი თვალების ელვარებასა. უე-ჭუელია, თუ ღმერთი რომ განხორციელებულ-იყო სადმე, ღმერთი პოეზიისა, ოცნებისა და ზლა-პარ სიტყუაობისა, თავმოწონებით ეჩუენებოდა მოკუდავთ ამ ყმაწჳლის ქალის სახით, რო-მელსაც თავისს ძალის გარდა სხუა არა უყუარსრა. ბუნება თავისს ალერსიულს ქმნილებაში ხშირად შეგვიმზადებს ხოლმე ამ ნაირს გაცრუვებასა. (*)

---

(*) ამ ლექსის განმარტებაში უნდა შევიდეთ მე და შენ, ჩემო თეიმურაზ: ეს ლექსი მოვიხმარე მე მისტიფიკაციის მაგიერად. ყოველთვის არ შე-იძლება, მართალია, მაგრამ მგონია აქკი შეიძ-

მაინცა და მაინც რაც უნდა იყოს მე რას დავ-
ხდევ? ეს სულ კარგათ ვიცი, რომ მე მადმუაზელ

ლუბოდეს. მისტიფიკაცია ჰნიშნავს გამოცრუებას, შეცთომაში შეყვანას ანუ შეცდენას, კარგი რომ ვეცოდინოს რამე და კი არ ვიცოდეთ: ერთს რომ გავიქირვებინებდეს და სხვაკი გამოდიოდეს.—ჩვენში კარგს რომ ანბობდე რასმე და ეს კარგი ვავიცრუოს ვინმე, გაცრიზავესო შენსას ოცუვან; შენ რომ ისეთს რასმე ჰმოქმედებდე ან ლაპარაკობდე, რომ მოქმედება სწორეთ სასარგებლოდ მიგაჩნდეს, ლაპარაკი ჭეშმარიტებად, და მოქმედებაში კელი შეგიძლოს ვინმე, ლაპარაკში ჭეშმარიტება გაგიმტყუნოს, გამოსვალ გაცრიზავებული ანუ გაცრუებული. იმედი რომ გქონდეს რამე და მოგეშალოს, გამოსვალ გაცრუებული.— მაქსიმეც სწორეთ ამ აზრით ანბობს, ბევრი რამ არის ისეთი, რომ სრული გვგონია, მაგრამ თუ დავაჩერდით ნაკლულევანებას ვატყობთ და ვსტყუვდებით, ვცრიზავდებით, მისტიფიკაციას ვჰხვდავით. კაცს თუ გზა და კუალი დაებნევა, თუ ამ დაბნევის მიზეზი იყო ვინმე, მისტიფიკაცია ამ დაბნევის მოქმედებასა ჰქვა,—იმან ამიხვა თვალი, იმან დამაბნია, იმან გამამისტიფიცირა.—

მარგერიტას ფიქრში სხუა მნიშვნელობა არას დროს არა მექნებარა, თუ არ მნიშვნელობა მოსამსახურესი, მოჯამაგირესი; და მოსამსახურეს თავაზას ვინ გაუწევს. ჩემის მხრით მე კი იმედი მაქუს, იმდენი თავის მოყვარება ვიქონიო, რამდენიც ამ ქალსა აქუს. ყოვლად შეუძლებელი სიყვარული ჩემის მხრით ის ცრფიალება იქნება, რომელზედაც თქმას მოასწრებს ვინმე,, რომ ანგარიშით მოუვიდა და მეცადინეობით მოასწრესაო. ღმერთმა მაშოროს! მაშ სრულიად საჭირო არ არის, რომ ზნეობითი ძალა შევიმოსო და ასე შემჭურვილი ვეწინააღმდეგო ცრფიალების განსაცდელსა, მეტადრე მაშინ, როდესაც თჳთ მშვენიერებაც მადმუაზელ მარგერიტასი ისეთი რამ მშვენიერება არის, რომ მხოლოდ მაცქუარი უნდა შეჰყურებდეს, კარგი სურათი გამოვიყვანოთ, და კაცობრივი გრძნობა კი არ უნდა გამოელოდეს ამისგან არაფერს გულის სიტკბოებისა, არაფერს ფუფუნებას.

ამასობაში, მადმუაზელ მარგერიტამ თავისს ერთგულს ძაღლს რომ მერვენი უწოდა, ჩემმა მეზობელმა მადმუაზელ ჭულიენმა ჴელზედ დახჳა ეს ლექსი და მომიყუა სამეცნიერო ანბებს; მერვენ ჰრქმევია თურმე საჴელად ერთს ჩინებულს ვიღასაც ჯადოქარსა, რომელსაც მდაბალს ხალხში

ახლა მერლენად იხსენიებენ. შეჰყვა აქედამ და იულიოს კეისრამდის იარა; ისტორია სულ გადააქოთა; მერე ზღაპარსიტყვაობაში შევიდა და ღმერთაებიდამ მოყოლებული დევებსა და ფერიებს გამოუარა და ჩუწლებურს საზღაპრო საქმეებში მომაცვარა, როგორ იყო და რისგან იყო. (*)

მე რომ ამ საისტორიო და საზღაპრო ღრე კლდეებში და ტყე მინდვრებში თან მივჰყვებოდი მადმუაზელ ჰელუენს, რომელსაც ჰსწავლა არა ჰკლებია, მაგრამ ქალს რომ სიმშვდე და სიმდაბლე ჰმართებს, ამაზედ კი ცოტა სუსტად ყოფილა, ბელგიელის ზარაფის ქურივს ენა არ შეუყენებია, სულ გაუწყვეტელს წუწუნში იყო: დაიწყებს და ფეხის სკამი არ დაუდგეს; არათ ჩააცდეს და ერთი თავი საჭმელი ააცილეს; არაა მიიჩნიეს და მეორე თავისა ცარიელი მუტლები მიართვეს. აჰ როგორ ეწყრობიან აქა! მაგრამ შეეჩვა ამასაც. ვაჰ იმისი ბრალი ვინც ღარიბია, ვაჰ იმისი ბრალი! სიკუდილი როგორ არა ჰსჯობია სიღარიბეს!—

—დიალ! დოკტორო,—მიუბრუნდა ახლა თა-

---

(*) როგორა გგონია, იქნება იალბუზის მთაც გადმოლახეს და ზოგიერთი ქართლის სოფელიც ჩამოიარეს; კარ....თი მაგალითად.

ვისს მეზობელს, თითქო დიდის ყურადღებით რომ ყურს უგდებდა ამისს წუწუნსა;—დიაღ დოკტორო! სუმროობით კი არა, სწორეს გულით განბობ, ნეტავი მოვჰკუდებოდე და მოვისუენებდე. სხუანიც მომრჩებოდნენ და მოისუენებდნენ. თქუენ თჳთან იფიქრეთ, დოკტორო! ვინც ერთხელ ჩემს ყოფაში ყოფილა, ვისაც ერთხელ თავისი ვერცხლეულის ანგარიში არა ჰქონია... მერე სამოწყალოდ ეგდოს სადმე და მოსამსახურეებისაგან ასე... ოჰ! არავინ იცის, რა მწუხარებას ვიტან მე ამ სახლში, ვერცარავინ შეიტყობს. ვისაც ცოტა-რამ თავის მოყუარეობა აქუს, ის აღარა ჰსჩივის და მეც გავჩუმდი ეს არის, დოკტორო, მაგრამ არ ვიფიქრო არ შეიძლება.

—ეგ არის, ჩემო მადამ, ეგ არის,—უთხრა მეზობელმა, რომელსაცა ჰქვა, მგონია, ლემარე.—ვავათავოთ, ნუღარას ვიტყჳთ: ცივი სასმელი მიირთჳთ, გულს დაიწყნარებთ.

—ვერა, გულს ვერა დამიწყნარებს რა, დოკტორო, თუ არ სიკუდილი.

—თუ აგრეა, მადამ და რაღა? როდესაც ინებებთ,—გარდაწყუეტით უთხრა დოკტორმა.

ცოტა უფრო მომორებით მეზობლების ყურადღება მიქცეული ჰქონდა ერთს სტუმარს, სითამამით

რომ ლაპარაკობდა, გამბედაობით და მჭევრმეტყუე-ლებითაცა. ამას გარდა უფ. ბევალლიან და ეტყო-ბოდა რომ დახლოვებულად იყო ამ სახლში მი-ღებული. ეს არის მშვენიერი ტანადი, ცოტა მოწითული, მაგრამ ისევ ყმაწვილი კაცი და სახით დიდად მიემსგავსება ფრანსუა 1-ს, თუ ამ მეფის პორტრეტი უნახავს ვისმე. გარეშემო ყურს უგდებ-დნენ, როგორც წინასწარმეტყუელსა, ან მკით-ხავს და თვით მადმუაზელ ლაროკიც ისე შეჰყუ-რებდა, თითქო გამოელოდა რასმე იმისაგანაო. მე კი სწორე უნდა ვსთქვა, ვერც გავითარებულს საუბრობაში და ვერც ჩინებულს ზდილობაში ისეთი საკვირველი ვერა ვნახე, რასაც სხვანი თითქო ყველანი შეჰკვროდნენ.

თავაზიანობა კი ახლავე უნდა უქო: რომ ავდე-ქით, მეგობრულად სიგარა მომაწოდა და ცალკე ოთახში შემიყვანა, სადაცა ჰსწევდნენ ხოლმე. იქ ჩემს გარდა პატივისცემით ეპყრობოდა კიდევ სამსა თუ ოთხს ყმაწვილს კაცსა, რომელიც ჯერ ძალიან ყმაწვილები იყვნენ ისევა და ამას შეჰყუ-რებდნენ, როგორც ყოველს საქმეში მისაბაძავს, მეტადრე სატრაბახოს ცუდკაცობაში.

—მაშ, ბევალლიან, ეგ არის, მზის თაყვანის-მცემელს აღარ ანებებ თავსა და რაღა, უთხრა ერთმა

იმ ყმაწვილისაგანა?

—არის დროს, მოყვრო ჩემ. ბეგალოსანმა; ამს თითქოს მოაგონდი, თუნდ ამს წელიწადის, და გი-მოგიკი; თუ არა და სხვა გვარაგინ იმათგის.

—ბედიკი არ გაკლია, ავაზაკო: მოთმინებამი-თვიან მასწავლებელი მეგობრის ქალსა.—

—მე შენ ენა მოგჭრა, თუ ყურები დაგაჭრაო, ჩუმათ უთხრა ბეგალოსანმა და ჩუმი აქ ყოფნა ანიშნა, რომ მე არ მიგიმხედარგიყავი.

მერე სხვა სავანზედ დაიწყეს ლაპარაკი და გა-დმოგინეს არეული დარეულათ, რაც რამ კარგი ანბავი გაარჩნდათ ცხენების, თუ მწევარმემობრების და ქალების, ვინცავინ ამ არემარეში იბოგნოდა. რა ამისი პასუხია, და ნეფავი თავის სიცოცხლეში ერთხელაც არის ჩუმათ შეეხვრებოდნენ ქალები ამისთანა ლაპარაკს, კარგის სადილის შემდეგომ რომ კაცები შეუდგებიან სოლმე: მაშინ მეიცო-ყობდნენ ჩუმნის გრძნობის სიდეღლი კაცისა და იმა-საცა, თუ რაოდენათ უნდა მოეგებნდობოდნენ სოლ-მე.—მე ვერ გიტყვ, რომ სიმშვდეს მალიან მტკიცედ ვდგევ; მაგრამ მე რომ ამ ლაპარაკს შევესწარი, ამითი მქონდა დიდი დანამაული სა-ბარსა, რომ გადააჭარბა ყოველს შესაძლებელს ხუმბრობასა და სილაღეს. არავინ დარჩა ერთის

სიტყვით, რომ საკუთარი ლექსი არ მოსწონებიათ და იქამდის მივიდა საქმე, რომ მთელი ქვეყანა შეიგინდა, დიაღ უმიზეზოდ, დიაღ უსამართლოდ.

ჩვენს განცდილობაში ნაკლულევანება მართალია მრავალი არის, მაგრამ გულში მაინც ჩამრჩა ბატონისნობის საგულისხმო, რომელიც მეურვეე-ლად დაცული უნდა ჰქონდეს კაცსა ყოველს მე-მოსწავლეში, რა მხიარულობისა და ლამაზწესიერობის გულების ზედაც უნდა იმოქმედოდეს. მაგრამ დღეს ჩვენს ფრანცუზში თითქო ასეთი ამერიკა არის მე-მოსულიი, რომ კმაყოფილი არის დროს არარის, თუ სმას ლანძღვაც არ დაატანა. ჩვენს გვყავნან ასეთი სასიამოვნო ბატარა ავაზაკები, ქრისტიანის იმედი, რომელთაც არც მამა გაზრდია, არც დედა, არც მშობელი ქვეყანა იცის რა არის, თითქო უმე-ცნობა და უსულოს რასმე მანქანებას დაებადოს და უეცრად გადმოვარდნის დედამიწაზედ, თითქო ამი-სთანა გრძნობა აუცილებლად საჭირო ყოფილიყოს ქრისტიანისათვის.

არ მომწონს მე ბევრადთანი, ასე მეცნიერებიდამ რომ უწინამძღვრებდა და აქებდა უწესრიგოდ ყმაწვილკაცებს და მგონია არც იმას მე მოგე-წონე. ცოტა დალაქუთაბა მოვიდე მიზეზით და გამოვედ გარეთ.

ტკალარა ალუნმა ფანარი წამოიღო და წინ წამო-
მძღუა ჩემთჳს დამზადებულის სადგომისაკენ. რამ-
დენსამე ხანს უკან ერთი ბნელი გვიარეთ და
ცადაქნილს კარს მივადექით, რომელსაც ჯიხური
აქუს ზედ მოდგმული და თითო კოშკი უდგას
აქეთ იქით. ეს არის შესავალი კარი მეწლის
ციხეგალავნისა. გარს ახუწვია ას წლოვანი მუხა,
და ნაძვ ამ მეწლებურს სამაგრონთ სამყოფსა;
და ეს არის, მე რომ უნდა ვიცხოვრო ახლა.
ჩემს სადგომში არის სამი ოთახი, კარგა სუფთად
დაფენილი და ალაყაფის კარების თავზედ ისე მო-
ყვანილი, რომ ერთის მხრით ერთს კოშკში შევა-
კარი და მეორეს მხრით მეორეში. როგორც კი
ტკალარა ალუნი მოვიშორე, ცოტა არ არის ლამა-
რაკი ჭყვარებია, მაშინვე ქალალდს მიუჯექ, რომ
ეს დღევანდელი სახსოვარი დღე აღმეწერა და მი-
ვჭყავ ხელი ამ შრომასა, მაგრამ ყურსაც კი
დაუგდებდი ხოლმე ხან წყლის სასიამოვნო ჩხრი-
ალსა, ჩემი ფანჯრების წინ რომ მიმდინარეობს და
ხან ოლოლის ყვრილსა, ამ წყუდიადს ღამეში
რომ დაღონებულად ცრფიალებს.

(შემდეგი იხილეთ მარცის წიგნში.)

ხიროძე, ძველთა იმერთა მეჩანგურე, ჟუჟა-ლიობს დავითი ღმრთისმეტყველის. — (*)

---

სიმდიდრე, ოქრო, ვერცხლი თვალ-მარგალიტი,
სინათლე და ტურფა მშვენიერება,
მოხუცებული, ყრმა, ქაბუკი და სუსტი,
ჟამისამიერ მოყვასთა განიხრწნების.
მაგრამ საკმელი დავითისა დასამთი,
უკუნისამდე მეფავან ედიდების,
საკმევლოვანად, ეთერ-ეთერულად მკვდარი,
ანათებს, ბრწყინავს, არ არის მკვდარი, მკვდარი!

---

განკერძოებული სამეფო და სამთავრო,
სარწმუნოება, ჩვეულება, სამსჯავრო,

---

(*) ეს ამბავი მივიღეთ რედაქციაში კორესპონდენტისაგან, რომელთანაც იწერება წიგნი. ამ მოწერილს წიგნს და ბასუხს ზაქარ ქართველისას, აქავე ვბეჭდავთ, ამ ამბავის ბოლოში.

რედ.

რაჟამს განიმსჭვრიტო, ჯაჭვითა შეპყრობილმან
სივმირის გრდემლითა, ლხინისაგან შეპყვედი-
ლმან,

აღმშენებელმან, მეცნიერების თვალმან,
განიზრახა, ვინც დამადგინა მხმილოვად
ცხოვართა მისთა, მამად მისსა მფარველად,
მომანიჭა მე, სჯული, კვერთხი ერთობის,
დიადემა ჲ სკიპტრა, ხატი მეფობის,
ტყულიც დამიდვა, ჟამსა განსჯელობის,
მან წყალი, მიწა; ჰაერი, ცეცხლი ერთად
სიბრძნით შედუღნა, ცხოველობის კავშირად,
კვლავ შეაერთა, სული, ხორცი, კაცი ქმნა,
განწილადება, არა სათნო იჩინა.
ამისთჳს მწყურის, მისის ნებით ერთობა,
ვითა გონიერთ, არა მრავალთ ღმერთობა,
სარწმუნოების, ვრცელი კეთილმწიფეობა!
ჰსთქჳა ჲ შესძახნა: შჳდთავნო კავკასიის!
გარდმოეცით ხმა, ჩემის დროშის საყვირის
შესაძრწუნებელი, მეხი თქუენის ქუხილის.
ბრძანა, შეიძრა, კლდენი, მთანი ჲ ბორცვნი,
აღზდგენ ლომქარნი, საშინელებით მხოცნი,
შეკრთენ, შესჯუვდნენ, ამპარტავანნი, ზვავნი

დარუბანდისა და დავითისა ზღუდანი (*)
ზვირთნი დაწყნარდა, აღბორგებულნი შავნი
წყალნი, აწ წყალი ყროთმანყროთისა დანი!
კოლხიდელი.

---

ეთხოვ საყვარელო იოანე! ბაქარ ქართველს გაუგზავნო იამბიკო ეს ვიდრე დაბეჭდავდე სცა-ნბაშიდ, რომ მან განიხილოს და, თუ ზოგი ერთი ადგილი ამისი მოუმგა, სარკმელი გაუკეთოს ისრე, რომ მზემ შეუძლიოს. მეც მადლობელს მყოფს და ვითარცა ქართველი ქართულსაც დაავალებს იგი.

შენი პატივის მცემელი კოლხიდელი.

8–ს იანვარს. 1860 წ.
ტფილისს.

---

ყუვალო რედაკტორო!

იამბიკო არის ლექსთა შენობა, თავ და პირუწ-ლად საბერძნეთში შემოღებული. მეგზნებარე იყო მზე იქაურის საუბრისა და მოხრდილობას ყველანი

(*) დარუბანდის ზღუდე არის კასპიისა. დავითის ზღუდეს უწოდებს შავს ზღუდეს და გამოხატავს აღმაშენებელისა მიერ ორთა ამათ ზღუდეთა ერთ სამეფოდ შეერთებასა.          რედ.

ისე ეტანებოდნენ, როგორც ჩუჱნ მკათათათჳს სი-ცხეში გვეტანებით სოლმე. სარკმელს იქ არ ეა-მოჭსტრიდნენ,—აქ მაინც მოევასუჱნოს, ამ იამ-ბიკოში, ეარდამეცებულმა სინათლემაო.

ანტონი კათალიკოზმა რომ იამბიკოს შენებას საქართუჱლოში მიჰყო ჴელი, მჱე საუბრისა აქაც ისე მეზნებარებდა, რომ საამო იქნებოდა სოლმე ხან და ხან მოჩრდილებულში მოსუჱნება აღტყინე-ბულისა და მამურალის ფიქრისათჳს.

ახლა ყოვლით კერძო მოღრუბლულია ჩუჱნი საუბარი: სინათლეს ვეძებთ განმამხნევებელს, გან-მაცხოველებელს.—იამბიკოში რომ შევიხედავთ, ბნელა აქაო ვიტყვით და გამოვალთ ისევა; იმედნი მოთმინება არა გვაქუს, რომ შევსდგეთ, თვალი გავიცყესოთ და გავიცადოთ ყოველი მისავანი მშუჱ-ნება და ჴელოვნებითი მოწყობა ამ უსარკმლო იამბიკოსი.—ნეტავი იმასა, ვინც შეაჩერდება: ის ჰნახავს მაშინ ამ შენობის სიმაღლეს, სივრცეს და მისავანს მშუჱნიერს მოწყობილობას,—სადაც მნათობი აზრი ისე განისუჱნებს, როგორც იმისს დაუფასებელს ღირსებას შეეფერება;—და ვინც თვალმეუჩუჱველს სიბნელეს შეუშინდება, აქ არა ყოფილარაო იტყჳს და გამოვა გარეთ. ნუ დავი-ტრაბახებთ, რომ ჩუჱნ ამ უკანასკნელთაგანნი არ

ვიყვნეთ. სარკმელი თუ გამოვჭსჭერით, შენობას წავახდენთ და თუ არ გამოვჭსჭერით, დავრჩით ისევ ისე უმეცრათა, როგორც ვიყავით. არმაკუნის სახლის სანახავათ რომ შევიდეთ და ამ სახლს არც ერთი კარი და არც ერთი ფანჯარა სინათლისათვს ღია არა ჰქონდეს; ან ალექსანდრე თარხნის_შვილმა რომ თავისს სასახლეში შევვიყვანოს და სინათლე კი არ სიდამ შეუშვას, რაღასა ვნახავთ; მშვენიერი რამ კი თურმე ორივე თვალისათვს. ეს კოლხიდელის იამბიკოც ყოვლად მშვენიერი რამ არის ფიქრისა და გონებისათვს; მაგრამ იამბიკო... იამბიკო ვერ შეითვსა ჩუენმა ჰაერმა, ჩუენმა ქუეყანამ, ჩუენმა ლექსთა_წმასვნამ; იმისი სარკმლის გამკეთებელი ხურო ჩუენს ქუეყანაში არავინ მეგულება.— ანტონი ქათოლიკოზისა, დავით ალექსიშვილი მესხისა, პეტრე ლარამის იამბიკოებში იპოვება ზოგი და ზოგი ამ ჩუენის სასიქადულო კოლხიდელის იამბიკოს მსგავსი, მაგრამ ისინიც განუცდელნი ვგრჩებიან, რადგან სინათლეზედ ღარიბათა ვართ ამ ჩუენს ცადალოუბლულს მწიგნობრობაში. უნდა კი უსათუოდ დავვიბეჭდოთ: ვინ იცის, იქნება დღეს_ხვალ ისე გამოუდაროს ჩუენს ცისკარსა, რომ გავვიადვილდეს ნახვა და გამოცდა ამ იამბიკოს ყოვლის ღირსებისა, ისე გამოუდაროს,

რომ მშიდი დავინახოთ და ფეხით არავის გათელ-ვინოთ.—

თქვენი პატივისმცემელი ბაქარ ქართლიელი.

9 თებერვალს. 1860 წელსა.
ქჳტნაცხოვა.

---

უფალო რედაქტორო!

შემდეგომად ცუდის ცხორებისა, შეიქნება ხოლმე კარგი ცხორება; ეს აღსრულდა თქვენს ჟურნალ-ზედ; წარსულს წელს, მართალია, თქვენს ჟურ-ნალსა ჰყავდა მცირედი ჴელის მომწერნი და ამი-სგამო რედაქცია სიმხნელით აღსრულებდა თჳსს მოვალეობასა; გარნა ჟურნალში მიიღეს მონაწი-ლეობა მშობლიურის ენის მოყვარულთა პატივცე-მულთა გვამთა და, თვით მმართებლობამ გიჩუენა თჳსი მფარველობა. წავიკითხეთ რა ამ იანვრის ნომერი, ვნახეთ რომ მწერალი, ცნობილი დიდის ნიჭიერებითა და კეთილ განზრახვითა, ბაქარ ქარ-თველი, მართლის მთქმელი და ყოვლის ღირსე-ბით აღმსილი, სწერს ფრიად საგრძნობელს წიგნს

თჳსს მეგობარს თეიმურაზს, ეს არ დაიჩაგება უნა-ყოფოდ; თქუენი ქართულის ენის ერთგულობა დაუფასებია. კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას, რომელიც თჳთ შექმნილა მასაბამკჳლ მაგალითად გონიერთა ქართველთა ქალთათჳს; მეფის თეიმურაზის, ბატონიშჳლის თეკლასი და საყჳლ განთქმულის პოეტის თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებანი ამშჳენებენ ჟურნალსა; კარგი იქნება თუ სხუა თხზულებანიც დაიბეჭდება თქუენს ჟურნალში, დაწერილი მეფის თეიმურაზისაგანვე საკუთრივ დღისა და ღამის ბაასი; მოითხრობა მეფეს სოლომონ მეორეზედ, შეთხზული მისვე ყოფიანისაგან, გვაიმედოვნებს, რომ შემდგომცა ვიხილავთ ჟურნალში ესე გვართავე თხზულებათა იმავე მწერალისათა; (*) ჩუენის ქუეყნის შესახებითა, ისტორიულთა საგანთა ზედა, ჭაშნისამებრ ჩემისა, უნდა მიექცეულ იქმნეს საკუთარი ყურადღება. საქებელ_არს შრომაცა თავადის პლატონ ციციშჳ-

---

(* მხოლოდ ვერ გვიახსენებია მისეულ ყოფაანს, მეფის სოლომონის თჳსების გამოცვლის აღწერაზედ. მე მქონია საუბარი ბევრთა მოხუცთა იმერთა თანა, რომელნიცა ფრიად აქებენ მეფეს და ეს შეიცვლება მით, რომ ამის მედროვენი გაცნი ყოველთჳს ფიცულობდნენ ამის სახელსა: «მეფე სოლომონ არ წამიწყდებაო.»

ლისა, სასურველ არს, რომ მწერლობა ადვილ მა-
მულის მართვაზე იქნეს ჟურნალში განვრცელე-
ბული; ამ საგანზედ ვეცდები, შემლებისა გვარად,
თვით მეც ვემსახურო ჟურნალსა; თავადი ზაქარია
ერისთვის_შვილი, რომელიც სიჭაბუკეშივე ამტკიცებს
თვსს კეთილსა მამულის შვილობასა, არს მეორეთვე
ღირსი მადლობისა, რადგან მის მიერ მოწერილი
ანბავი ქუთაისის იარმუკაზედ აცნობებს ქართველთა
ჩუენის ქუეყნისათვს მმართებლობის მზრუნველო-
ბასა და იმერთა შორის განლევმებსა იმ ვაჭრობის
სურვილისასა, რომელიც ძველს დროს შეიქმნა
სამურველად თვით დიდის რომისათვს. საჭიროა
მოინდომონ და აწინდელნი ქართველთა მწერალნი
გახდიან ჟურნალსა ფრიად სასიამოვნოს და სასარ-
გებლოს საკითხავად. ნიჭიერება აქაურთა ცხადია
და ეს დაამტკიცეს მათ თავეთის თხზულებებითა,
დაბეჭდილითა წარსულის წლების ჟურნალში.

ერთის სიტყვით ვართ მომლოდნენი, რომელ
კეთილ განმზრახნი მამულის შვილნი შეერთდე-
ბიან კეთილის საქმისათვს, მოეცემენ შემწეობასა
და იმით გამოსჩნდება, რომელ აწინდელს ჩუენის
ქუეყნის შვილთა მალუმსთა იწოდებოდნენ ღირსს
შვილებად თავეთის წინაპრებისა, რომელთაც, დიდს
ერთმორწმუნეს ხალხთან შეერთებამდის, მრავალთა

საუკუნეთ მომდინარეობაში, დაიცუჱს თჳსი მამული, ენა და სარწმუნოება.

თქუჱნის ჟურნალის გრძელი დღეობის და დიდის წარმატების მხურვალედ მსურველი იოსებ მამაცა_შვილი.

იე—სა იანვარს ჩყჲ წელსა.
ტფილისს.

## მასალა ქართულის ისტორიისათჳს.

რედაქციამ მოაშოვა ორი ძველი დოკუმენტი, შესახები საქმეების მართვისა ძველ დროს საქართველოში, — ერთი არზა, მირთმეული ვახტანგ ბატონიშვილის სახელზედ და მეორე განაჩენი იმავე ბატონიშვილის ვახტანგისა. არზა დაწერილია, რასაკვირველია უბრალო ერთის ჩარექს ქაღალდზედ და განაჩენი ნახევარ თაბახზე. რედაქცია ვალად ჰრაცხს წააკითხოს ეს ქაღალდები «ცისკრის» მკითხველთა. უეჭველია კმაყოფილებით წაიკითხვენ და ჰსცნობენ, როგორი წესი ყოფილა აქა საქმეების განრჩევისა წარსულს დროებში. ამ ქაღალდებს სწორეთ ისე ვბეჭდავთ, როგორც არის დაწერილი:

### არზა.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის მის ვახტანგის ჭირი თამიაურს შალიკას მოსცეს ამას მოგახსენებთ მე სანადიროს მმისწული

დავკარგე ოთხმა თვემ გაიარა რომ სწორე ვერა შავიტყვევერა ოთხს თვეს უკან თოლოშიაყრს ნადირას ორის სიმით ხე მოეჭრა და იმ ხის ახლოს ვიპოვე ჩემი ძმისწული ნადირისაგან შეჭმული ტანის სამოსი და იარაღი დამარხული ვიპოვეთ იმ ხესთან ახლო სოფლის ანბავი როგორც მოგეხსენებათ ზოგი ამბობდენ ნადირისაგან არისო, და ზოგი ამას ამბობდენ ხის მამჭრელისგანაო ახლა მაგ ნადირას მოუხსენებია კაცს მიგზავნისო და გზას მივდებსო მე არც კაცი მიმიგზავნია და არც გზა დამიგდია და არც დამიბრალებია მაგისათჳს ამასკი ვეუბნებოდი ეს ქუდი და ტანისამოსი რომ იმ ხესთან ეყარა ნახე თუ არ მეთქი მერე მაგას კაცი გამოეგზავნა ჩემთან იმ შენს ძმის წულის მე მაბრალებო ანა რის მიზეზით მაბრალებო მერე მე შეუთვალე იმისი გამოგზავნილის კაცის პირით მე არც შენ გაბრალებ და არც სხვასა მეთქი თუ ღმერთმა და ჩემა სიალნემ არ დაკარგა კარგი მეთქი და თუ დაიკარგა მადლობა ღმერთს მეთქი ახლა თქვენთან დაუბეზღებივარ და წყალობას ვითხოვ რასან ასე მოხდა ეს კარგათ გამოიკითხოთ და სამართალი გვაღირსოთ

ან ამხანაგისაგან არის ჩემი ძმისწული მკვდარი და ან ხის მჭრელისაგან

---

# განაჩენი.

ქ ჭილაშვილი ფარემუზ უჩიოდა ფასიცაშვილს ფასიცას ძმას ზეყანს ჩემის ტყიდამ შეშა მომქონდაო ფასიცაშვილი ზეყან წინ დამხვდაო თოფ იარაღით იყოო და მე ცარიელი ვიყავ ჯოხიც არ მეჭირაო მკითხა საიდამ მოგაქვსო მე უთხარო ჩემის ნაკაფიდამ მომაქვსო კიდევ მითხრა ვისის ნაკაფიდამ მოგაქო მე უთხარო გარიაყულის ნაკაფიდამ მომაქვსო იმან მითხრაო თუ ჩემის ნაკაფიდამ მოგაქვს შიგ მოგკლაო განზე გამიხლიტა და იღლიაში თოფი მომცაო დახცა და არ გამოყვარდაო მეორედ რომ დახცა თოფს ჴელი უტაცე და წავართვო მერე სატევარს ხელი გაისო მე თოფი მოუღერე დასაკრავად სატევარი გააგდო მეც თოფი აღარ დავკარიო მაგ კაცმა სასიკვდილოდ მომინდომაო და ღმერთმან დამიხსნა სამართალი მაღირსეთო

ფასიტაშვილი ზეყან ასე ეპასუხებოდა ჩემის ნაკავიდამ შეშა მოგქონდათ მართალია ვკითხეო არც თოფი დამიცემინებია და არც სატევარი ამომიღიაო.

ჩვენ ბატონიშვილმან არაგვის მპყრობელმა პატრონმან ვახტანგ ესენი ჩვენთან გალაპარაკეთ და ამათ მოწმები მოვსთხოვეთ ამათ ერთის მეტი მოწამე არავინ დასწრებოდათ ის წამოაყენეს ასე იმოწმა თოფი მოიღერა ზეყან ფასიტაშვილმა და დაცემინებულიკი აღარ მინახავსო ფარემუზმა უთხრა უკან უდეგი ზურგი ჩემკენ ქონდათ და ნაბადიც ესხათ და იმიტომ დაცემინება ვერ გავიგეო თორემ ორჯელ დასცაო მოწამეც ამბობდა. მართალია ნაბადიც ესხა და მეც ზურგისაკენ უდეგ და არც დაცემინება გამიგონიაო ჩვენ თუნდა ერთის მოწამის კიდეც ენახა ვერ ვერწმუნებოდით ამისთჳს ფიცი განვაჩინეთ ასე რომ ფასიტაშვილს ზეყანს ჭილაშვილმა ფარემუზმა ერთი ის რომელიც იქ დასწრებია და მეორე სხვა კაცი უმტყუარ უმოყვრო შეუდგოს ფასიტაშვილმა ორში ერთი მიიყოლიოს. წადგეს და ასე შეფიცოს ამისმა მადლმა მე შენთჳს არც თოფი დამიცემინებია და არც

სატყვარი ამოშლილი თუ ასე შემოვიდა ფარე-
მეუხს ჩხუბისათჳს ვედარის შეუძო ჲ თუ ასე
ვერ შეუძლია ფასიტაშჳლმა ზეგანმა აქ ფა-
რემეუზს ჭილაშჳლის მეორეს აზნაურის
შჳლის სასხლი ყანდა დაიკურესის ისაყოლი
დევანიზიშჳლი ეს ასე ალასრაყოლე ისპარის
კდ, ქრისტეს ყოლდ რომელიც იქ ჩხუბში
ვაცი დასწრებია ერთი მოიყოლილის მოწმად
ჲ ორი სხვა ყოფილი ყმოფვრი შეეყვდის
ფარემეუზ ჭილაშჳლმა ჲ ფასიტაშჳლმა
ორშა ერთი იმოგისჲ ორის მოწმიოდაი-
ფალის.

(ბოლოს უსხეს განცხადების ორი ბეჭედი.)

# შამილის შეპყრობა.

---

რომელსაც მთავარმმართებელი კნიაზი ბარიატინსკი, მობმანდა ქალაქს ღისკში, ივნისის უკანასკნელ რიცხვებში, მაშინ ბმანება მისცა კავკასიის არმიას, რომ რამდენიმე პოლკები შეყრილ იყვნენ ვედენში და თვითონაც წავიდა იქ ივლისის პირველს. ვედე-ნიდგან წაბმანებულმა, დაიჭირა ავარია, მერმეთ გაემართა ყოისუზედ, სადაც ჰქონდა შამილის შვილს გამაგრებული ფონები.—ბარონ ვრანგელი გავიდა ყოისუს წყალს გაღმა და დამარცხა შამილის შვილი. იმამი ყოველსავე ამას ჰხედავდა, რადგან იდგა ჯარით მაღლობზედ.—შემდეგომს მამა და შვილი შეიყარნენ ერთად და წავიდნენ მახლობელს სოფელში, რომელიცა დასვლით ჩეჩნის ჯარისაგან დაჭერილი.—მაშინ შამილმა გამოუცხადა თავისს ხალხს თავისუფლება. იმ სოფლიდან ისინი წავიდნენ გუნიბს, სადაც იყო შამილის ცოლშვილი. გუნი-ბის ხალხმა დაუწყო წინააღმდეგობა და არ შე-უშვა სოფელში.—იმამი და იმისი შვილი დაცან-

ცალებდნენ მასლობელ ციხეში ორი დღე, — მესამეს დღეს შამილი მალიით შევარდა თავისის მჴლით და 200 კაცით გუნიბას სიმაგრეში, იმ დღიდგან დაიწყო შამილმა უმეტეს ამ სოფლის გამაგრება: ოთხკუთხივ შემოუწყო ზარბაზნები და შეაკრებინა ბლომათ ქუები. რაკი რომ ნამესტნიკმა გაათავა სხუა და სხუა სოფლების დამორჩილება, მაშინ მიადგა გუნიბს ჯარით და გაუგზავნა შამილს კაცი, რომ შემორიგებიყო, მაგრამ შამილი ჯერაჭმეულდავდა და პასუხის მოცემას აგვიანებდა. მაშინ მთავარმმართებელმა გაყო ჯარი ორ ნაწილად და მიუმვა გუნიბის სიმაგრეზედ შტიკებით. ორის მხრიდამ ჩუენმა გულადმა ჯარმა მალე აილო გამაგრებული ალაგები და მივიდა იმ სოფლის ახლოს, სადაცა იდგა შამილი თავისის ცოლშვილით. ამ დროს მთავარმმართებელი მობძანდა და შეაყენა შტურმა. შამილმა გამოუგზავნა ნამესტნიკს თავისი სიძე, რომლისა პირით სთხოვდა, რომ ცოტა დაეცალებინა და მიეცა დრო მოსაფიქრებელად. მთავარმმართებელმა უპასუხა იმამის სიძეს ესრედ: «შამილი ამ 5 მინუტზედ ან უნდა დამემორჩილოს, ან არა და, უბძანებ, შტურმის დაწყობასაო...» 25 აგვისტოს, სალამოს 3 საათზედ, შამილი 40 მიურიდებით, რომ ნახა ველარა გააწყობა, გამოვიდა

თავისის სიმაგრითგან და წარუდგა მთავარმმართებელს, რომელმაც, რა დაინახა უთხრა: «შენ არ ინებე ჩუენს ბანაკში ჩამოსვლა, და, მე თჳთონ წამოველი შენ წამოსაყვანადო. სვალვე უნდა წახვიდე პეტერბურღში.» შეწუხებულმა იმამმა ვერა უპასუხარა კნიაზს და დაუკრა თავი.—

როდესაც წამობრძანდა მთავარმმართებელი, შამილი სთხოვდა თავის იქავე დატოვებას, რომელზედაც რასაკვირველია უთხრეს უარი. ბოლოს დროს შამილი დაითანხმდა და შეჯდა ცხენზედ. ერთის მხრით მოსდევდა ურაფი ევდოკიმოვი და მეორით პოლკოვნიკი ცერომბოვსკი. იმათ ახლდათ ორი მთარგმნელი და ერთი დრაგუნის ესკადრონი. ერთის ცუის მახლობლად შამილმა ითხოვა, რომ ნება მიეცათ ჩამომხდარიყო და ელოცნა. შესანიშნავი იყო მართლად რომ ეს სანახავი: ის_ის იყო მზე დასავლეთისაკენ დაეშუებოდა და მზის შუქი, რა დაეცემოდა შამილს, რომელიც იყო დაჩოქებული, უფრო სასიამოვნო სანახავი იყო. შამილი ისე ლოცულობდა, როგორც ლოცულობენ კაცნი, სიცოცხლის გამოსალმების ჟამს, ამ ლოცვს დროს სანდისხან გარდაავლებდა ხოლმე თვალს თავის გარშემო მინდორს, რომელზედაც ეყარნენ გვამნი მიურიდებისა. ვარს ერცეა რუსის ჯარი, როგორც

მოწამე ამ სასიკვდილოისა. იმამი იწოდა მინაგანის სიცხით, რადგანც მალ-მალ მოითხოვდა სხლთმე წყალს. შემდეგ, ის მიიყვანეს ლაგერში, სადაცა განგებ მოემზადებინათ კარავი. როდესაც შევიდა მიცნით და ნახა კარავი მომზადებული ეშმაკულის სამკაულითი, მაშინ სიკვდილის ფიქრი მოშორდა.

26 აგვისტოს, შამილს მოუვიდა სასილობა,— ცოლები: მეანეცა, მინეცა და სხვანი, 26 საპალნით სხვა და სხვა ნივთები. ფული აღმოუჩნდა მხოლოდ 700 თუმანი. სჩანს რომ, რასაც ამბობდნენ მართალი არ იყო, ვითომც იმას ქონიყოს 5000000 მანეთი. იმის ბინა კი ომიანობის დროს იყო აკლებული, და ქონების დაბრუნება აღარ შეიძლებოდა, იმამს არა თუ არა ჰქონდა ის ფული, ტანისამოსიც კი აკლდა, ასე რომ იმას და მიურიდებს დაუკერვინეს ტანისამოსები თემირხან-შურაში. შურამდის ყველანი მოვიდნენ ცხენებით და თანა ჰყავდათ ორი ესკადრონი დრაგუნი, ერთი ბატალიონი და ორი სოტნა დაღისტნის რეგულიარნის პოლკისა. ყველა მხრიდგან გამოდიოდნენ ათასნი მთის მცხოვრებნი იმამის დასასურწობლად. დედაკაცები ტიროდნენ და კაცები კოცნიდნენ იმისს ტანისამოსს. რა იყო მიზეზი ამ ტირილისა? მართალად სწუხდნენ შამილისათვის, რომელიც უცხ-

ყებდა, თუ მიმობდნენ თავიანთ ცხოვრების გამოცვლასა.

შამილის ცოლებს უპოვნეს კარგი კავალერი: ეს იყო ახალგაზდა აფიცარი ტერ-ასატუროვი: პოლკოვნიკმა ტრანსბოვსკიმ ტყვეები სულერთიან იმას ჩააბარა. გზაში უთავაზებდა ხოლმე სხვა და სხვა ტკბილს საჭმელებს, შეაქცევდა მუზიკით, რომელიც მისდევდა პოლკს. ბოლოს დროს ისე შეუყვარდათ ეს ახალი გუბერნიორი, რომ თუ არ იმას, სხვას არავის ეძახდნენ: «დიმიტრი, დიმიტრი!» შურაში იმათ უყიდეს სხვა და სხვა ფერი ტანისამოსი. როგორც ეტყობოდათ, საკმაოდ მოსწონდათ ახალი მდგომარეობა. მეორეს დღეს, როდესაც ავიდნენ ერთს მთაზედ, შამილმა ლოცვის ნება გამოითხოვა: როდესაც ის ასრულებდა მაჰმადის წესსა, იმ დროს იმისი ცოლები მხიარულებდნენ მუზიკის ხმით. შამილმა თავის ცოლებს პირიდგან ლეჩაქის ახსნის ნება მისცა. უკანასკნელ სტანციაში, ვიდრე თემირხანშურამდის მივიდოდნენ, იმაში შეიქნა ავათ, მიურიდები არწმუნებდნენ, და ეტყოდნენ უთუოთ მოგწამლესო; მაგრამ, როდესაც ჩავიდა თემირხანშურაში, ქიმმა აჭმისცა წამალი და მოარჩინა, იმის შემდგომს გაუხდა ავათ ქალი, რომელიც აგრეთვე მალე მორჩა.

შურაში ნახა შამილმა პირველად ევროპიული ცხოვ-რება. იქ დარჩა სამი დღე. ბარონ ვრანგელმა აიყვანა თავისი ქვარტირასი. რამდენიმე საათის შემდეგ, კნია-ზმა ბარიატინსკიმ დაახვედრა კარეტა. კარეტაში ისხდნენ ხან იმამი და ტრამბოვსკი, ხან იმამი და ხან თავისი შვილი. თემირხანშურიდგან წამოსვლის დროს, გზაზედა შეხვდათ ორი ესკადრონი დრაგუნისა და ორი სოტნა ყაზახებისა. გუმცეეგა-ლის სტანციაში გამოეგებნენ ქალები, ბუცროვის ქალაქისა. აქ მიიღეს შამილი მუზიკით, რომე-ლიცა დიდად უყვარს.

ჩირიურტში ცხენები მიიყვანეს დრაგუნის პო-ლკის კომანდირთან გრაფ ნოსტიცთან. გრაფი მხა-ტვრობის დიდი მოყვარული არის, და ყოველს დროს დაქვს ფოტოგრაფიის იარაღი. ამან სთხოვა შამილს პორტრეტის აღება, რომელზედაც იმამი თანხმა შეიქნა და სთხოვა კიდეც გრაფსა, რამ-დენიმე პორტრეტის აღება და გაეგზავნა თემირხან-შურაში თავის ცოლშვილებთან.

დიდის ალერსებით დახვდებოდა ხოლმე ყოვე-ლგან რუსის ჯარი იმ კაცს, რომელიც იყო მიზეზი ამდენის ხნის სისხლის ღვრისა. ხასავიურ-ტში ისინი ჩამოხდნენ პოლკოვნიკ გლინგურთან. ჩერვლენში მიეგება მრავალი სალხი: გროზნიდგა-

ნაცუ ჩამოვიდნენ ბერძნი.

5 სექტემბერს, მეზღვაურები წავიდნენ მოზღვავს. ეს ის ქალაქი არის, სადაცა ჰქვსნოვრების ყულოზსნოვი, ქშა მეგზურგასი, მამულის ცოლისათვის მოაყშზადა მამულს სასოვლი, სადაცა მოიწვია ნაიყსავდი საყვარელის ცოლის დაქისცნის იმამის. მამული იყო მეცავდ მხიარული.

მოზღვაურდნენ ისინი წავიდნენ გოორგეეეს ყამი და იქიდგან მეკვლოისო-გრადში, სადაცა ჩამოსდნენ ბოლოვის კოიმანდურიან. აქ ყრიო ქალის სიმღერა მაღიან მოეწონათ.

მეკველისო-გრადიდან წავიდნენ სცვეგრიბოლოში. 7 სექტემბერს გამოჩნდნენ მგიბაყები შემოსეული ბაირაღებით და ყაზახებით; როდესაცა შემოვიდნენ ქალაქში, დიდი სალხი დაყედგნა: ქუდები იყო ცისფერისანი. იმამის სახე ყერავს ვერ გაარჩია, სიმხნელის და მოკავლის სალისსაცამო. შეიძლება დღეს ყვლამ ნასა იმამი, რომელსაცა დიდიან დაწყობილი თითქმის სალამომდის გოროსცვავის ბაღში დასყობოდა. სალამოზედ ცხენები წავიდნენ თეატრში, სადაცა სიზოიგადოებას ნაცვლად წარმოდგენის ყურების, უყურებდა მამულს, რომელიც გამოუცხადებდა გულის სიკეთიანობილეს. არავის არა სჯეროდა, რომ ეს იყო მამული, ქანაცოვი,

მტერი რუსებისა და მიზეზი სისხლის ღვრისა 25 წლის განმავლობაში. ის იყო შედგომილი გამოჩენილის კაცის ყაზი-მულლასი. იმამი, პირველი კაცი მაჰომეტის შემდეგ, დაღესტნის მხარეზედ, მაგრამ ახლა ტყუეად რუსის იმპერატორისა და დრომა მისის გულადის კავკაზიის არმიისა. თეატრის შემდეგ ტყვეები იყვნენ ქალაქის გარეთ ბაღში, სადაცა ნახეს შუშხუნები.

9 სეკტემბერს, ისინი გავიდნენ სტავროპოლიდგან და გაემგზავრნენ ხარკოვისკენ, სადამდინაც იარეს დღე და ღამე. მივიდნენ რა, იქ, პოლკოვნიკმა ტრამბოვსკიმ მიიღო ბძანება, რომ წასულიყვნენ ჩუგუევში ჴელმწიფე იმპერატორის წარსადგენელად. ტყვეების აღტაცება არ აღიწერება, როდესაც იმათ გამოუცხადეს, რომ ჴელმწიფემ ინება თავისთან წარდგენა თოფიარაღიათ. დიდათ გაიხარეს, როდესაც შამილს გამოუცხადეს მოსკოვში და პეტერბურღში წაყვანა ამისთჳს, რომ დაერწმუნებინათ ჯემალ ედდინის კარგს მხარეზედ ყოფნა ტყვეობის დროს. ჰკითხავდნენ, რატომ არ გინდოდა ჩუენ ჴელში ჩავარდნაო? ის უპასუხებდა: რადგან არ ვიცნობდი რუსეთსაო! სმოტრის დროს იმამს მოეწონა ჯირითი დრაგუნებისა, ულანებისა და გუსარებისა. იმისი აღტაცება გამოვიდოდა საშ-

ზღვარს გარეთ, რომელსაც დაიწყებს მანევრები უმე-ფესად შამილს, რომელსაც დრაგუნებმა დაიჭიროს ფეშემა შამილ იტყოდა: «ეს სწორეთ ჩუჱნს ჩეჩნეთში, ომიათო.» რასაცა სადამდე ყოველის დღის სამოვ-ნებით გამოიკითხავდა. ამასთანავე უკვირდა, ამდენი ჯარი რუსებს, ყველა ადგილში როგორა ჰყავთო.

სარკოვში დიდად გააკვირვა ცირკის მოქმედებამ. ცხენები და ზედ მხედომნი კუდიანები ეგონა; რომელსაც მიიყვანეს ბალში გუბერნატორთან, რომ-ლესაც ქალები ნახა სუბუქი ბალის ტანისამოსში, უკან დაიწია და დაიწყო ლოცვა. შამილს ჰკითხეს, როგორ მოგწონს ესაო? «თქუჱნ, არა მგონია საიქიოს სამოთხე გქონდეთო. რატომაო? — ჰკითხეს, ამიტომ, რომ, წარმოსთქუა შამილმა, — აქ, თქუჱნ ის სამოთხე გქონიათ ქუჱყანაზედა, რომელსაც აღგვითქუამს ჩუჱნ მაჰმადი ზეცაშიო.»

ტყულაში შამილს აჩუჱნეს თოფხანა; იმან დიდ-ხანს უყურა, როგორც მოქმედებენ ჰარები, მაში-ნები და ახლა დაიჯერა ყოველივე, რაც რამ ეთქუა იმისთვს თავისს უბედურს შვილს ჯემელდინსა.

აქედან რა წავიდნენ, რამდენსამე დღის შემდეგ მივიდნენ მოსკოვში და პეტერბურღში. ეს ალაგები დიდად მოეწონა. ცოტას ხანს თავისის შვილით შამილი იყო პეტერბურღში. ქ. მოსკოვში მხოლოდ

ორ კვირამდინ იმყოფებოდა. მერე წავიდა კალუგაში, რომელიც არის იმის საცხოვრებლად დანიშნული. სახლობა შამილისა აქამდინ მისული უნდა იყოს იმავე ქალაქს.

მმართებლობამ დაუნიშნა წელიწადში 14,000 მანათი პენციათ.

თ. ზაქარია ერის-თავი.

5 ნოემბერს ჩყნთ—სა წელსა.
ქ. ქუთაისს.

---

# რედაქციისაგან.

დღეს ჩვენის ჟურნალის საქმე ისე მოდის, რომ რედაქციის ერთი მოლაპარაკება ჰმართებს წამკითხველთანა და ვინაც კალმით შემწევარი გვეგულება იმათთანა; გულის სიწმინდით უნდა გამოვუცხადოთ, გვესმის ამ ჟურნალის ვალდებულება რაც არის თუ არა,—და როგორ ვაპირებთ დღეის იქით ამ ვალდებულების ასრულებასა.

ყური მოგვგდეთ თქვენი ჭირიმე, ქართულო ყურო, ყური სულგრძელებისა, მოთმინებისა და მიუწ-

ლებურის ქართულის ზრდილობისა:

ლიტერატურა, ჩუენებურათ რომა ვჰსთქუათ, მწიგნობრობასა ჰქჳა და, სადაცკი წერა-კითხუა ქუეყანაში გავჰრცელებული არის სადმე, იქ ეს მწიგნობრობა, ან ლიტერატურა, ყოველგან ორ დიდ ნაწილად განიყოფება: ერთსა ჰქჳა პროზა, მეორეს პოეზია. ამ განმარტების ნურავინ გვითაკილებთ ლექსის გულისათჳს; განა არა, ყველას კარგათ მოგეხსენებათ მართალია, მაგრამ ჩუენც გვათქმევინეთ, რასაც გაბნობთ.—ამ ორს ლექსში ქართული არც ერთი არ არის; ვეჭობთ ბერძნულია ორივე, მაგრამ ყოველს ენაზედ უთარგმნელათ ჰხმარობენ ამ ლექსებსა და მიზეზი არ არის, რომ მარტო ჩუენ გამოვითქუვოთ თავი, აქაო და უთუოთ უნდა ვჰსთარგმნოთ როგორმე.—რაც რამ გაბმით იწერება, თავისუფლებით, უზღუდველათ, დაუბრკოლებლათ, პროზა იმასა ჰქჳა; მაგალითად, ეს წიგნი, ახლა რო ვჰსწერთ, პროზა არის; მეპროზეს, პროზით მწერალს, სხუა კანონი არა უძევს რა,—თუ არ ზრდილობა, პატიოსნება და იმდენათ გამშუენება საუბრისა, რამდენათაც შეუძლია. პოეზიაკი საზოგადოდ იმასა ჰქჳა, რაც აღმაღლებულს გრძნობას გამოჰსთქუამს, აღტაცებულს რასმე აზრსა, ან სულის გამამხნევებელსა

და დამატკბობელის მოფიქრებასა, თუ ოცნებას რასმე: პოეზიის საგანი შეიძლება პროზათაც დაიწერებოდეს; მაგრამ დასაკუთრებული თჳსება პოეზიისა უფრო წყობილი ლექსით წერა არის, ან, ისევ ბერძნულათა ვჰსთქუათ, სტიხებით წერა; და ამ მიზეზით პოეტისათჳს უმთავრესი კანონი ის არის, რომ იმისი აზრის გამოთქმა ზომით იყოს დაწყობილი, მშვენიერის სიტყვებითა და სმენის დამატკბობელათა. — პროზათ წერა ყოველს მწიგნობარს შეუძლია; ლექსებით წერა, სტიხებით გამოთქმა აზრისა, შეუძლია მხოლოდ პოეტსა და, ვისაც ბუნებითი ნიჭი არა აქუს, პოეტობას ის ვერ დაიჩემებს, როგორც კარგს მხატვრობას ვერ დაიჩემებს კაცი, კარგს მომღერლობას, ან კარგს საკრავის დაკურასა, — თუ ნიჭიერი არ არის და ცოდნაც არა აქუს ნიჭის შესაბამი.

მთელი ლიტერატურა რომ ჯერ ამ ორ ნაწილად არის გაყოფილი, პროზათა და პოეზიათ, ახლა ეს ორივე ნაწილი ისევ შეერთებულათ წარმოვიდგინოთ და ასე ვიფიქროთ, ვითამც გაყოფაზედ ჯერ სულ არა გვეთქუასრა; — ახლა სხუა ორ ნაწილად განიყოფება კიდევ მწიგნობრობა: მაღალ-ფრაზად და მდაბალ-ფრაზად; სადიდებულოდ, დიდებულთათჳს, მშვენიერთათჳს, მწიგნობრობაში დახელოვნებულ-

თათჳს საწერად, — და სამდაბიოდ, ან ისეთ საწერად, რომ გაგონება არც სწავლულს უჭირდებოდეს, არც უსწავლელსა.

მაღალ ფრაზით წერა მაშინ არის კარგი და გამოსადეგი, როდესაც საღმრთოსა რასმე საგანს შეეხება; ღრმას ჰსწავლასა და მეცნიერებასა; დასამოძღურებელსა ან შესამეცნებელს რასმე ღჳთის მეცხეჳწლებითისა თუ საფილოსოფო აზრსა: ზრასხჳასა რასმე მაღალსა, გონიერების გამაღჳძებელსა და ჭკუის მავარჯიშებელსა; ამ გვარად ნაწერი ასში რომ ათმა გაიგოს ისიც საკმაოა.

ამ საქმეებს გარდა ქჳეყნიერებაში ბევრი ისეთი რამ არის კიდევ დასაწერი, — რომ თუ გაგონება გაჭირდა, თუ დიდი ჩაფიქრება მოუნდა, თუ ასში ოისმოც და ათმა ადვილად ვერ გაიგო და წამკითხჳელმა ორი ისეთის სიამოვნებით ვერ გააცვარა, როგორც კარგი საუბარი გაახარებინებს, კარგი ცხოველი და ზდილობიანი ლაპარაკი, — მაშინ წერილიც ყოველს თავისს ღირსებას დაჰკარგავს და მწერალსაც შრომა ამაოდ ჩაუვლის. — რაც კი მოსათხრობელი არის რამე, ანბავი თუ ისტორია, რომანი, ლეგენდა, ტრადიცია, — ისე უნდა დაიწერებოდეს, როგორც საზოგადოებაში ლაპარაკს შეეფერება; თუ არა და, სულ რომ არ დაიწეროს ისა ჯობია. რასაც ცხოველი ენა კარგს საუბარში

19.

ლექსს ვერ მოისმარებს; თუ საპატიოს საზოგა-
დოობაში ვერავინ იტყვის, რამეთუ, ვინათგანათ,
ხოლოო, ვამთოთო; — ან სისასო და სასასაო, თითა-
თაო და თაოთაოთაო, — ამისთანა ლექსები არც მოსა-
თხრობელს წერაში უნდა იხმარებოდეს; მოსათხრო-
ბელი წერა პირად ლაპარაკის მაგიერად არის შე-
მოღებული და, რაც პირად ლაპარაკს არ შეეფე-
რება, ის არც წერას უნდა შეეფერებოდეს; ლი-
ტერატურასი პირველი ღირსება ის არის, რომ
ცხოველს, სასაუბრო ენას დაუახლოვდებოდეს, რა-
მდენათაც კი შეიძლება. — ამას გარდა ერის ენაზედ
რომ კაცი ჰსწერდეს რასმე, ისე უნდა ჰსწერდეს,
როგორც იმ ენის თვისება მოითხოვს. ყოველს
ენას თავისი დასაკუთრებული თვისება აქვს. მაგა-
ლითად, რუსულის დამწერი რომ ევროპიულის
რომელისამე ენის თვისებას მისდევდეს, იმისას იტყვიან,
გალლიციზმებსა ჰხმარობსო და რუსულს ახდენსო; —
ქართულად დამწერი რომ რუსულის ენის თვისებას
მისდევდეს, რუსსიციზმებსა ჰხმარობს და ქართულს
აფუჭებსო ვიტყვით. იმდენი დღეგრძელობა და ბედ-
ნიერება თქვენ მოგეცესთ, რამდენიც ისეთი ქარ-
თული წაგვეკითხოს და თვითან ამ «ცისკარშიაც»
დაგვებეჭდოს, რომ სიტყვების მეტი ქართული
იქ სულ არა ყოფილიყოს. ზოგნი ისე ჰსწერენ
ახლა ქართულსა, რომ კაცი თუ რუსულად არ
ჩაუფიქრდა, სრულებით ვერას გაიგებს. ეს ჩუწუ-

ლები საშინელებაა ენისათვს; სენია; და თუ სენი განძლიერდა, ენაც რომ არ ამოიჭამოს არ იქნება. ლიტერატურას ვალი აქვს, რომ შემოაცილოს თავისს ენას ყოველი ამ გუარი ბიწკა, ყოველი ამ გუარი მამხობელი, — გამორეცხოს თავისი ენა და იქონიოს სიწმინდეზედ დაიცვენოს, როგორცა მაც-ოსანის და სწორე ქართულს სასოგადოებაში საუბარს ეკადრება. ადვილი არ არის, მწერლის ეს ვალი. სხუა ქვეყნებში მწიგნობრობა ჭკმოვანების და გამომცემულებს ყურნალებით და გაზეთებით. ჩვენ, ცისკარს გარდა, ჯერ სხუა ყურნალი და გაზეთი არა გვაჩნიარა. შამ ეს მძიმე ვალი ცისკრის ვალი ყოფილა; და აბა ვნახოთ ერთი, შეუძლია თუ არა და ან როგორ შეუძლია ამ ვალის აღსრულება ამ ჩვენს საწყალს ედეისყუროთა ყურნალს.

დღეს, ღუთის მადლით, მრავალთ იციან, რომ დიდად საჭიროა ქვეყნისათვს ყურნალი, საცხე მწიგნობრობის გაცხოველებისა სასარგებლოდ მიახნიათ. შეწყობა მრავალთა შემძლებელთაგანა გვაქვს აღთქმული; მთავრობაც ქელს გვიწყობს დიდის სიუხვით. ამ იმედით განმხნევებული რედაქცია განიზრახავს, რომ ერთი ან ორი გამოცდილი კაცი შეეწყოს შეიძინოს, და რაც რამ თხზულება ან თარგმანი მოგვცა ვისგანმე დასაბეჭდათ, ჯერ იმათ გადავავლებინოთ თვალი, აქა-იქა მალამანა

ვაკურვებინოთ; სადაც უვარგისს ბალახსა ჰნახუჱნ რასმე, ან უცხო თესლსა და ღუარძლსა, შეაცალონ რამდენიც შეიძლება და ჰსწმინდონ ქართული ენა; მაგრამ ისეკი, რომ აზრი მწერლისა არსად შეჰსცუალონ და უნამცუცნავესად პოეზიის არსად შეეხებოდნენ, რადგან პოეტის თხზულებას კაცი არ უნდა შეეხებოდეს.

თუ ეს განზრახუა დაჳწუნა ვინმე, გულს მოდგინებითა გჰსთხოვთ შეგვატყობინონ თავისი აზრი; თუ საზოგადოებამ შეიწყნარა, ამასაც ხომ შევიტყობთ როგორც იქნება და მანამდისინ ჩუჱნი ჟურნალი ჯანს შეიყრიდეს და შესაბამს წარმატებაში შევიდოდეს, ჩუჱნ ისე გჰფიქრობთ, რომ ამ განზრახუას დავადგეთ და დღეითგან მოკიდებული რაც რამ პროზაითი დაწერილი მოგუივა დასაბეჭდათ, გამმართავის კელში გავატაროთ და ისე ვბეჭდოთ. და თუ, ვინიცის, ისეთი ნაწერიც მივიღეთ რამეურომ გამართვა გაგვიჭირდა, იმას სულ ვეღარ დავბეჭდავთ, რომ ყანას უბრალო ბალახი არ მოერიოს. ვინც ამ მარგულაში მოგუეხმარება; ვინც ამ პირობით თავისს ნაღუაწს გამოგვიგზავნის, წინასწარვე ჩუჱნ მთელის ქართულის მწიგნობრობის მაგიერად, გულითადს მადლობას მოვახსენებთ, რადგან ყოველივე ამ გუარი ნაღუაწი კერძოობითად ჩუჱნი დავალება კი არ იქნება, საზოგადოდ ქუჱყნის დავალება იქნება და ჩუჱნის ძუჱლებურის ენისა: ამ ენაზედ

უკეთესი შესამუშავებელი ნიადაგი მჴრით თუ იპოვე-ბოდეს სადმე, ეს ხომ ცხადად ვიცით. ესეცა ვიცით, გვახსოვს, გვწამს, რომ კეთილი არსად დავრდომილა, და ყოველთვის თავს მოჰქცე-ვია ბოროტსა.—

თუ ეს რედაქციის განცხადება,—ან ამავე წიგ-ნში დაბეჭდილი ღარიბი ყმაწვილკაცის რომანი საზოგადოებამაც ქართულის ენით დაწერილად აღიარა, რედაქცია აღჰსთქუამს, რომ ყოველთვე პროზა ამ გვარითვე იქოს ჩუენს ჟურ-ნალში დაბეჭდილი; თუ არა და, რასაც სწორე ქართულის ენის მოყვარულნი გვირჩევენ, იმას დავადგებით; ოღონდ კი გვირჩიონ და სხვა გამო-გვცენ, თავისი აზრი შეგვატყობინონ: ერთხელაც არის ხომ უნდა შევეჩჳოთ ჟურნალით ერთმანეთის ხმის გამოცემასა, საქუეყნოთა, და ბარემ ახლავე ვიწყოთ ის ჩვეულობა.

---

თუმცა დიდათ გვსურდა ცალკე გამოსულიყო ყოველს თვეს „ცისკრისა" დამატება, ადგილ-მამულის მართვის შესახები, მაგრამ რედაქციის გარემოებამ ველარ მოგვასწრებინა. ამ გვარი სტატიები ისევ „ცისკარში" იქნებიან დაბეჭდილი.

---

# სია

## 1860 წლის «ცისკარზედ» ხელის-მომწერთა.

იმ ხელის მომწერთა ვბეჭდავთ აქ სიაში, რომელთაც ფული შემოუტანიათ რედაქციაში და, რომელთაც ჯერ ფული არ შემოუტანიათ, ჟურნალიკი ეგზავნებათ, იმათ მაშინ მოვიხსენიებთ და შემოვიტანთ აქ სიაში, როდესაც ფულს შემოიტანენ.

---

### ს. პეტერბურღში.

თ. აკაკია წერეთელი.

### ტფილისში.

თ. გრიგოლ ორბელიანი.
თ. ივანე მუხრანსკი.
იაკობ ზუბალოვი.
დიმიტრი ყიფიანი
თ. გრიგოლ ბებუთოვი.
თ. გიორგი მუხრანსკი.
თ. გრიგოლ მუხრანსკი.
ელისაბედ ხიზანოვისა.
კნ. ნინა ორბელიანისა.
თ. ნიკოლოოზ ბებუთოვი.
თ. ისე ანდრონიკოვი.
კნ. მარიამ ჭავჭავაძისა.
იოსებ მამაცოვი.
გრიგოლ აივაზოვი.
თ. გიორგი ენდრონიკოვი.
ალექსანდრე ფითოევი.
თ. დავით ერისთავი.
თ. ყაფლან ორბელიანი.
თ. ზაალ ბარათოვი.
კონსტანტინე მამაცოვი.
გაბრიელ წინამძღვაროვი.
ქეთევან დალინსკისა.
თ. ივანე ანდრონიკოვი.
იაგორ ისარლოვი.
გაბრიელ ეპისკოპოზი.
გრიგოლ ფოროქოვი.
თ. ალექსანდრე გრუზინსკი
დავით ავალოვი.
ნიკოლოოზ მირიმანოვი.
თ. გრიგოლ ჯორჯაძე.
მიხეილ ყაზიბეგი.

კნ. სალომე ენდრონიკო-ვისა.
თ. ივანე ჩოლაყაშვილი.
ზაქარია სარაჯოვი.
თ. ვახტანგ მაჩაბელი.
კნ. ქეთევან ვურიენიძისა.
სვიმონ ზუბალოვი.
ანტონ მამულოვი.
თ. მამუკა ორბელიანი.
თ. ივანე მელიქოვი.
კნ. ქეთევან მელიქოვისა.

ვახტანგ თულაევი.
გიორგი გასპაროვი.
სოლომონ ყორღანოვი.
თ. გრიგოლ ბარათოვი.
თ. მიხეილ ამილახვაროვი.
იაკობ პავლიევი.
ნიკოლაოზ ბერძენოვი.
თ. ამირბარ მალალოვი.
დიმიტრი ბერიევი.
სტეფანე ჯანყელი.
გრიგოლ რჩეულოვი.
თ. კონსტანტინე ფალავან-დოვი.
ანდრია მესხიევი.
თ. ალექსანდრე ორბელი-ანი.

დავით გრიგორიევი.
ალექსანდრე ონიკოვი.

ნალჩიკში.

თ. ვახტანგ ორბელიანი.

ანანურში.

პოლკოვნიკი თ. ავა-ლოვი.

სიღნაღის უეზდში.

თ. რევაზ ვაჩნაძე.
კ. ანნა ვაჩნაძისა.
კ. ნინო ანდრონიკოვისა.
კ. სალომე აფხაზოვისა.
თ. ზაქარია ჭავჭავაძე.
თ. ლევან მელიქოვი.
თრევაზ ვაჩნაძე.
გურგენ გოდერძოვი.
თ. სვიმონ ენდრონიკოვი.
თ. ილია აბსაზოვი.

თელავის უეზდში.

თ. დავით ერის_თავი.
თ. ლუარსაბ ჩოლაყაევი.(*)

გორის უეზდში.

დავით ზუბალოვი.
ეკატერინე ხახანოვისა.
კნ. ბარბარე ვეზიროვისა.
ქაიხოსრო ყიფიანი.
კნ. მარიამ ამირაჯიბისა.

---

(*) არ მოგიფიქრებდით ჩჳენ, რომ კახეთის მხრივ ასე ცო-ცანი აღმოჩნდებოდნენ თავიანთ სამშობლოს ენის მოყვარენი და ასე მცირედ გვეყოლებო-დნენ კელის მომწერნი.

სოლომონ კვალიევი.
ივანე კორდაძე.
გაბრიელ მამაცოვი. (*)
ლევან ჰაზაძე.
თ. ელიზბარ ერისთავი. ბ. წ.

ქუთაისში.

თ. გიორგი რ. ერისთავი.
თ. სვიმონ ამირაჯიბი.
თ. ბარნაბა ლორთქიფანიძე.
კნ. თამარ წულუკიძისა.
ალექსანდრე მელიბროვი.
ლუკა ისარლოვი.
თ. დიმიტრი ნაკაშიძე.
ანნა მარჯანოვისა.
კნ. მარიამ დადიანისა.
კნ. ანნა წულუკიძისა.
თ. ალექსანდრე წერეთელი.
კნ. სალომე წერეთლისა.
ივანე ბაინდუროვი.
თ. ვახტანგ გურამოვი.
თ. როსტომ წერეთელი.
კ. ელისაბედ მაჩაბლისა.
თ. გიორგი აბაშიძე.
გიორგი ლოლობერიძე.
იაკობ ნიკოლაძე.

(*) უფ. მამაცოვი იწერს 22 წიგნს, რომელსაც არიგებს გორში. ჯერ რადგანც სია არ მივიღეთ, ამისთვის არა ვბეჭდავთ თვითეულად, ამასთანავე დიდათ ვმადლობთ უფ. მამაცოვს შემწეობის მოცემისათვის.

მერაბ ჩხეიძე.
თ. კონსტანტინე ნიჟარაძე.
თ. მიხეილ ერისთავი.
თ. დავით ჩიქოვანი.
თ. არჩილ დადიანი.
თ. ლევან გურიელი.
თ. გიორგი ნიჟარაძე.
თ. გიორგი ივ. ძე აბაშიძე.
მთავარანგელოზის ეკლესია.

მინგრელიაში.

თ. რაფიელ ერისთავი.
გიორგი ბებურიშვილი.
კონსტანტინე გაბუნია.
იოსებ მიქაბერიძე.
თ. დიმიტრი წულუკიძე.
სვიმონ მაჭავარიანი.

ახალციხეში.

თ. ალექსანდრე თუმანოვი.
თ. ლუარსაბ ერისთავი.
თ. დიმიტრი ბეგთაბეგოვი.
ეფრემ სმიადოვი.
არტურ პოლენსკი.
იოსებ ყიფიანი.
ლუარსაბ ყანჩაველი.
ალექსანდრე მესხიევი.
ცაცო ყიფიანი.
სტეფანე კერკისალოვი.
სტეფანე კოჩხოევი.

ელისავეტპოლში.

იოსებ საყვარელიძე.

სრულებით 128

# სხვა და სხვა ამბავი.

შამილის შეპყრობა და იმის რუსეთში
გაგზავნა. . . . . . . . . . თ. ზაქ. ერის-თავისასა.
განცხადება რედაქციისაგან.

---

## ძელი მოსწერდება

**1860** წელსა.

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნალის «ცისკრის» რედაქციაში, კუკიას, ჰერესელიძის სახლებში.

ფასი ერთის წლის გამოცემისა, ქ. ტფილისში გაუგზავნელად ექუსი მანეთი, ხოლო შინ მიწოდებით ანუ სხვა სხვა ადგილებში გაგზავნით: შვიდი მანეთი თეთრი ფული.

**Печатать позволяется. Генваря 10 дня, 1860 года.**
**Испр. должн. Груз. Цензора Св. Алексѣевъ.**